

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი  
ანტიდისკრიმინაციული სამართლის ცენტრი

ქეთევან ბახტაძე

ქალადობაგამოვლილი  
ქალების გამოსატვის  
თავისუფლების  
შეზღუდვის გენდერულ  
დისკრიმინაციად  
კვალიფიკაცია

სულხან-საბა ორბელიანის  
უნივერსიტეტის გამომცემლობა

UDC(უაკ)342.726-055.2:316.346  
ბ-376

ქეთევან ბახტაძე

ძალადობაგამოვლილი ქალების გამოსათვის  
თავისუფლების შეზღუდვის გენდერულ დისკრიმინაციად  
სამართლებრივი კვალიფიკაცია

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2024

**Ketevan Bakhtadze**

QUALIFYING THE RESTRICTION OF SURVIVORS` FREEDOM  
OF EXPRESSION AS GENDER-BASED VIOLENCE

Sulkhan-Saba Orbeliani University Press, Tbilisi, 2024

© ქეთევან ბახტაძე, 2024

© სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი, 2024

ISBN 978-9941-8-6255-7

*ედვინება ეკა მესხიძეს*

## ის, რაც მემორედ იყო

(წინათქმის ნაცვლად)

აკადემიური გამოცემების ჟანრის კლასიკით, კვლევით ნაშრომს წინ უნდა უძღოდეს რაიმე შინაარსიანი, ჩახლართული, იშვიათად საინტერესო წინათქმა. თუკი ამ წესს გავყვებით, ლოგიკურია, გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელობასა და შინაარსთან დაკავშირებით რაიმე აზრიანი სიტყვა უნდა შემოგთავაზოთ, თუმცა, ამ შემთხვევაში, ვარჩევ, ვისარგებლო „წინათქმელის“ უპირობო, ეჭვმიუტანელი ძალაუფლებით და მოკლედ, რამდენიმე ძირითად თეზისად ვთქვა:

გამოხატვის თავისუფლება არაა ერთ-ერთი თავისუფლება, იგი თავისუფლების უპირველესი გამოხატულებაა. ორუელისა არ იყოს, – თუკი თავისუფლება არაა ის, თქვა, რაც სხვებს არ მოსწონთ, მაშინ თავისუფლება არაფერია;

ადამიანთა უმრავლესობა ნუ გამოვიდებთ თავს და ნუ დავიჩემებთ, რომ ოდნავ მაინც გვესმის ძალადობის სხვადასხვა ფორმის მსხვერპლთა განცდები, ამიტომ გვეყოს გამბედაობა, გავიგოთ მათი ხმა მაინც;

ეს ნაშრომი ბევრ ისეთ რამეზე დაგაფიქრებთ, რაზეც, სამწუხაროდ, მის გაცნობამდე არც მე და არც ამ გამოცემის მკითხველთა უმრავლესობას არ უფიქრია და ეს ძალიან, ძალიან სამწუხაროა;

წიგნის წაკითხვის შემდეგ მაინც თუ დაფიქრდებით, გამოდის, მან თავისი უმთავრესი დანიშნულება შეასრულა;

ქეთევან ბახტაძეს განსაკუთრებული მადლობა ეკუთვნის, თუმცა არა უბრალოდ ამ წიგნის დანერისთვის, არამედ იმისთვის, რომ ადამიანის ძირითადი უფლებების, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლისა, სწამს და ყოველდღიურად იბრძვის, რათა ძალადობა-

გამოვლილ ქალებს აღარ ეშინოდეთ და შეეძლოთ ხმამაღლა, ბევრისთვის შემანუხებლად, საჯაროდ განაცხადონ: ჩვენ ვარსებობთ, ჩვენ გვტკივა და ვერავინ შეძლებს გაგვაჩუმოს!

და ბოლოს, რაც არ უნდა პათეტიკურად ან გამალიზიანებლად გეჩვენოთ ეს წინათქმა, – რას ვიზამთ, შეგახსენებთ, – გამოხატვის თავისუფლება უპირველესია და იძულებული ხართ, აიტანოთ.

დიმიტრი გეგენავა

2024 წლის 31 იანვარი, თბილისი

# შინაარსი

I. შესავალი.....	1
II. ძალადობაგამოვლილი ქალების გამოხატვის თავისუფლება.....	6
1. გამოხატვის თავისუფლება, როგორც გენდერული ძალადობისგან დაცვის უფლების რეალიზაციის საშუალება ....	6
1.1. აზრის გამოხატვის აბსოლუტური თავისუფლება .....	10
1.2. ინფორმაციის გავრცელების თავისუფლება.....	12
1.3. წვლილი გენდერული ძალადობის შესახებ საჯარო დებატებში .....	14
2. მართლმსაჯულებისთვის ხელის შეშლის პრევენციის სამართლებრივი მექანიზმები .....	17
2.1. გენდერული ძალადობის შესახებ განცხადება ან/და სარჩელი.....	19
2.3. სასამართლო სიტყვის თავისუფლება .....	22
2.2. ცრუ ინფორმაცია ან ცრუ ჩვენება .....	24
III. გამოხატვის თავისუფლება და სხვათა რეპუტაცია და უფლებები.....	26
1. ადამიანის უფლება რეპუტაციაზე.....	27
2. კერძო და საჯარო პირის ცილისწამება .....	35
3. მტკიცების სტანდარტი და მტკიცების ტვირთი.....	39
3. პასუხისმგებლობა ცილისწამებისთვის .....	44

<b>IV. ძალადობაგამოვლილი ქალების გამოხატვის</b>	
თავისუფლების შეზღუდვა, როგორც გენდერული	
დისკრიმინაცია.....	49
1. გამოხატვის თავისუფლების როლი გენდერულ ძალადობასა	
და ქალთა მიმართ დისკრიმინაციასთან ბრძოლაში .....	49
2. ძალადობაგამოვლილი ქალის გამოხატვის თავისუფლების	
დაცვის ვალდებულება .....	51
3. გენდერულად მგრძობიარე მიდგომა ცილისწამების	
საქმეთა განხილვისას .....	60
4. ძალადობაგამოვლილი ქალების მეორეული ვიქტიმიზაცია	
ცილისწამების საქმეთა განხილვისას .....	66
5. ცილისწამებით ქალების გამოხატვის თავისუფლების	
შეზღუდვა, როგორც არაპირდაპირი დისკრიმინაცია.....	72
6. ძალადობაგამოვლილი ქალების მიმართ ცილისწამების	
შესახებ სარჩელთა განუხილველად დატოვება.....	83
<b>V. დასკვნა.....</b>	<b>88</b>
გამოყენებული ლიტერატურა .....	92
<b>დანართი 1. საქართველოს კანონი საქართველოს ზოგიერთ</b>	
<b>საკანონმდებლო აქტში ცვლილების შეტანის შესახებ .....</b>	<b>115</b>



# I. შესავალი

2017 წელს ჩატარებული კვლევის თანახმად, „ქალების მიერ გაცხადებული ძალადობის მაჩვენებლები საქართველოში უფრო დაბალია, ვიდრე ევროპაში“<sup>1</sup>. გენდერული ძალადობის შესახებ განცხადებისგან ან შეტყობინებისგან თავის შეკავების მრავალი ფაქტორიდან<sup>2</sup> ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სწორედ დაშინების<sup>3</sup>, შურისძიების<sup>4</sup> ან სხვაგვარი ანგარიშსწორების შიშია.<sup>5</sup> კვლევებით დადასტურებულია, რომ ქალების „გაჩუმება“ თვითგადარჩენის სტრატეგიის ნაწილია, რადგან მათთვის რეალურია საფრთხე, რომელიც შესაძლოა უკავშირდებოდეს ძალადობის ესკალაციას, ჯანმრთელობის დაზიანებას ან სიცოცხლის მოსპობას<sup>6</sup>.

ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა 2018 წელს განაცხადა, რომ მზარდია ცილისწამების სარჩელების რაოდენობა იმ ქალების მიმართ, რომლებიც ინტერნეტის საშუალებით საუბრობენ გენდერული ძალადობის თაობაზე.<sup>7</sup>

- 
- <sup>1</sup> ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში, თბილისი, 2017, 106.
  - <sup>2</sup> Palermo T., Bleck J., Peterman A., Tip of the Iceberg: Reporting and Gender-Based Violence in Developing Countries, *American Journal of Epidemiology*, Vol. 179, No. 5, 2013, 603.
  - <sup>3</sup> Kishor S., Johnson K., Profiling Domestic Violence – A Multi-Country Study, Calverton, 2004, 8.
  - <sup>4</sup> Garcia-Moreno C., WHO Multi-Country Study on Women's Health and Domestic Violence Against Women: Initial Results on Prevalence, Health Outcomes and Women's Responses, World Health Organization, 2005, 20.
  - <sup>5</sup> Karma E., Domestic Violence against Women: A Social Legal Analysis, *Indian Journal of Law and Legal Research*, Vol. 4, No. 2, 2022, 6.
  - <sup>6</sup> Rodriguez M.A., Quiroga S.S., Bauer H.M, Breaking the Silence, Battered Women's Perspectives on Medical Care, *Archives of Family Medicine*, Vol. 5, No. 3, 1996, 155.
  - <sup>7</sup> Report of the Special Rapporteur on Violence against Women, Its Causes and Consequences on Online Violence against Women and Girls from a Hu-

მომხსენებელმა ხაზი გაუსვა, რომ ამ საქმეების წარმოების მიზანი ქალების გაჩუმებაა.<sup>8</sup> ცილისწამების თაობაზე სარჩელის აღძვრა ქალის წინააღმდეგ იმის გამო, რომ მან ღიად ისაუბრა ძალადობის გამოცდილებაზე, ქალის „დაშინების და მის მიმართ შურისძიების“ ერთ-ერთი ფორმაა.<sup>9</sup> ამგვარი შურისძიებისგან ქალების დაცვის ვალდებულებას ხელმომწერ სახელმწიფოებს, მათ შორის, საქართველოსაც, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო კონვენციები, მათ შორის, სტამბოლის კონვენცია აკისრებს<sup>10</sup>.

ადამიანის უფლება, სამართლებრივი მექანიზმებით დაიცვას საკუთარი პატივი და ღირსება<sup>11</sup> ან/და საქმიანი რეპუტაცია<sup>12</sup>, პირადი ცხოვრების უფლების დაცულობის არსებითი ელემენტია. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, პირს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით, კანონით დადგენილი წესით დაიცვას საკუთარი პატივი, ღირსება ან საქმიანი რეპუტაცია შელახვისაგან. სწორედ პირადი ცხოვრების დაცულობის უფლებისა და გამოხატვის თავისუფლებას შორის ბალანსით არის შესაძლებელი ძალადობაგამოვლილი ქალების განცხადების ცილისწამებად კვალიფიკაცია.<sup>13</sup> როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირთა რეპუტაციის დაცვის უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებული უფლებაა. ადამიანის უფლებათა

---

man Rights Perspective, A/HRC/38/47, 18.06.2018, para. 31.

<sup>8</sup> იქვე.

<sup>9</sup> Weaponizing Defamation Lawsuits Against Survivors Violates International Human Rights, <t.ly/EVzvA> [17.01.2024].

<sup>10</sup> „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის 56-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

<sup>11</sup> Association Accept and Others v. Romania [ECtHR], App. no. 19237/16, 1 June 2021, para. 127.

<sup>12</sup> Chauvy and Others v. France [ECtHR], App. no. 64915/01, 29 June 2004, para. 70.

<sup>13</sup> Von Hannover v. Germany (no. 2) [ECtHR], App. nos. 40660/08 and 60641/08, 7 February 2012, paras. 109-113.

ევროპულმა სასამართლომ არაერთ საქმეში განაცხადა, რომ ორივე უფლება – გამოხატვის თავისუფლებაც და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაც – თანაბარ დაცვას იმსახურებს.<sup>14</sup> უფლებათა ჰორიზონტალური კონფლიქტის შემთხვევაში<sup>15</sup>, ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ სამართლიანი გადაწყვეტის გზა ორ დაპირისპირებულ ღირებულებასა და ინტერესს შორის გონივრული ბალანსის დადგენაა და ეს კონცეფცია ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა ეროვნულ იურისდიქციაშიც<sup>16</sup>. **In abstracto**, არცერთ უფლებას არ ენიჭება უპირატესობა მეორე უფლებაზე, მათ შორის, ძალადობაგამოვლილი ქალების განცხადებები, რომელიც სხვა პირის რეპუტაციაზე მოქმედებს, ყოველთვის არ არის დაცული გამოხატვის თავისუფლებით და აუცილებელია ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში უზრუნველყოფილი იყოს დაპირისპირებული ინტერესების თანაარსებობა, რათა არ მოხდეს ერთის დაცვა მეორის ხელყოფის ხარჯზე<sup>17</sup>.

ნაშრომის აქტუალურობას განაპირობებს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების დაცვის კანონმდებლობის ხარვეზები და ძალადობაგამოვლილი ქალების მიმართ აღძრულ ცილისწამების შესახებ სარჩელებზე ეროვნული სასამართლოების მიერ დამკვიდ-

<sup>14</sup> *Verlagsgruppe News GmbH v. Austria* (no. 2) [ECtHR], App. no. 10520/02, 14 December 2006, para. 40; *Gurgenidze v. Georgia* [ECtHR], App. no. 71678/01, 17 January 2007, para. 38; *Evans v. the United Kingdom* [ECtHR], App. no. 6339/05, 10 April 2007, para. 77; *Couderc and Hachette Filipacchi Associés v. France* [ECtHR], App. no. 40454/07, 10 November 2015, para. 82; *s. Axel Springer AG v. German* [ECtHR], App. no. 39954/08, 7 February 2012, para. 61; *Hurbain v. Belgium* [ECtHR], App. no. 57292/16, 4 July 2023, para. 200.

<sup>15</sup> *Smet S.*, *Freedom of Expression and the Right to Reputation: Human Rights in Conflict*, *American University International Law Review*, Vol. 26, No. 1, 2010, 183.

<sup>16</sup> *Çalı B.*, *Balancing Human Rights? Methodological Problems with Weights, Scales and Proportions*, *Human Rights Quarterly*, Vol. 29, No. 1, 2007, 252.

<sup>17</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის №1/1/477 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-60.

რებული არაერთგვაროვანი სტანდარტის მსუსხავი ეფექტი<sup>18</sup> ქალე-  
ბის გამოხატვის თავისუფლებაზე<sup>19</sup>. ეროვნულ სასამართლოებს გა-  
ნხილული აქვთ მხოლოდ ისეთი ცილისწამების შესახებ სარჩევები,  
რომლებიც აღძრულია იმ ძალადობაგამოვლილი ქალების მიმართ,  
ვინც არა მხოლოდ საჯაროდ გაავრცელეს განცხადება მათ მიმართ  
ჩადენილი ძალადობის შესახებ, არამედ რეაგირებისთვის მიმართეს  
კიდევ შესაბამის უწყებებებს. შესაბამისად, ნაშრომი მხოლოდ იმ  
სამართლებრივ საკითხებზე კონცენტრირდება, რომლებიც ასეთ  
შემთხვევებში წარმოიშობა და ინვესტ ქალების გამოხატვის თავი-  
სუფლების დისკრიმინაციულ შეზღუდვას და მათ მეორეულ ვიქ-  
ტიმიზაციას. ამავდროულად, მიუხედავად იმისა, რომ გამოხატ-  
ვის თავისუფლებაზე რამდენიმე აკადემიური ნაშრომი არსებობს,  
არცერთი არ მიემართება ექსპლიციტურად ძალადობაგამოვლილი  
ქალების გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის დისკრიმინა-  
ციულ პრაქტიკას<sup>20</sup>.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია გაანალიზდეს, ძალადობაგა-  
მოვლილი ქალების გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა რამდე-  
ნად შეიძლება მიჩნეულ იქნეს გენდერული დისკრიმინაციად, ასევე  
ძალადობაგამოვლილი ქალების გამოხატვის თავისუფლებისა და  
სხვა პირთა რეპუტაციის დაცვის უფლების ურთიერთმიმართე-  
ბის ფარგლების დადგენა. ამ მიზნით, გაანალიზდება ქართული  
კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა, გამოიკვეთება სა-  
ქართველოს სამართლებრივი კონტექსტისთვის გამოწვევები და  
პრობლემები, შედარებითსამართლებრივი მეთოდის გამოყენებით

<sup>18</sup> Vansweevelt T., Bubalo L., Post-Mortal Protection of the Right to Reputation: A Comparative View, *Journal of European Tort Law*, Vol. 10, No. 1, 2019, 17.

<sup>19</sup> საია: სასამართლოს გადაწყვეტილება შეაფერხებს შევინროებაზე, ფსიქოლოგიურ ძალადობაზე საუბარს, <[ly/ipqbu](https://www.ly/ipqbu)> [17.01.2024].

<sup>20</sup> იხ., გოცირიძე ე., გამოხატვის თავისუფლება კონფლიქტურ ღირებულებათა სამართლიანი დაბალანსების კონტექსტში, თბილისი, 2007; სხილაძე ნ., გამოხატვის თავისუფლებისა და პატივისა და ღირსების უფლებათა დაცვა და მათი მიმართება სოციალური მედიის ქრილში, თბილისი, 2021.

განხილვება ძალადობაგამოვლილი ქალების გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკითხები ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს, ევროპული და ამერიკული სამართლის პერსპექტივიდან. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა, როგორც ინფორმაციის დესკრიფციულ მიმოხილვას, ისე მის ანალიტიკურ დამუშავებასა და სათანადო ფორმით გადმოცემას, რის საფუძველზედ შემუშავდება პრობლემის გადაჭრის რაციონალური საშუალებები, საკანონმდებლო და პრაქტიკული რეკომენდაციები, განსაკუთრებით, სამართალშემფარდებლებისთვის ცილისწამების შესახებ სარჩელების დასაშვებობისა და განხილვის პროცესის გამარტივების, მხარეთათვის მაქსიმალური განჭვრეტადობისა და ძალადობაგამოვლილი ქალების მეორეული ვიქტიმიზაციის პრევენციის უზრუნველსაყოფად.

ნაშრომი ხუთი ნაწილისგან შედგება, რომელთაგან პირველი და მეხუთე ნაწილები შესავალი და დასკვნაა. ნაშრომის მეორე ნაწილი კონცენტრირებულია ძალადობაგამოვლილი ქალების გამოხატვის თავისუფლების ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებზე. ეს ნაწილი, ერთი მხრივ, გამოხატვის თავისუფლებას წარმოადგენს გენდერული ძალადობისგან დაცვის უფლების რეალიზაციის საშუალებად, ხოლო, მეორე მხრივ, ამ უფლების რეალიზაციის დროს მართლმსაჯულებისთვის ხელის შეშლის პრევენციის სამართლებრივი მექანიზმებზე აკეთებს აქცენტს. მესამე ნაწილი გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას ეხება სხვათა რეპუტაციისა და უფლებების დაცვის მიზნით და მიმოხილავს დიფამაციის მარეგულირებელ ნორმებსა და სასამართლო პრაქტიკას. მეოთხე ნაწილი ძალადობაგამოვლილი ქალების გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის გენდერულ დისკრიმინაციად სამართლებრივ კვალიფიკაციას ეხება, მასში მიმოხილულია დიფამაციის საქმეთა განხილვის გენდერულად მგრძობიარე მიდგომის არარსებობის პირობებში მეორეული ვიქტიმიზაციის პრაქტიკა და მისი პრევენციის სამართლებრივი გზები.

## II. ძალადობაგამოვლილი ქალების გამოხატვის თავისუფლება

### 1. გამოხატვის თავისუფლება, როგორც გენდერული ძალადობისგან დაცვის უფლების რეალიზაციის საშუალება

ძალადობაგამოვლილი ქალების გამოხატვის თავისუფლებას იცავს როგორც საქართველოს კონსტიტუცია<sup>21</sup>, ისე ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი<sup>22</sup> და ეროვნული კანონმდებლობა<sup>23</sup>. გამოხატვის თავისუფლება მოიცავს აზრის თავისუფლებას<sup>24</sup>, ინფორმაციისა და იდეების გავრცელების თავისუფლებას<sup>25</sup> და მათი მიღების უფლებას.<sup>26</sup> მკვლევრების ნაწილი გამოხატვის თავისუფლებას გარკვეული თვალსაზრისით ინსტრუმენტული ხასიათის უფლებად ახასიათებს, რომელიც სხვა უფლებების და თავისუფლე-

<sup>21</sup> საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლი.

<sup>22</sup> ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-10 მუხლი, „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის მე-19 მუხლი, „რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ“ კონვენციის მე-5 მუხლი და სხვა.

<sup>23</sup> „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტი.

<sup>24</sup> Lipsic D., Freedom of Expression, *Ave Maria International Law Journal*, No. 3, 2014, 146; Kolarevic E., The Influence of Artificial Intelligence on the Right to Freedom of Expression, *LAW – Theory and Practice*, Vol. 39, No. 1, 2022, 116.

<sup>25</sup> დათუაშვილი ვ., სახელმწიფოს „თავისუფალი შეფასების ფარგლები“ პანდემიის პირობებში გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ასპექტში, „საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი“, N2, 2020, 145; Hoffman G. A., In Search of an International Human Right to Receive Information, *Loyola of Los Angeles International and Comparative Law Review*, Vol. 25, No. 2, 2003, 171-172.

<sup>26</sup> გოცირიძე ე., გამოხატვის თავისუფლება კონფლიქტურ ღირებულებათა სამართლიანი დაბალანსების კონტექსტში, თბილისი, 2007, 54; Mladenov M., Staparski T., Human Rights Approach to Internet Access with a Special Emphasis on the Case-Law of the European Court of Human Rights, *Revija za evropsko pravo*, Vol. XXIV, 2022, 29.

ბების დაცვის გარანტია და „ჰოლისტიკური განვითარების ინსტრუმენტად“ გამოიყენება<sup>27</sup>.

საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულია აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება<sup>28</sup> და დაცულია ყველა ადამიანის უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია<sup>29</sup>. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით, „სიტყვის თავისუფლება დიდი ხანია დემოკრატიული საზოგადოების განუყოფელ და ძირითად ფუნქციონალურ ელემენტს მიეკუთვნება“<sup>30</sup> და ერთ-ერთ ძირითადი პირობაა საზოგადოების განვითარებისა და თითოეული ინდივიდის თვითრეალიზაციისთვის.<sup>31</sup> აქვე, აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს არასდროს უმსჯელია ძალადობის გამოცდილების თაობაზე აზრის გამოხატვის კონსტიტუციურობაზე, თუმცა მისივე პრაქტიკით დადგენილია, რომ ნებისმიერ ადამიანს აქვს უფლება გამოხატოს აზრი<sup>32</sup> და კონსტიტუციით დაცულია როგორც მისი გამოხატვისა და გავრცელების პროცესი, ისე შინაარსი და ფორმები.<sup>33</sup> ადამიანის გამოხატვის თავისუფლებით სრულყოფილად სარგებლობა კი, თავის მხრივ, ადამიანის ღი-

<sup>27</sup> Kwadwo A.-A., A Review of the Theories of Expression in the Context of the Development Argument, University of Ghana Law Journal, No. 23, 2005-2007, 211.

<sup>28</sup> საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი პუნქტი.

<sup>29</sup> იქვე, მე-2 პუნქტი.

<sup>30</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 5 ნოემბრის №2/2/180-183 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და ზაალ ტყეშელაშვილი, ნინო ტყეშელაშვილი, მაია შარიქაძე, ნინო ბასიშვილი, ვერა ბასიშვილი და ლელა გურაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-6.

<sup>31</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 6 ივნისის №2/2/359 გადაწყვეტილება საქმეზე, „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-1.

<sup>32</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის №2/2-389 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“, II-13.

<sup>33</sup> იქვე.

რსების ხელშეუვალობის გარანტიაა<sup>34</sup>. სასამართლოს შეფასებით, გამონათვის თავისუფლება სხვა უფლებების სრულყოფილი რეალიზაციის პრაქტიკული საშუალებაა,<sup>35</sup> შესაბამისად, მაშინ ძალადობაგამოვლილი ქალებისთვის ეს უფლება ძალადობისგან დაცვის ინსტრუმენტი და ღირსების ხელშეუვალობის პრინციპის პრაქტიკული რეალიზაციაა<sup>36</sup>.

ძალადობაგამოვლილი ქალების გამონათვის თავისუფლებას, როგორც ადამიანის განვითარების ძირითად პირობას<sup>37</sup>, იცავს ადამიანის უფლებების ევროპული კონვენცია<sup>38</sup>. მიუხედავად იმისა, რომ ძალადობის გამოცდილების შესახებ განცხადება თავისთავად უკავშირდება სავარაუდო მოძალადის მხილებას და გავლენა აქვს მის რეპუტაციაზე<sup>39</sup>, ევროსასამართლოს პრაქტიკა ცხადყოფს, რომ კონვენციით დაცულია ისეთი ინფორმაციის ან იდეების გამოხატვაც, რომლებიც შეურაცხყოფს<sup>40</sup>, შოკს გვრის<sup>41</sup> ან შემანუხებე-

<sup>34</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/6/561,568 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე იური ვაზაგაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-18.

<sup>35</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის №1/3/421,422 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-6.

<sup>36</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/6/561,568 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე იური ვაზაგაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-19.

<sup>37</sup> *Handyside v. the United Kingdom* [ECtHR], Appl. No. 5493/72, 27 June 2017, para. 49.

<sup>38</sup> *Dink v. Turkey* [ECtHR], App. Nos. 2668/07, 6102/08, 30079/08, 7072/09, 7124/09, 14 September 2010, para. 137; *Kaçki v. Poland* [ECtHR], App. No. 10947/11, 4 July 2017, para. 59.

<sup>39</sup> Barendt E., *Balancing Freedom of Expression and the Right to Reputation: Reflections on Reynolds and Reportage*, Northern Ireland Legal Quarterly, Vol. 63, No. 1, 2012, 64.

<sup>40</sup> *Handyside v. the United Kingdom* [ECtHR], App. No. 24, p. 23, 7 December 1976, para. 49; *Janowski v. Poland* [ECtHR], App. No. 25716/94, 21 January 1999, para. 30; *Nilsen and Johnsen v. Norway* [ECtHR], App. No. 23118/93, 25 November 1999, para. 43.

<sup>41</sup> *Prager and Oberschlick v. Austria* [ECtHR], App. No. 15974/90, 26 April 1995,

ლია<sup>42</sup>. ძალადობაგამოვლილი ქალების მხრიდან განცდილ ძალადობაზე საუბარი შესაძლოა უკავშირდებოდეს მათ მიმართ ჩადენილ სისხლის სამართლის დანაშაულს<sup>43</sup> ან სექსუალურ შევიწროებას<sup>44</sup>, როგორც სამუშაო ადგილზე<sup>45</sup>, ისე საჯარო სივრცეში<sup>46</sup>.

„აზრისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ გაეროს ადამიანის უფლებათა კომისიის 45-ე რეზოლუციის მიხედვით, „ალიარებულია, რომ იმ პირთა ადამიანის უფლებათა განმტკიცება და ნახალისება, რომლებიც ახორციელებენ აზრისა და გამოხატვის თავისუფლებას, ფუნდამენტური მნიშვნელობისაა ადამიანის ღირსების დასაცავად, რომ აზრისა და გამოხატვის თავისუფლება დაკავშირებულია ადამიანის ყველა სხვა უფლებასთან და აფართოებს მათ“<sup>47</sup>. განცდილ ძალადობაზე საუბარს ქალებისთვის შესაძლოა მრავალი მოტივაცია ჰქონდეს, მათ შორის არის დანაშაულის პრევენცია ან მისი თავიდან აცილება, ნვლილის შეტანა გენდერული ძალადობის წინააღმდეგ საჯარო დებატებში, საჯარო მოხელის მხილება ან საზოგადოებრივი მხარდაჭერის მოპოვება.<sup>48</sup> ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის (CEDAW) თანახმად, ქა-

---

para. 38; Chauvy v. France [ECtHR], App. No. 64915/01, 29 June 2004, para. 63; De Haes and Gijssels v. Belgium [ECtHR], App. No. 19983/92, 24 February 1997, para. 46.

<sup>42</sup> Pedersen and Baadsgaard v. Denmark [ECtHR], Appl. No. 49017/99, 17 December 2004, para. 71; Thoma v. Luxembourg [ECtHR], Appl. No. 38432/97, 29 March 2001, para. 44; Oberschlick v. Austria [ECtHR], App. No. 11662/85, 23 May 1991, para. 57.

<sup>43</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილი.

<sup>44</sup> ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის მე-40 მუხლი.

<sup>45</sup> საქართველოს შრომის კოდექსის მე-4 მუხლის მე-6 ნაწილი.

<sup>46</sup> საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166<sup>1</sup>-ე მუხლი.

<sup>47</sup> აზრისა და გამოხატვის თავისუფლების უფლება, ადამიანის უფლებათა კომისიის რეზოლუცია 1993/45, 1993, პრეამბულა.

<sup>48</sup> Wexler L., #MeToo and Law Talk, University of Chicago Legal Forum 2019, 2019, 343-370.

ლების უფლება იცხოვრონ გენდერული ძალადობისაგან თავისუფალ გარემოში განუყოფელია, და ურთიერთდამოკიდებულია სხვა უფლებებთან, მათ შორის გამოხატვის თავისუფლებასთან<sup>49</sup>.

### 1.1. აზრის გამოხატვის აბსოლუტური თავისუფლება

განცხადებები, რომლებსაც ძალადობაგამოვლილი ქალები მათ მიმართ განცდილი ძალადობის შესახებ აკეთებენ, შესაძლოა იყოს აზრების და ფაქტების კომბინაცია<sup>50</sup>. აზრის აბსოლუტური თავისუფლება, როგორც დემოკრატიული საკონსტიტუციო წესრიგის სიცოცხლისუნარიანობის არსებითი ელემენტი<sup>51</sup>, დაცულია საქართველოს კონსტიტუციით და ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლით<sup>52</sup>. გამოხატვის თავისუფლების სფეროს მარეგულირებელი სპეციალური კანონმდებლობა „აზრის“ განმარტებისას მისი დადასტურებადი ან უარყოფადი ფაქტებისგან გამიჯვნის აუცილებლობას ადგენს და მას განმარტავს როგორც შეფასებით მსჯელობას, თვალსაზრისს, კომენტარს ან/დანებისმიერი სახით პირადი შეხედულების გამოხატვას რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის შესახებ<sup>53</sup>. საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკით დადგენილია, რომ „აზრის“ შეფასება ობიექტური კრიტერიუმებით შეუძლებელია, რადგან ის

<sup>49</sup> General Recommendation No. 35 on Gender-based Violence against Women, Updating General Recommendation No. 19, CEDAW/C/GC/35, 2017, para. 15.

<sup>50</sup> Wexler L., #MeToo and Law Talk, University of Chicago Legal Forum 2019, 2019, 351.

<sup>51</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის N2/2-389 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე მიაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“, II-4.

<sup>52</sup> „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის მე-19 მუხლის პირველი პუნქტი.

<sup>53</sup> „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი.

გულისხმობს განსჯასა და შეფასებას, რომელიც ინდივიდის სუბიექტური დამოკიდებულების საგანია<sup>54</sup>.

ევროსასამართლომ მრავალ საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში, მათ შორის, საქართველოს წინააღმდეგ განხილულ საქმეში, დაადგინა, რომ აზრის თავისუფლება კონვენციის მე-10 მუხლით დაცული გამოხატვის თავისუფლების არსებითი ელემენტია<sup>55</sup>. მისეული მიდგომა ასახული ეროვნულ კანონმდებლობაშიც, რომელიც აზრის აბსოლუტურ თავისუფლებას<sup>56</sup> განამტკიცებს და მისი აბსოლუტური პრივილეგიით<sup>57</sup> დაცვას უზრუნველყოფს, რაც გამორიცხავს სამოქალაქოსამართლებრივ პასუხისმგებლობას<sup>58</sup>, მათ შორის, ცილისწამების შემთხვევაში.

გენდერული ძალადობის მსხვერპლი ქალები მათ მიერ განცდილ ძალადობაზე საუბრისას შესაძლოა მიუთითებდნენ როგორც კონკრეტულ ფაქტებსა და მოვლენებზე, ისე აყალიბებდნენ საკუთარ თვალსაზრისს სხვადასხვა სახის ძალადობასა და შევიწროებაზე.<sup>59</sup> ნებისმიერი თვალსაზრისი ან კომენტარი, როგორც ინდივიდუალური აზროვნების ნაწილი, დაცულია აზრის თავისუფლებით და არ შეიძლება დაექვემდებაროს შეზღუდვას<sup>60</sup>.

<sup>54</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 20 თებერვლის სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება №ას-1278-1298-2011.

<sup>55</sup> *Gorelishvili v. Georgia* [ECtHR], App. no. 12979/04, 5 September 2007, para. 38; *Morice v. France* [ECtHR], App. no. 29369/10, 23 April 2015, para. 126; *Dalban v. Romania* [ECtHR], App. no. 28114/95, 28 September 1999, para. 49; *Lingens v. Austria* [ECtHR], App. no. 9815/82, 8 July 1986, para. 46.

<sup>56</sup> „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

<sup>57</sup> იქვე, მე-4 მუხლის პირველი პუნქტი.

<sup>58</sup> იქვე, პირველი მუხლის „ფ“ ქვეპუნქტი.

<sup>59</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილება №2/18681-22.

<sup>60</sup> *Khalfan O.S., Freedom of Expression and Democratic Process: An Analysis of Laws and Policies Relating to the Right of Freedom of Expression in Zanzibar*, University of Oslo, 2010, 14.

## 1.2. ინფორმაციის გავრცელების თავისუფლება

ინფორმაციის გავრცელების თავისუფლებას, როგორც ყველას უფლებას<sup>61</sup> და გამომხატვის თავისუფლების არსებით კომპონენტს, „საქართველოს კონსტიტუცია გამორჩეულ ადგილს ანიჭებს“<sup>62</sup> და თავისუფალი საზოგადოებისათვის დამახასიათებელი სასიცოცხლო დისკუსიისთვის უმთავრეს ელემენტად ახასიათებს<sup>63</sup>. ევროპული სასამართლოს პრაქტიკით დადგენილია, რომ კონვენციის მე-10 მუხლით დაცული გამომხატვის თავისუფლება არ არის შეზღუდული ინფორმაციისა ან იდეების შინაარსით<sup>64</sup> და არც მათი გამომხატვის ფორმებს ზღუდავს<sup>65</sup>.

ინფორმაციის გავრცელების თავისუფლება, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია პოლიტიკური<sup>66</sup> და საზოგადოებრივი ინტერესის მქონე<sup>67</sup> საკითხებთან, მოიცავს ანალიტიკური ან კრიტიკული მოსაზრებების გავრცელების უფლებას<sup>68</sup>. ევროსასამართლოს სტანდარტით, კრიტიკის მიმართ სახელმწიფო მაშინაც უნდა იყოს შემწყნარებელი, თუ ამ კრიტიკას პროვოკაციად ან შეურაცხყოფად მიიჩნევს<sup>69</sup>. ინფორმაციის გავრცელების ფორმები, თავის მხრივ,

<sup>61</sup> „სიტყვისა და გამომხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი.

<sup>62</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის №2/3/406,408 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-10.

<sup>63</sup> იქვე.

<sup>64</sup> *Handyside v. the United Kingdom* [ECTHR], App. no. 5493/72, 7 December 1976, para. 49; *Observer and Guardian v. the United Kingdom* [ECTHR], App. no. 13585/88, 5 October 1989, para. 59.

<sup>65</sup> *Markt Intern Verlag GMBH and Klaus Beermann v. Germany* [ECTHR], App. no. 10572/83, 20 November 1989, para. 26.

<sup>66</sup> *Lingens v. Austria* [ECTHR], App. no. 9815/82, 8 July 1986, para. 41.

<sup>67</sup> *Fressoz and Roire v. France* [ECTHR], App. no. 29183/95, 21 January 1999, para. 48.

<sup>68</sup> *Özgür Gündem v. Turkey* [ECTHR], App. no. 23144/93, 16 March 2000, para. 60.

<sup>69</sup> იქვე.

მრავალფეროვანია და არ მოიცავს მხოლოდ ბეჭდურ მედიაში, სატელევიზიო ან რადიო გადაცემებში გავრცელებულ ინფორმაციას.<sup>70</sup> ტექნოლოგიური პროგრესის მეშვეობით მედიასაშუალებები გაცილებით მრავალფეროვანი გახდა და მოიცვა ინტერნეტიც. შესაბამისად, სასამართლო კონტროლს ექვემდებარება სოციალური მედიის საშუალებით გაკეთებული განცხადებებიც.<sup>71</sup> განცხადების გავრცელების ფორმებს სასამართლო მხოლოდ რეპუტაციისთვის მიყენებული პოტენციური ზიანის კონტექსტში განიხილავს და ითვალისწინებს გავრცელების მასშტაბს<sup>72</sup>.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილულ საქმეში, ქალმა, რომელიც სავარაუდოდ სექსუალური შევიწროების და ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი გახდა, საკუთარ გვერდზე სოციალური ქსელში ("Facebook") საჯარო განცხადება გააკეთა განცდილი ძალადობის თაობაზე, შემდეგ სამართალდამცავ უწყებებს მიმართა და ერთ-ერთ ონლაინმედიაგამოცემას მისცა ინტერვიუ. პირმა, რომელსაც ქალი ძალადობასა და სექსუალურ შევიწროებაში ადანაშაულებდა, სარჩელი აღძრა ქალის მიმართ და ითხოვდა გავრცელებული განცხადების უარყოფას. თბილისის საქალაქო სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა<sup>73</sup> და განმარტა, რომ ძალადობაგამოვლილი ქალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია გარკვეული წინაპირობების არსებობის შემთხვევაში შეიძლება იყოს დაცული<sup>74</sup>.

ინფორმაციის გავრცელების უფლება ძალადობისგან დაცვის უფლების ერთ-ერთი საშუალებაა, რადგან კონკრეტულ დანაშაუ-

<sup>70</sup> Oreg E., Right to Information Identity, John Marshall Journal of Computer and Information Law, Vol. 29, No. 4, 2012, 543.

<sup>71</sup> ჯორბენაძე ს., სოციალური მედიის სამართალი, თბილისი, 2019, 57.

<sup>72</sup> Smet S., Freedom of Expression and the Right to Reputation: Human Rights in Conflict, American University International Law Review, Vol. 26, No. 1, 2010, 212.

<sup>73</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილება №2/18681-22.

<sup>74</sup> იქვე, პარ. 6.15.

ლთან დაკავშირებული ინფორმაცია სამართალდამცავ უწყებებს რეაგირებას ავალდებულებს<sup>75</sup>, ხოლო სახალხო დამცველს საჯაროდ გავრცელებული ფაქტების შესწავლა საკუთრი ინიციატივითაც შეუძლია<sup>76</sup>.

### 1.3. წვლილი გენდერული ძალადობის შესახებ საჯარო დებატებში

ძალადობაგამოვლილი ქალების განცხადებები მათ მიმართ ჩადენილ ძალადობასთან დაკავშირებით საჯარო ინტერესის საგანია, რადგან მათ შესაძლოა გარკვეული წვლილი შეჰქონდეთ გენდერული ძალადობის შესახებ საზოგადოებრივ დებატებში. გაეროს ქალთა ორგანიზაციის მონაცემებით, მსოფლიოში ყოველი მესამე ქალი გენდერული ძალადობის მსხვერპლია<sup>77</sup> და ნათელია, რომ ამ საკითხზე საჯარო დებატები საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანია. ევროსასამართლომ არაერთხელ გაუსვა ხაზი გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ძალიან მცირე შესაძლებლობას ისეთ შემთხვევებში, როდესაც ინფორმაციის გავრცელება ემსახურება საჯარო ინტერესს,<sup>78</sup> თუმცა სასამართლოს მიერ ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში უნდა შეფასდეს, რამდენად არის ესა თუ ის შემთხვევა საჯარო ინტერესის საგანი<sup>79</sup>. საჯარო ინტერესის განსაზღვრისას ევროსასამართლო აფასებს, რა გავლენა აქვს განცხადებაში დასახელებულ საკითხებს საზოგადოებაზე და შესაძლოა

<sup>75</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-100 მუხლის პირველი ნაწილი.

<sup>76</sup> „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

<sup>77</sup> Facts and Figures: Ending Violence against Women, <t.ly/BtAxcg> [17.01.2024].

<sup>78</sup> Wingrove v. The United Kingdom [ECtHR], App. no. 17419/90, 25 November 1996, para. 58.

<sup>79</sup> Von Hannover v. Germany (No. 2) [ECtHR], App. no. 40660/08 and 60641/08, 7 February 2012, para. 109.

თუ არა საზოგადოებამ მათ მიმართ ლეგიტიმური ინტერესი გამოავლინოს.<sup>80</sup> საჯარო ინტერესის საგანი ის საკითხებია, რომლებზეც შესაძლოა საზოგადოებრივი აზრი გაყოფილი იყოს ან ისეთი საკითხები, რომლებიც მნიშვნელოვან სოციალურ პრობლემას ეხება და მის თაობაზე საზოგადოების ინფორმირებულობა აუცილებელია<sup>81</sup>. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში ევროსასამართლომ საჯარო ინტერესის საკითხად მიიჩნია და სოციალურ პრობლემად განმარტა ბავშვთა მიმართ ძალადობა<sup>82</sup>.

„ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის შესახებ“ დეკლარაციით აღიარებულია, რომ ქალთა მიმართ ძალადობა ქალებსა და კაცებს შორის ისტორიულად არათანაბარი ძალაუფლების გადანაწილების გამოვლინებაა და ის ერთ-ერთი ძლიერი მექანიზმია ქალების დაქვემდებარებული როლის შენარჩუნებისთვის.<sup>83</sup> ამდენად, ქალების მიერ განცდილ გენდერულ ძალადობაზე ღიად საუბარი ხელს შეუწყობს დისკუსიას გენდერულ ძალადობაზე, მის მიზეზებსა და აღმოფხვრის გზებზე. ეს კი, თავის მხრივ, საჯარო ინტერესია, რადგან საზოგადოებაში მყარად ფესვგადმული მითები და სტერეოტიპები ქალებისა და კაცების სოციალურ როლთან დაკავშირებით, საზოგადოებრივი დისკუსიის გარეშე ვერ აღმოიფხვრება<sup>84</sup>. ქალების საჯაროდ საუბრის უფლება ჯერ კიდევ ორი საუკუნის წინ სოციალური ნორმების დარღვევად მიიჩნეოდა<sup>85</sup> და ფემინისტი ქალები,

<sup>80</sup> Satakunnan Markkinapörssi oy and Satamedia oy v. Finland [ECtHR], App. no. 931/13, 27 June 2017, para. 171.

<sup>81</sup> იქვე.

<sup>82</sup> Juppala v. Finland [ECtHR], App. no. 18620/03, 2 December 2008, para. 42.

<sup>83</sup> Declaration on the Elimination of Violence against Women, UN General Assembly Resolution N48/104, 20 December 1993, Preamble.

<sup>84</sup> Cookson T.P., Fuentes L., Kuss M.K., Bitterly J., Social Norms, Gender and Development: A Review of Research and Practice, UN-Women Discussion Paper Series no. 42, New York: UN-Women, 2023, 38.

<sup>85</sup> Belzer L. M., Raising Her Voice: Early Feminist Efforts at Obtaining the Right to Speak, 1835-1860, Texas Journal of Women and the Law, Vol. 13, No. 2, 2004, 332.

რომლებიც ამას „ბედავდნენ“, საზოგადოების მხრიდან „უზნეო არ-სებებად“ აღიქმებოდნენ<sup>86</sup>.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2017 წელს განხილულ ერთ-ერთ საქმეში ქალი, რომელიც სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროების მსხვერპლი გახდა და მის მიმართ სახალხო დამცველის მიერ სქესის ნიშნით დისკრიმინაცია დადგინდა,<sup>87</sup> ღიად საუბრობდა მის მიმართ ჩადენილ შევიწროებაზე სატელევიზიო გადაცემებში<sup>88</sup> და საზოგადოებას მხარდაჭერისკენ მოუწოდებდა. პირმა, რომელმაც ქალი სექსუალურად შევიწროა, მის წინააღმდეგ აღძრა სარჩელი პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების უარყოფის მოთხოვნით. თბილისის საქალაქო სასამართლომ მოპასუხეს დაავალა იმ განცხადებების უარყოფა, რომელიც მან სატელევიზიო გადაცემებში გააკეთა<sup>89</sup>. ჯერ სააპელაციო<sup>90</sup> და შემდეგ კი საკასაციო სასამართლომ ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება<sup>91</sup>.

თვითდაზმარების ფარგლებში მოქმედების გარდა, ძალადობაგამოვლილი ქალების საუბარი გენდერულ ძალადობაზე უკავშირდება პოლიტიკურ პროცესში მონაწილეობას, რადგან, თავის მხრივ, სიტყვას აქვს პოლიტიკური ბუნება, რაც მოსაუბრისთვის პოლიტიკურ პროცესში მონაწილეობის უზრუნველყოფაში მანიფესტირდება<sup>92</sup>. ქალების ჩართულობა გენდერული ძალადო-

<sup>86</sup> იქვე, 333.

<sup>87</sup> საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის 3 მაისის რეკომენდაცია N13-2/5713.

<sup>88</sup> საშინელი სიტყვებით მაგინა – რას ყველა ეკა მესხიძე პაპუნა უგრეხელიძის მისდამი დამოკიდებულებაზე, <t.ly/EFK-k> [17.01.2024].

<sup>89</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 9 აგვისტოს გადაწყვეტილება №2/17241-18.

<sup>90</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილება №2ბ/318-20.

<sup>91</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 13 აპრილის განჩინება №ას-358-2021.

<sup>92</sup> Bernstein B., Power, Prejudice, and the Right to Speak: Litigating Outness

ბის წინააღმდეგ საჯარო დებატებში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის ქვაკუთხედია და ამ პოლიტიკის ეფექტიანობას განსაზღვრავს. პოლიტიკური სიტყვისა და დებატების თავისუფლება გარანტირებულია კანონით<sup>93</sup> და განცხადება, რომელიც პოლიტიკური დებატების ფარგლებშია გაკეთებული, არ იწვევს ცილისწამებისთვის პასუხისმგებლობას<sup>94</sup>. გენდერულ ძალადობასთან დაკავშირებული განცხადებები, მიმართული ერთი ინდივიდუალური შემთხვევისკენ, შესაძლოა ააშკარავებდეს მწვავე პოლიტიკურ საკითხებს, რომლებიც, ერთი მხრივ, ეფექტიან სახელმწიფო რეაგირებას უკავშირდება, ხოლო, მეორე მხრივ – საზოგადოებრივ დამოკიდებულებებს და მართლმსაჯულების სისტემის სტერეოტიპულ მიდგომებს<sup>95</sup>, რაც ცალსახად პოლიტიკური საკითხებია. ამდენად, ძალადობაგამოვლილი ქალების განცხადებები გენდერულ ძალადობასთან დაკავშირებით ამ კონტექსტშიც უნდა ფასდებოდეს ცილისწამების საქმეთა განხილვისას.

## 2. მართლმსაჯულებისთვის ხელის შეშლის პრევენციის სამართლებრივი მექანიზმები

ძალადობაგამოვლილი ქალების უფლება, გამოიყენონ ძალადობისგან დაცვის მექანიზმები თავისთავად იზღუდება ისეთი სამართლებრივი საშუალებებით, რომლებიც გამოორიცხავს ცილისწამებას ვინმეს მიმართ ან გენდერულ ძალადობაზე რეაგირების განმახორციელებელი უწყებისთვის ცრუ ინფორმაციის მიწოდებას. ამგვარი პრევენციული საშუალებები ემსახურება მართლმსაჯულებ-

---

under the Equal Protection Clause, *Stanford Law Review*, Vol. 47, No. 2, 1995, 287.

<sup>93</sup> „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

<sup>94</sup> იქვე, მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

<sup>95</sup> Bernstein B., *Power, Prejudice, and the Right to Speak: Litigating Outness under the Equal Protection Clause*, *Stanford Law Review*, Vol. 47, No. 2, 1995, 228.

ბის ინტერესს და სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების უზრუნველყოფის რეალურ გარანტიებს ქმნის როგორც ძალადობა-გამოვლილი ქალისთვის, ისე სავარაუდო ჩამდენი პირისთვის.

ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართალში არ არსებობს გენდერული ძალადობის ერთი, საყოველთაოდ აღიარებული დეფინიცია<sup>96</sup>, თუმცა „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობას განმარტავს როგორც „ქალის წინააღმდეგ მიმართულ ძალადობას იმის გამო, რომ ის ქალია ან რომელიც არათანაზომიერად უარყოფით ზემოქმედებას ახდენს ქალებზე“<sup>97</sup>. ამ კონვენციის რატიფიკაციის შემდეგ, იმავე შინაარსის დებულება ჩაინერა „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში, რომლის თანახმად, „ქალთა მიმართ ძალადობა გულისხმობს საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში ქალების მიმართ გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობისათვის დამახასიათებელ ყველა ქმედებას, რომელთაც შედეგად მოჰყვება ან შეიძლება მოჰყვეს ქალებისთვის ფიზიკური, ფსიქოლოგიური ან სექსუალური ტანჯვის ან ეკონომიკური ზიანის მიყენება, მათ შორის, ასეთი ქმედებების ჩადენის მუქარა, ქალების იძულება ან მათთვის თავისუფლების თვითნებური აღკვეთა“<sup>98</sup>. ამდენად, გენდერული ძალადობისგან დაცვისთვის შესაბამისი გარანტიები არსებობს როგორც სისხლის სამართლის<sup>99</sup>, ისე ადმი-

<sup>96</sup> Ziniakova T., Gender-Based Violence in International Human Rights Law: Evolution towards a Binding Post-Binary Framework, *William & Mary Journal of Race, Gender, and Social Justice*, Vol. 27, No. 3, 2021, 727.

<sup>97</sup> „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის მე-3 მუხლის „დ“ პუნქტი.

<sup>98</sup> „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3<sup>1</sup> მუხლის პირველი პუნქტი.

<sup>99</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში მრავალი მუხლია, რომელიც ქალთა მიმართ გენდერის ნიშნით ჩადენილ დანაშაულს დანაშაულად

ნისტრაციულ<sup>100</sup> და სამოქალაქო<sup>101</sup> კანონმდებლობაში. კვლევის ამ ეტაპზე მხოლოდ ორი სახის გენდერული ძალადობის ფორმაზე გამახვილდება ყურადღება: პირველი შემთხვევა უკავშირდება სექსუალურ შევიწროებას სამუშაო ადგილზე, ხოლო მეორე ეხება ქალის უფლებას მიმართოს სამართალდამცავ უწყებებს მის მიმართ ჩადენილ სისხლის სამართლის დანაშაულზე რეაგირებისთვის.

## 2.1. გენდერული ძალადობის შესახებ განცხადება ან/და სარჩელი

ძალადობაგამოვლილი ქალისთვის სექსუალური შევიწროებისგან დაცვის მრავალი საშუალება არსებობს, მათ შორის, მსხვერპლს შეუძლია სასამართლოსთვის სარჩელით მიმართვა<sup>102</sup> და დისკრიმინაციული მოპყრობის შეწყვეტის ან მისი შედეგების აღმოფხვრის მოთხოვნა<sup>103</sup>, შრომის ინსპექციისთვის მიმართვა<sup>104</sup> და დისკრიმი-

---

აცხადებს, მაგალითად, 109-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტი. ამავე კოდექსის 53<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დანაშაულის ჩადენა ... სქესის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერის, გენდერული იდენტობის, ... ან დისკრიმინაციის შემცველი სხვა ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებად არის აღიარებული ამ კოდექსით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი დანაშაულისათვის.

<sup>100</sup> საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის VII<sup>3</sup> თავი აწესრიგებს ადმინისტრაციულ სამართალწარმოებას ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთასთან, ძალადობის მსხვერპლთა დაცვასთან და დახმარებასთან დაკავშირებით. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166<sup>1</sup>-ე მუხლი სექსუალურ შევიწროებას სამართალდარღვევად განსაზღვრავს.

<sup>101</sup> „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით „აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია“, ხოლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის VII<sup>3</sup> კარით ცალკეა რეგულირებული დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეზე სამართალწარმოება.

<sup>102</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363<sup>2</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილი.

<sup>103</sup> იქვე, მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი.

<sup>104</sup> „შრომის ინსპექციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის

ნაციის განმახორციელებელი პირის ან დაწესებულების მიმართ ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების მოთხოვნა<sup>105</sup>. ერთ-ერთი საშუალებაა სახალხო დამცველისთვის, როგორც დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრისა და თანასწორობის უზრუნველყოფის საკითხებზე ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანოსთვის<sup>106</sup>, განცხადებით ან საჩივრით მიმართვა. სახალხო დამცველი უფლებამოსილია განიხილოს ქალის განცხადება/საჩივარი<sup>107</sup> და თუ დაადგენს სექსუალურ შევიწროებას ან სხვა სახის დისკრიმინაციას, მსხვერპლის უფლებების აღსადგენად რეკომენდაციით მიმართოს შესაბამის დაწესებულებას ან პირს<sup>108</sup>.

სექსუალური შევიწროების შემთხვევებზე სახალხო დამცველი რეაგირებს ქვეყანაში მოქმედი ანტი-დისკრიმინაციული კანონმდებლობის შესაბამისად<sup>109</sup>. მკვლევრების შეფასებით, „სახალხო დამცველი, როგორც თანასწორობის მნიშვნელოვანი მექანიზმი, თავის პრაქტიკაში მოქნილ და დისკრიმინაციის მსხვერპლზე ორიენტირებულ მიდგომას ამკვიდრებს“<sup>110</sup>, თუმცა „საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაციები, დისკრიმინაციის, მათ შორის, სექსუალური შევიწროების, ფაქტის დადგენის შესახებ, შესასრულებლად სავალდებულო შეიძლება გახდეს მხოლოდ სასამართლოს საშუალებით“<sup>111</sup>. სექსუალური შევიწროების აღმოფხვრის შესახებ სახალხო დამცველის რეკომენდაცია სექსუალური

---

პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

<sup>105</sup> იქვე, მე-20 მუხლის მე-4 პუნქტი.

<sup>106</sup> „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-14<sup>1</sup> მუხლი.

<sup>107</sup> იქვე, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

<sup>108</sup> იქვე, მე-2 პუნქტის „ბ“ და „ზ“ ქვეპუნქტები.

<sup>109</sup> „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 და მე-9 მუხლები.

<sup>110</sup> ბეგაძე მ., გვრიტიშვილი ე., ჯოხაძე ს., სახალხო დამცველი, როგორც თანასწორობის მექანიზმი, თბილისი, 2017, 120.

<sup>111</sup> ახვლედიანი მ., პრაქტიკული სახელმძღვანელო სექსუალური შევიწროების შესახებ, თბილისი, 2020, 12.

შევიწროების ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულება არაა და მტკიცებას საჭიროებს.<sup>112</sup> ამასთან, იქიდან გამომდინარე, რომ რეკომენდაცია შესასრულებლად სავალდებულო არ არის, რაიმე სამართლებრივ შედეგს არც წარმოშობს იმ პირის მიმართ, ვისაც სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს<sup>113</sup>.

სამოქალაქო და ადმინისტრაციული სასამართლო სექსუალური შევიწროების საქმეს განიხილავს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი ნორმების<sup>114</sup> შესაბამისად, რაც გულისხმობს მტკიცების ტვირთის იმგვარ გადანაწილებას, რომ მოსარჩელე ვალდებულია სასამართლოს წარუდგინოს ფაქტები და შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდის საფუძველს იძლევა, რის შემდეგაც მოპასუხეს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ დისკრიმინაცია არ განხორციელებულა<sup>115</sup>. ნებისმიერი სამართლებრივი შედეგი<sup>116</sup>, რომელიც შესაძლოა მოპასუხის მხრიდან სექსუალური შევიწროების დადგენის შემთხვევაში წარმოიშვას, მხოლოდ სამოქალაქო და ადმინისტრაციული კანონმდებლობით<sup>117</sup> დადგენილი წესების საფუძველზე ხორციელდება<sup>118</sup>.

მსხვერპლზე ორიენტირებული და წინარწმენებისგან დამოუკიდებელი მიდგომით გენდერული ძალადობის შესახებ განცხადებისა და სარჩელის განხილვა აღდგენითი მართლმსაჯულების განხორციელებისთვის უმთავრესია და ემსახურება როგორც ძალადობა-

<sup>112</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის პირველი ნაწილი.

<sup>113</sup> ბეგაძე მ., გვრიტიშვილი ე., ჯოხაძე ს., სახალხო დამცველი, როგორც თანასწორობის მექანიზმი, თბილისი, 2017, 94.

<sup>114</sup> იხ., სამოქალაქო საპროცესო კოდექსის VII<sup>3</sup> კარი.

<sup>115</sup> იქვე, 363<sup>3</sup>-ე მუხლი.

<sup>116</sup> მათ შორის მორალური ან/და მატერიალური ზიანის ანაზღაურება.

<sup>117</sup> საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილი.

<sup>118</sup> სამოქალაქო საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის პირველი ნაწილი.

გამოვლილი ქალის, ისე შესაძლო მოძალადის ინტერესებს<sup>119</sup>. ძალადობაგამოვლილი ქალის წინააღმდეგ აღძრული ცილისწამების შესახებ სარჩელის საფუძველიც თავად გენდერული ძალადობაა და მიდგომა, რომელსაც სახალხო დამცველი და სასამართლო გენდერული დისკრიმინაციის ან სექსუალური შევიწროების შემთხვევებზე იყენებენ, მათ შორის, მტკიცებულებების გადანაწილების ან მსხვერპლის უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, ამ საქმეებზეც უნდა ვრცელდებოდეს.

### 2.3. სასამართლო სიტყვის თავისუფლება

ძალადობაგამოვლილი ქალების მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გამოხატვის თავისუფლების სრულყოფილი რეალიზაციის მიზნით არსებული საკანონმდებლო გარანტიები, მათ შორის, სასამართლო სიტყვის ცილისწამების პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება<sup>120</sup>. არსებული რეგულირების თანახმად, ცილისწამების შესახებ სარჩელის შეტანის შემთხვევაში, სასამართლომ მოსამზადებელ ეტაპზე მხარეთა მონაწილეობით უნდა შეამოწმოს, განცხადება სასამართლო სიტყვის თავისუფლების ფარგლებში ხომ არ გავრცელდა.<sup>121</sup> ეროვნული სასამართლოების გადანყვეტილებებში ასახულია ამ საკანონმდებლო ნორმის პრაქტიკული რეალიზაციის მნიშვნელობა, რადგან მრავალ საქმეზე მიღებულ გადანყვეტილებაში სასამართლო მსჯელობს, – მან შეამოწმა და დაადგინა, რომ ესა თუ ის განცხადება სასამართლო სიტყვის თავისუფლების ფარგლებში არ

<sup>119</sup> Montes D.C., Ezer T., Ali R., Bokzam K., Nargund R. S., Norris M., Zoberman M., Gender Justice and Human Rights Symposium Holistic Approaches to Gender Violence, University of Miami International and Comparative Law Review, Vol. 30, No. 1, 2022, 246.

<sup>120</sup> „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

<sup>121</sup> იქვე, მე-5 მუხლის მე-2 ნაწილი.

გავრცელებულა<sup>122</sup>. კანონი იმპერატიულად ადგენს, რომ თუ სადავო განცხადება სასამართლო სიტყვის თავისუფლების ფარგლებშია გაკეთებული, ასეთი ცილისწამების საქმის წარმოება მოსამზადებელ ეტაპზე შეწყდეს<sup>123</sup>. მკვლევრები ამ წესს სამოქალაქო პროცესში სპეციალურ მონესრიგებად მიიჩნევენ, რადგან იგი სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის წინაპირობებს სარჩელზე წარმოების შეწყვეტის საფუძვლად განსაზღვრავს<sup>124</sup>.

ძალადობაგამოვლილი ქალების მიმართ აღძრული ცილისწამების სარჩელების განხილვისას ეროვნული სასამართლოს მიერ სათანადოდ არ შეფასდა ცილისწამების პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების დამადასტურებელი გარემოებები. თბილისის საქალაქო სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში, მხოლოდ ის მიუთითა, რომ არ არსებობდა მოპასუხის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველი და დეტალურად არ იმსჯელა მედიაში გავრცელებული სადავო განცხადების შინაარსზე, რომელიც არსებითად ემთხვეოდა იმ განცხადებას, რომელიც მან სახალხო დამცველის წინაშე გააკეთა.<sup>125</sup> კანონი კი სახალხო დამცველის წინაშე გაკეთებულ განცხადებას სასამართლო სიტყვის ფარგლებში გავრცელებულად მიიჩნევს და ცილისწამებისათვის პასუხისმგებლობისგან ათავისუფლებს<sup>126</sup>. კიდევ ერთ საქმეში, სადაც ქალს ასევე ცილისწამებას ედავებოდნენ მის მიერ სოციალურ ქსელში გამოქვე-

<sup>122</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილება N2/4250-18, პარ. 5.8; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 17 იანვრის განჩინება №ას-790-739-2017, პარ. 7.3.2.

<sup>123</sup> „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

<sup>124</sup> მესხიშვილი ქ., კერძო სამართლის აქტუალური საკითხები, ტ. I, თბილისი, 2020, 266.

<sup>125</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 9 აგვისტოს გადაწყვეტილება N2/17241-18.

<sup>126</sup> „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

ყნებულის განცხადების გამო, რომელიც არსებითად იმავე ცნობებს მოიცავდა, რომელიც მან სამართალდამცავ ორგანოებს მიანოდა, სასამართლომ სრულად უგულებელყო მოპასუხის შუამდგომლობა და გადანყვეტილებაში საერთოდ არ იმსჯელა პასუხისმგებლობის განათავისუფლების გარემოებებზე<sup>127</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ გამოხატვის თავისუფლების სრულყოფილი რეალიზაციის მიზნით შექმნილი საკანონმდებლო გარანტიები მიემართება ძალადობაგამოვლილი ქალების სიტყვის თავისუფლების დაცვასაც, სასამართლო მათ არ ითვალისწინებს. სასამართლოს მიერ უგულებელყოფილია გენდერული ძალადობის შესახებ განცხადებების ცილისწამებად კვალიფიკაციის კანონით დადგენილი სტანდარტი, რომელიც ძალადობაგამოვლილი ქალების სიტყვის თავისუფლების დაცვის ერთადერთი ყველაზე ადეკვატური საშუალებაა.

## 2.2. ცრუ ინფორმაცია ან ცრუ ჩვენება

ძალადობაგამოვლილი ქალების განცხადება მათ მიმართ ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაულის თაობაზე გამოძიების დაწყების საფუძველია<sup>128</sup> და იმავდროულად, კანონმდებლობა საგამოძიებო ორგანოებს აკისრებს ვალდებულებას, განმცხადებელი ხელწერილის ჩამორთმევით გააფრთხილოს ცრუ დასმენისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ.<sup>129</sup> სამართალდამცავი უწყებებისთვის გამოსაკითხი პირის, მონმის ან დაზარალებულის მიერ ცრუ ინფორმაციის მინოდება მართლმსაჯულებისათვის ხელის შეშლად კვალიფიცირდება და დანაშაულად მიიჩნევა<sup>130</sup>.

<sup>127</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 21 ნოემბრის გადანყვეტილება №2/18681-22.

<sup>128</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 101-ე მუხლის პირველი ნაწილი.

<sup>129</sup> იქვე, 101-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

<sup>130</sup> იქვე, 370-ე მუხლი.

ცრუ დასმენის კრიმინალიზაციის მიზანი არა მხოლოდ სახელმწიფო მართლმსაჯულების ორგანოების შეცდომაში შეყვანის და შესაბამისად რესურსების ფუჭად ხარჯვის პრევენცია, არამედ ყალბი განცხადების შედეგად უდანაშაულო ადამიანის ბრალდებისგან დაცვაც არის<sup>131</sup>. ეს ქმედება ფორმალურ შემადგენლობათა კატეგორიას მიკუთვნებული დანაშაულია და დამთავრებულად მიიჩნევა დაზარალებულის მიერ ცრუ ჩვენების მიცემის მომენტიდან<sup>132</sup>. ეროვნული სასამართლოები ინფორმაციას ცრუ ინფორმაციად განიხილავენ, თუ მასში მთლიანად ან ნაწილობრივ განზრახ არის დამახინჯებული საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტები და სინამდვილე, რომელიც არსებითია საქმის ობიექტურად გადანყვეტისთვის<sup>133</sup>. მოწმის ჩვენების ბუნდოვანი ხასიათის მძიმე შედეგებზე მიუთითებს საკონსტიტუციო სასამართლოც და განმარტავს, რომ ამან „შესაძლებელია, შექმნას პირის ბრალეულობის ცრუ განცდა და უდანაშაულო პირის მსჯავრდება გამოიწვიოს“<sup>134</sup>.

ამდენად, ძალადობაგამოვლილი ქალის განცხადება მის მიმართ ჩადენილი დანაშაულის თაობაზე ექვემდებარება მკაცრ კონტროლს სისხლისსამართლებრივი წესით და უდავოა, რომ ეროვნული კანონმდებლობა მნიშვნელოვან დაცვის გარანტიებს ქმნის პირებისთვის, ვისაც შესაძლოა გენდერული ძალადობის ჩადენას ედავებოდნენ.

<sup>131</sup> Yin T., *Independent Appellate Review of Knowledge of Falsity in Defamation and False Statements Cases*, *Berkeley Journal of Criminal Law*, Vol. 15, No. 2, 2010, 336-337.

<sup>132</sup> ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წ. II, თბილისი, 2017, 485.

<sup>133</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 6 მარტის განაჩენი №1ბ/2010-19.

<sup>134</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 28 დეკემბრის №3/2/1478 გადაწყვეტილება საქმეზე, „თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-20 ნაწილის მე-2 წინადადების, 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-3 წინადადების, 48-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, მე-5 ნაწილის პირველი წინადადებისა და მე-7 ნაწილის პირველი წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე“, II-50.

### III. გამოსატვის თავისუფლება და სხვათა რეპუტაცია და უფლებები

ძალადობაგამოვლილი ქალების გამოსატვის თავისუფლება არ არის აბსოლუტური უფლება და იზღუდება სხვისი რეპუტაციის დაცვის ლეგიტიმური მიზნიდან გამომდინარე,<sup>135</sup> ამ თვალსაზრისით, გამოსატვის თავისუფლება და რეპუტაციის დაცვის უფლება დაპირისპირებული ინტერესებია<sup>136</sup>. გამოსატვის თავისუფლებაში ნებისმიერმა ჩარევამ უნდა დააკმაყოფილოს კონსტიტუციით<sup>137</sup> და ევროპული კონვენციით<sup>138</sup> დადგენილი სამნაწილიანი ტესტი, რომელიც მოითხოვს სამი გარემოების კუმულაციურ არსებობას: ჩარევა უნდა ხდებოდეს კანონით დადგენილი წესით<sup>139</sup>, ლეგიტიმური მიზნის დასაცავად<sup>140</sup> და აუცილებელი უნდა იყოს დემოკრატიულ საზოგადოებაში<sup>141</sup>. გამოსატვის თავისუფლებასა და პირადი ცხოვრების დაცულობის უფლებების კონფლიქტისას უპირატესობა

<sup>135</sup> Guide on Article 10 of the European Convention on Human Rights, Council of Europe, 2022, 40.

<sup>136</sup> Cohen-Almagor R., *Speech, Media and Ethics*, London, 2001, 28.

<sup>137</sup> საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტი.

<sup>138</sup> ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-10 მუხლის მეორე პუნქტი.

<sup>139</sup> *Ragıp Zarakolu v. Turkey* [ECtHR], App. no. 15064/12, 15 September 2020, para. 79; *Sabuncu and Others v. Turkey* [ECtHR], App. no. 23199/17, 10 November 2020, para. 230.

<sup>140</sup> *Bayev and Others v. Russia* [ECtHR], App. no. 67667/09 and 2 others, 20 June 2017, paras. 64 and 83; *Morice v. France* [ECtHR], App. no. 29369/10, 23 April 2015, para. 170; *Perinçek v. Switzerland* [ECtHR], App. no. 27510/08, 17 December 2013, paras. 146-154; *Stoll v. Switzerland* [ECtHR], App. no. 69698/01, 10 December 2007, para. 54; *Open Door and Dublin Well Woman v. Ireland* [ECtHR], App. nos. 14234/88, 14235/88, 29 October 1992, para. 63; *Kilin v. Russia* [ECtHR], App. no. 10271/12, 11 May 2021, paras. 63-66.

<sup>141</sup> *Stoll v. Switzerland* [ECtHR], App. no. 69698/01, 10 December 2007, para. 101; *Morice v. France* [ECtHR], App. no. 29369/10, 23 April 2015, para. 124; *Pentikäinen v. Finland* [ECtHR], App. no. 11882/10, 20 October 2015 para. 87.

ენიჭება დაბალანსების მეთოდოლოგიის გამოყენებას როგორც ევროპული სასამართლოს<sup>142</sup>, ისე სხვა სასამართლოების მიერ<sup>143</sup>. ძალადობაგამოვლილი ქალის, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა ინდივიდის გამონატვის თავისუფლების დაცვისთვის სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს ოპტიმალური ბალანსი დაპირისპირებულ ინტერესებს შორის<sup>144</sup>. ამ უფლებათა დაბალანსებისას სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად გასათვალისწინებელია განცხადების შინაარსთან დაკავშირებით საზოგადოებრივი ინტერესი<sup>145</sup> და პირის სტატუსი საჯაროობასთან მიმართებით<sup>146</sup>.

## 1. ადამიანის უფლება რეპუტაციაზე

ქალების მიერ განცდილი ძალადობის შესახებ საჯაროდ საუბარი ცალსახად ახდენს გავლენას იმ პირის რეპუტაციაზე<sup>147</sup>, რომელსაც მიემართება განცხადებაში ნახსენები ფაქტები და აზრები<sup>148</sup>. უფლება რეპუტაციაზე ადამიანის ღირსების განუყოფელი ნაწილია და დაცულია როგორც კონსტიტუციით, ისე ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლით<sup>149</sup>, მათ შორის, ევროპული კონვენ-

<sup>142</sup> Von Hannover v. Germany (No. 2) [ECtHR], App. nos. 40660/08 and 60641/08, 7 February 2012, paras. 104-107; Axel Springer AG v. Germany [ECtHR], App. no. 39954/08, 7 February 2012, paras. 85-88; Perinçek v. Switzerland [ECtHR], App. no. 27510/08, 17 December 2013, para. 198.

<sup>143</sup> Barendt E., *Freedom of Speech*, Oxford University Press, 2007, 225-226.

<sup>144</sup> McGonagle T., *Freedom of Expression and Defamation*, Strasbourg, 2016, 18.

<sup>145</sup> Moosavian R., *Deconstructing Public Interest in the Article 8 vs Article 10 Balancing Exercise*, *Journal of Media Law*, Vol. 6, No. 2, 2014, 243.

<sup>146</sup> O'Callaghan P., *Article 8 ECHR as a General Personality Right*, *Journal of European Tort Law*, Vol. 6, No. 1, 2015, 80-82.

<sup>147</sup> Medžlis Islamske Zajednice Brčko and Others v. Bosnia and Herzegovina [ECtHR], App. no. 17224/11, 27 June 2017, para. 27.

<sup>148</sup> Barendt E., *Balancing Freedom of Expression and the Right to Reputation: Reflections on Reynolds and Reportage*, *Northern Ireland Legal Quarterly*, Vol. 63, No. 1, 2012, 59.

<sup>149</sup> ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-12 მუხლი; გაეროს

ციით<sup>150</sup>. კონვენცია ექსპლიციტურად ადგენს, რომ სხვისი რეპუტაციის დაცვა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ერთ-ერთი საფუძველია,<sup>151</sup> თუმცა, იმავდროულად, ევროპული სასამართლოს პრაქტიკით დადგენილია, რომ რეპუტაციაზე უფლება, როგორც ადამიანის პირადი ცხოვრების ერთ-ერთი კომპონენტი, დამოუკიდებელი უფლებაა<sup>152</sup> და სახელმწიფოს მისი დაცვის პოზიტიური ვალდებულება აკისრია<sup>153</sup>.

ადამიანის უფლება, დაიცვას საკუთარი რეპუტაცია და შესაბამისად, ღირსება, პირდაპირ კავშირშია მისი ცილისწამებისგან დაცვასთან<sup>154</sup>. თავის მხრივ, ცილისწამება არის განცხადება, რომელიც შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს და პირისთვის ზიანის მიმყენებელი და სახელის გამტეხია<sup>155</sup>. ნებისმიერი განცხადების ცილისწამებად კვალიფიკაცია მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ

---

სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-17 მუხლის პირველი პუნქტი.

<sup>150</sup> Axel Springer AG v. Germany [ECtHR], App. no. 39954/08, 7 February 2012, para. 83; Chauvy and Others v. France [ECtHR], App. no. 64915/01, 29 September 2004, para. 70; Standard Verlags GmbH and Krawagna-Pfeifer v. Austria [ECtHR], App. no. 19710/02, 2 November 2006, para. 35; Petrina v. Romania [ECtHR], App. no. 78060/01, 14 October 2008, para. 28; Polanco Torres and Movilla Polanco v. Spain [ECtHR], App. no. 34147/06, 21 September 2010, para. 40.

<sup>151</sup> ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი.

<sup>152</sup> Karakó v. Hungary [ECtHR], App. no. 39311/05, 28 April 2009, para. 18.

<sup>153</sup> Popovski v. the Former Yugoslav Republic of Macedonia [ECtHR], App. no. 12316/07, 24 March 2014, para. 88; Daneş and Others v. Romania [ECtHR], App. nos. 44332/16, 44829/16, 44839/16, 7 December 2021, para. 33.

<sup>154</sup> Smet S., Freedom of Expression and the Right to Reputation: Human Rights in Conflict, *American University International Law Review*, Vol. 26, No. 1, 2010, 192; Hilgendorf E., Human Rights, Human Dignity, and the Concept of Honour: A German Perspective, *Cardozo Journal of International and Comparative Law*, Vol. 25, No. 3, 2017, 515.

<sup>155</sup> „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ე“ ქვეპუნქტი.

დამტკიცდება, რომ ის შეიცავს ფაქტებს<sup>156</sup>, რადგან აზრის ნამდვილობა არ ექვემდებარება მტკიცებას<sup>157</sup>.

ძალადობაგამოვლილი ქალების განცხადება მათი გამოცდილების შესახებ შესაძლოა მოიცავდეს როგორც კონკრეტული მოვლენების აღწერას<sup>158</sup>, ისე ამ მოვლენების შეფასებას<sup>159</sup>. განცხადების ცილისწამებად კვალიფიკაციისთვის არსებითია სწორედ ფაქტებისა და აზრების ერთმანეთისგან გამიჯვნა, რაც საკმაოდ რთული ამოცანაა<sup>160</sup> სასამართლოსთვის, რადგან ისინი ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდება.<sup>161</sup> აზრისა და ფაქტის გამიჯვნასთან დაკავშირებით ევროპული სასამართლოც ადგენს, რომ ფაქტებსა და ღირე-

<sup>156</sup> *McVicar v. the United Kingdom* [ECtHR], App. no. 46311/99, 7 May 2002, para. 83; *Lingens v. Austria* [ECtHR], App. no. 9815/82, 8 July 1986, para. 46; *Gorelishvili v. Georgia* [ECtHR], App. no. 12979/04, 5 June 2007, para. 38; *Grinberg v. Russia* [ECtHR], App. no. 23472/03, 21 July 2005, paras. 29-30.

<sup>157</sup> *Morice v. France* [ECtHR], App. no. 29369/10, 23 April 2015, para. 126; *Dalban v. Romania* [ECtHR], App. no. 28114/95, 28 September 1999, para. 49; *Lingens v. Austria* [ECtHR], App. no. 9815/82, 8 July 1986, para. 46; *Oberschlick v. Austria* (no. 1) [ECtHR], App. no. 20834/92, 29 November 1995, para. 63; *OOO Izdatelskiy Tsentri Kvartirnyy Ryad v. Russia* [ECtHR], App. no. 39748/05, 25 April 2017, para. 44; *Reichman v. France* [ECtHR], App. no. 50147/11, 12 July 2016, para. 72; *Paturel v. France* [ECtHR], App. no. 54968/00, 22 December 2005, para. 35; *Lindon, Otchakovsky-Laurens and July v. France* [ECtHR], App. nos. 21279/02 and 36448/02, 22 October 2007, para. 55; *De Carolis and France Télévisions v. France* [ECtHR], App. no. 29313/10, 21 January 2016, para. 54.

<sup>158</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილება №2/18681-22.

<sup>159</sup> იქვე.

<sup>160</sup> *Melkonian H., Freedom of Speech and Society*, Cambria Press, 2012, 105.

<sup>161</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება №ას-1278-1298-2011; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 3 აპრილის განჩინება №ას-1477-1489-2011; საქართველოს უზენაესი სასამართლოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 17 იანვრის განჩინება №ას-790-739-2017; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 13 აპრილის განჩინება №ას-358-2021.

ბულებით განსჯას შორის განსხვავება ხშირად ბუნდოვანია<sup>162</sup>. ამის მიუხედავად, სასამართლო, მიუთითებს რა განცხადებაში აზრებისა და ფაქტების განსხვავების აუცილებლობაზე,<sup>163</sup> კრიტიკიუმების განსაზღვრას ეროვნული სასამართლოების კომპეტენციას აკუთვნებს<sup>164</sup>. „სიტყვისა და გამობატვის თავისუფლების შესახებ“ კანონი ფაქტისა და აზრის გამიჯვნისათვის მინიმალურ სტანდარტს აწესებს, თუმცა განმარტავს მხოლოდ აზრს<sup>165</sup> და არაფერს ამბობს ფაქტის შესახებ. იმავდროულად, კანონმდებელი იმპერატიულად მოითხოვს, რომ აზრის ან ფაქტის სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვისას ყოველგვარი გონივრული ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, გადაწყდეს განცხადებაში მოყვანილი ცნობებისათვის აზრის სტატუსის მინიჭების სასარგებლოდ<sup>166</sup>.

კანონი კვალიფიციურ პრივილეგიას<sup>167</sup> ანიჭებს და პასუხისმგებლობისგან ათავისუფლებს განცხადების ავტორს, თუ მისი მიზანი საზოგადოების კანონიერი ინტერესების დაცვაა და დაცული სიკეთე მიყენებულ ზიანს აღემატება.<sup>168</sup> გამონათქვამის აზრად ან ფაქტად მიჩნევისთვის არსებითია, შეფასდეს, რამდენად სუბიექტური ან ობიექტურია იგი<sup>169</sup>, რამდენად არსებობს მისი გადამონმების შესაძლებლობა,<sup>170</sup> გამონათქვამის შინაარსი, გამოთქმის ფორმა და

<sup>162</sup> *Karsai v. Hungary* [ECtHR], App. no. 5380/07, 1 December 2009, paras. 32-33.

<sup>163</sup> *Oberschlick v. Austria* (No. 1) [ECtHR], App. no. 20834/92, 29 November 1995, para. 46.

<sup>164</sup> *Peruzzi v. Italy* [ECtHR], App. no. 39294/09, 30 June 2015 para. 48.

<sup>165</sup> „სიტყვისა და გამობატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი.

<sup>166</sup> იქვე, მე-7 მუხლის მე-5 პუნქტი.

<sup>167</sup> იქვე, პირველი მუხლის „ქ“ პუნქტი.

<sup>168</sup> იქვე, მე-15 მუხლის „ბ“ პუნქტი.

<sup>169</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 1 ოქტომბრის განჩინება №ას-179-172-2012.

<sup>170</sup> Quinn P., *Stigma, State Expressions and the Law*, London, 2019, 237-238.

კონტექსტი, რა ფაქტობრივი ელემენტებისაგან შედგება გამონათქვამი<sup>171</sup> და რამდენად დადასტურებადია<sup>172</sup>.

ძალადობაგამოვლილი ქალების მიმართ აღძრული ცილისწამების სარჩელების განხილვისას სასამართლო არაერთგვაროვან პრაქტიკას ადგენს აზრისა და ფაქტის გამიჯვნის თვალსაზრისით. ერთ-ერთ საქმეში, სადაც ქალს ცილისწამებას ედავებოდნენ, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ სადავო განცხადებებში ქალის მიერ აღწერილი ძალადობის გამოცდილება, მათ შორის, სამუშაო ადგილზე სქესის ნიშნით დისკრიმინაციაზე მითითება ობიექტურად არსებულ გარემოებებზე შეაფასა და მასზე გაავრცელა სისწორისა და ნამდვილობის მტკიცების კრიტერიუმები.<sup>173</sup> უნდა აღინიშნოს, რომ განსახილველ შემთხვევაში ქალის განცხადება ეფუძნებოდა სახალხო დამცველის რეკომენდაციას სქესის ნიშნით დისკრიმინაციისა და სექსუალური შევიწროების შესახებ<sup>174</sup> და მის მიერვე დადგენილ ფაქტებს. მეორე საქმეში, სადაც ქალს მის მიმართ ჩადენილი ძალადობის შესახებ განცხადების გამო ცილისწამებას ედავებოდნენ, სასამართლომ განცხადებაში აღწერილი ძალადობრივი გამოცდილება, რომელიც ქალის მიმართ მოძალადის მხრიდან სექსუალური შინაარსის კომენტარებში გამოიხატა, მიიჩნია კომენტარად, შეხედულებად და შეფასებად<sup>175</sup>.

ევროპული სასამართლო ფაქტებისა და ღირებულებითი განსჯის გამიჯვნისთვის არსებითად მიიჩნევს ცალკეული საქმის

<sup>171</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 3 აპრილის განჩინება №ას-1477-1489-2011.

<sup>172</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება №ას-1052-1007-2014.

<sup>173</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 13 აპრილის განჩინება №ას-358-2021, პარ. 43.

<sup>174</sup> საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის 3 მაისის რეკომენდაცია N13-2/5713.

<sup>175</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილება №2/18681-22.

გარემოებების გათვალისწინებას<sup>176</sup> და განცხადების ზოგადი ტონის შეფასებას.<sup>177</sup> გარდა ამისა, რეპუტაციის დაცვის ლეგიტიმური მიზნიდან გამომდინარე, იგი ხუთი ძირითადი გარემოების გათვალისწინების ვალდებულებას ადგენს: ნვლილი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე დებატებში, დაზარალებული პირის ცნობადობის ხარისხი, განცხადების საგანი, დაინტერესებული პირის წინასწარი ქცევა, პუბლიკაციის შინაარსი, ფორმა და შედეგები.<sup>178</sup> ამ თვალსაზრისით, სასამართლო ხაზს უსვამს კონტექსტის მნიშვნელობას და უპირველეს ყოვლისა, განცხადების კავშირს საჯარო ინტერესის საკითხებთან,<sup>179</sup> იმავდროულად, ადგენს, რომ განცხადების აზრის გამობატვად კვალიფიცირების შემთხვევაშიც უნდა არსებობდეს საკმარისი ფაქტობრივი საფუძველი, რათა თავიდან იქნეს აცილებული არაკეთილსინდისიერება.<sup>180</sup> ამდენად, განცხადების აზრად კვალიფიცირება არ გამოირიცხავს მასზე გარკვეული სახის კონტროლს<sup>181</sup>.

გამობატვის თავისუფლებით დაცულია არა მხოლოდ იდეებისა და ინფორმაციის შინაარსი, არამედ მისი გადმოცემის ფორმაც.<sup>182</sup>

<sup>176</sup> Feldek v. Slovakia [ECtHR], App. no. 29032/95, 12 October 2001, para. 86.

<sup>177</sup> Brasillier v. France [ECtHR], App. no. 71343/01, 11 April 2006, para. 37; Baskas v. Greece [ECtHR], App. no. 73087/17, 5 November 2020, para. 58.

<sup>178</sup> Von Hannover v. Germany (no. 2) [ECtHR], App. nos. 40660/08 and 60641/08, 7 February 2012, paras. 109-113; Von Hannover v. Germany (no. 3) [ECtHR], App. no. 8772/10, 19 September 2013, para. 46; Axel Springer AG v. Germany [ECtHR], App. no. 39954/08, 7 February 2012, paras. 89-95; Tănăsioaica v. Romania [ECtHR], App. No. 3490/03, 19 June 2012, para. 41.

<sup>179</sup> Paturel v. France [ECtHR], App. no. 54968/00, 22 December 2005, para. 37.

<sup>180</sup> Pedersen and Baadsgaard v. Denmark [ECtHR], App. no. 49017/99, 17 December 2004, para. 76; De Haes and Gijssels v. Belgium [ECtHR], App. no. 19983/92, 24 February 1997, para. 42; Oberschlick v. Austria (no. 2) [ECtHR], App. no. 20834/92, 1 July 1997, para. 33; Lindon, Otchakovsky-Laurens and July v. France [ECtHR], App. nos. 21279/02 and 36448/02, 22 October 2007, para. 55.

<sup>181</sup> მესხიშვილი ქ., კერძო სამართლის აქტუალური საკითხები, ტ. I, თბილისი, 2020, 258.

<sup>182</sup> De Haes and Gijssels v. Belgium [ECtHR], App. no. 19983/92, 24 February 1997, para. 48; Jersild v. Denmark [ECtHR], App. no. 15890/89, 23 September 1994, para. 31; Oberschlick v. Austria (no. 1) [ECtHR], App. no. 20834/92,

გადმოცემის ფორმით დივერსიფიკაციას პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს, რადგან განსხვავებულია მისი გავლენა.<sup>183</sup> თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების კვალდაკვალ, სასამართლო აფასებს სხვადასხვა საინფორმაციო საკომუნიკაციო ინსტრუმენტის საშუალებით გავრცელებული განცხადებების გავლენას და ინტერნეტს, ბეჭდური პრესისგან განსხვავებით, განსაკუთრებული ზემოქმედების შესაძლებლობით ახასიათებს.<sup>184</sup> ძალადობაგამოვლილი ქალის განცხადებების ცილისწამებად კვალიფიკაციისთვის არსებითად მნიშვნელოვანია განცხადების ფორმის გათვალისწინება, რადგან თუ განცხადება გაკეთებულია ტელევიზიაში ან რადიოში პირდაპირი ჩართვის დროს, არ არსებობს მისი სათანადო ფორმულირების შესაძლებლობა, რაც მისი ცილისწამებად კვალიფიკაციის რისკს მინიმუმამდე ამცირებს<sup>185</sup>.

ცილისწამების საქმეთა განხილვისას ცენტრალურ ელემენტად მიიჩნევა და განსაკუთრებული ყურადღება ექცევა რეპუტაციაზე თავდასხმის სერიოზულობის დონეს,<sup>186</sup> რაც, უწინარესად, პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებაში ჩარევის დადგენას განაპირობებს<sup>187</sup>. ნებისმიერი რეპუტაციული ზიანი, თავის მხრივ, უკავშირდება ადამიანის რეპუტაციის შელახვას საზოგადოებაში და ამ

---

29 November 1995, para. 57.

<sup>183</sup> *Animal Defenders International v. the United Kingdom* [ECtHR], App. no. 48876/08, 22 April 2013, para. 119.

<sup>184</sup> *M.L. and W.W. v. Germany* [ECtHR], App. nos. 60798/10 and 65599/10, 28 September 2018 para. 91; *Delfi AS v. Estonia* [ECtHR], App. no. 64569/09, 16 June 2015, para. 133.

<sup>185</sup> *Otegi Mondragon v. Spain* [ECtHR], App. nos. 4184/15 and 4 other applications, 6 February 2019, para. 54; *Fuentes Bobo v. Spain* [ECtHR], App. no. 39293/98, 29 February 2000, para. 46; *Reznik v. Russia* [ECtHR], App. no. 4977/05, 4 April 2013, para. 44.

<sup>186</sup> *Arztammer Fur Wien and Dorner v. Austria* [ECtHR], App. no. 8895/10, 16 February 2016, para. 62.

<sup>187</sup> *Bédat v. Switzerland* [ECtHR], App. no. 56925/08, 29 March 2016, para. 72; *Axel Springer AG v. Germany* [ECtHR], App. no. 39954/08, 7 February 2012, para. 83; *A. v. Norway* [ECtHR], App. no. 28070/06, 9 April 2009, para. 64.

საზოგადოების რწმენა-წარმოდგენების და მორალის კონტექსტში უნდა შეფასდეს განცხადების ნეგატიური გავლენა.<sup>188</sup> ცილისმწამებლური ფაქტობრივი ბრალდებები იმდენად შეურაცხმყოფელი შეიძლება იყოს, რომ უშუალო გავლენა მოახდინოს მოსარჩელის სიცოცხლეზე<sup>189</sup>.

რეპუტაციაზე თავდასხმის სერიოზულობის შეფასებისას გასათვალისწინებელია ძალადობაგამოვლილი ქალების განცხადებების ადრესატების წინარე ქცევა, რადგან სწორედ აღნიშნულის საფუძველზეა შესაძლებელი დასაშვები კრიტიკის ზღვარის დადგენა და შესაბამისად, რეპუტაციულ ზიანზე აპელირება.<sup>190</sup> წინარე ქცევა შესაძლოა უკავშირდებოდეს ნებისმიერ ქმედებას, რომელმაც განაპირობა განცხადების გაკეთება, მათ შორის ცალსახად მოიაზრება გენდერული ძალადობის ჩადენა. ევროპულმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში დაადგინა, რომ სწორედ განცხადების ადრესატის წინარე ქცევამ მოახდინა აპლიკანტის პროვოცირება, ეპასუხა მის მიმართ გაჟღერებულ ბრალდებებზე<sup>191</sup>, რაც ასევე გამოხატვის თავისუფლებით არის დაცული<sup>192</sup>.

ამდენად, ძალადობაგამოვლილი ქალების გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა სხვა პირის რეპუტაციის დაცვის მიზნით მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული, რომელთა გათვალისწინების გარეშეც გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა არაპროპორციულ საშუალებად შეიძლება იქნეს მიჩნეული. ყოველ ინდივიდუალურ

---

<sup>188</sup> Lidsky L.B., *Defamation, Reputation and Myth of the Community*, *Washington Law Review*, Vol. 71, No. 1, 1996, 12-13.

<sup>189</sup> *Toranzo Gomez v. Spain* [ECtHR], App. no. 26922/14, 20 November 2018, para. 51; *Karakó v. Hungary* [ECtHR], App. no. 39311/05, 28 April 2009, para. 23; *Polanco Torres and Movilla Polanco v. Spain* [ECtHR], App. no. 34147/06, 21 September 2010, para. 40.

<sup>190</sup> *Hachette Filipacchi Associés (ICI PARIS) v. France* [ECtHR], App. no. 12268/03, 23 July 2009, paras. 52-53.

<sup>191</sup> *Tölle v. Croatia* [ECtHR], App. no. 41987/13, 10 December 2020, para. 42.

<sup>192</sup> *Kaperzyński v. Poland* [ECtHR], App. no. 43206/07, 3 April 2012, para. 6.

შემთხვევაში სასამართლომ უნდა შეაფასოს განცხადების შინაარსის მიმართ საჯარო ინტერესი, რეპუტაციისთვის მიყენებული ზიანი და განცხადების ავტორის ბოროტი განზრახვა და ბრალეულობა. სწორედ ამ ინდიკატორების შესაბამისად უნდა გადაწყვიტოს სამართალშემფარდებელმა განცხადებაში მოტანილი ცნობებისთვის თვალსაზრისის ან კომენტარის თუ ფაქტის სტატუსის მინიჭება. ძალადობაგამოვლილი ქალების მიმართ ცილისწამების დავებზე საქმის ობიექტურად და სამართლიანად გადაწყვეტა სწორედ ზემოაღნიშნული გარემოებების გამოკვლევის საშუალებით არის შესაძლებელი, წინააღმდეგ შემთხვევევაში, კანონი და მართლმსაჯულების სისტემა გამოყენებული იქნება ქალების გაჩუმების იარაღად და არა მათ დასაცავად<sup>193</sup>.

## 2. კერძო და საჯარო პირის ცილისწამება

ძალადობაგამოვლილი ქალების განცხადებები შესაძლოა მიემართებოდეს როგორც კერძო, ისე საჯარო პირებს და მათი ცილისწამებისგან დაცვისთვის განსხვავებული გარანტიებია დაწესებული.<sup>194</sup> საჯარო პირების მიმართ დასაშვები კრიტიკის ფარგლები უფრო ფართოა<sup>195</sup> და მათი რეპუტაციის დაცვის ხარისხი – უფრო ნაკლები<sup>196</sup>. კერძო პირები<sup>197</sup>, რომლებიც მათ მიმართ ცილისწამებაზე დავო-

<sup>193</sup> Oppenheimer D.B., Defamation Law Is Being Weaponized to Destroy the Global #MeToo Movement: Can Free Speech Protections Help Counter the Impact?, in: The Global #MeToo Movement, Edited by A. M. Noel and D. B. Oppenheimer, A Full Court Press, 2020, 507.

<sup>194</sup> „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 და მე-14 მუხლები.

<sup>195</sup> ფრუიდე ს., გამოხატვის უფლების მიმართეზა პატივისა და რეპუტაციის პიროვნულ უფლებებთან, „სამართლის ჟურნალი“, №1, 2016, 139.

<sup>196</sup> Redish M. H., The Value of Free Speech, in: Freedom of Speech, Vol. I, Edited by L. Alexander, London, 2000, 206-207.

<sup>197</sup> ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც არ არის საჯარო პირი ან ადმინისტრაციული ორგანო. იხ., „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „კ“ ქვეპუნქტი.

ბენ, ვალდებულნი არიან ამტკიცონ, რომ მათ მიმართ გაკეთებული განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს და ამით ზიანი მიადგათ<sup>198</sup>, ხოლო საჯარო პირებს<sup>199</sup> ასევე ევალემატ განცხადების ავტორის ბრალეულობის მტკიცება, რაც შეიძლება გამოიხატოს, ერთი მხრივ, იმაში, რომ მოპასუხისათვის წინასწარ იყო ცნობილი ფაქტის მცდარობის შესახებ ან მოპასუხემ გამოიჩინა აშკარა და უხეში დაუდევრობა<sup>200</sup>.

იმ პირის სტატუსი, რომელსაც მიემართება ცილისმწამებლური განცხადები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაა, რომელსაც ევროპული სასამართლო ასეთი საქმეების განხილვისას ითვალისწინებს.<sup>201</sup> სხვადასხვა საქმეში სასამართლოს დადგენილი აქვს, რომ „დასაშვები კრიტიკის საზღვრები“, კერძო პირებთან შედარებით, საჯარო სტატუსის მქონე პირებთან მიმართებით, გაცილებით ფართოა.<sup>202</sup> საჯარო მოხელეებთან მიმართებით, ერთი მხრივ, მნიშვნელოვანია მათი დაცვა რეპუტაციის შემლახავი განცხადებებისგან,<sup>203</sup> ხოლო, მეორე მხრივ, მათ მოეთხოვებათ ტოლერანტობის უფრო მა-

---

<sup>198</sup> იქვე, მე-13 მუხლი.

<sup>199</sup> „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრული თანამდებობის პირი; პირი, რომლის გადანიყვებილება ან აზრი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე; პირი, რომლისკენაც მისი გარკვეული ქმედების შედეგად ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით მიმართულია საზოგადოებრივი ყურადღება. იხ., სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ი“ ქვეპუნქტი.

<sup>200</sup> იქვე, მე-14 მუხლი.

<sup>201</sup> Von Hannover v. Germany (No. 2) [ECtHR], App. nos. 40660/08 and 60641/08, 7 February 2012, para. 110; Verlagsgruppe News GmbH v. Austria (no. 2) [ECtHR], App. no. 10520/02, 14 December 2006, para. 34; Alpha Doryforiki Tileorasi Anonymi Etairia v. Greece [ECtHR], App. no. 72562/10, 22 February 2018, para. 53.

<sup>202</sup> Palomo Sánchez and Others v. Spain [ECtHR], App. nos. 28955/06, 28957/06, 28959/06 and 28964/06, 12 September 2011, para. 71; Dyuldin and Kislov v. Russia [ECtHR], App. no. 25968/02, 31 July 2007, para. 83; Radio Twist a.s. v. Slovakia [ECtHR], App. no. 62202/00, 19 March 2007, para. 53.

<sup>203</sup> Busuioac v. Moldova [ECtHR], App. no. 61513/00, 21 March 2005, para. 64; Lešník v. Slovakia [ECtHR], App. no. 35640/97, 11 June 2003, para. 53.

ღალი ხარისხი კრიტიკისას, ვიდრე ინდივიდებს, რომელთაც არ გააჩნიათ საჯარო პირის სტატუსი,<sup>204</sup> თუმცა, აქვე, მნიშვნელოვანია, გათვალისწინებული იქნეს, რამდენად მაღალი თანამდებობა უკავია საჯარო მოხელეს<sup>205</sup>. ერთ-ერთ საქმეში სასამართლომ ხაზი გაუსვა სადავო განცხადებების ადრესატის როლისა და ფუნქციის მნიშვნელობას და ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ საჯარო პირი ახორციელებდა სამსახურებრივ ფუნქციებს<sup>206</sup>.

საჯარო და კერძო პირების მკაფიო საკანონმდებლო დეფინიციების მიუხედავად, ეროვნული სასამართლოების მიდგომა არაერთგვაროვანია. ერთ-ერთ საქმეში თბილისის საქალაქო სასამართლომ კერძო პირად მიიჩნია პოლიციელი, რომლის საქმიანობის შესახებაც მომზადდა სატელევიზიო სიუჟეტი.<sup>207</sup> კიდევ ერთ საქმეში, სადაც ძალადობაგამოვლილ ქალს ცილისწამებას ედავებოდნენ და სასამართლომ დაადგინა, რომ განცხადების ადრესატი საჯარო პირია, დასაშვები კრიტიკის ფარგლები მაინც არ გააფართოვა და არ იმსჯელა განცხადების ავტორის ბრალეულობაზე<sup>208</sup>.

ძალადობაგამოვლილი ქალები, რომლებიც საჯარო პირების მხრიდან ჩადენილ გენდერულ ძალადობაზე ღიად საუბრობენ, შესაძლოა მამხილებლებიც აღმოჩნდნენ,<sup>209</sup> განსაკუთრებით ისეთ შემ-

<sup>204</sup> Mamère v. France [ECtHR], App. no. 12697/03, 7 February 2007, para. 27; Janowski v. Poland [ECtHR], App. no. 25716/94, 21 January 1999, para. 33; Mariapori v. Finland [ECtHR], App. no. 37751/07, 6 July 2010, para. 56; Nikula v. Finland [ECtHR], App. no. 25576/04, 6 July 2010, para. 48; Balaskas v. Greece [ECtHR], App. no. 73087/17, 5 November 2020, para. 48; Milosavljević v. Serbia [ECtHR], App. no. 57574/14, 25 May 2021, para. 60.

<sup>205</sup> Nilsen and Johnsen v. Norway [ECtHR], App. no. 23118/93, 9 September 1998, para. 52; De Carolis and France Télévisions v. France [ECtHR], App. no. 29313/10, 21 January 2016, para. 52.

<sup>206</sup> Kaçki v. Poland [ECtHR], App. no. 10947/11, 4 July 2017, paras. 54-55.

<sup>207</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილება №2/3332-21.

<sup>208</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 13 აპრილის განჩინება №ას-358-2021.

<sup>209</sup> Saade M., Women & Whistleblowing, Hastings Journal of Gender and Law,

თხვევაში, როდესაც ისინი დამსაქმებლის უკანონო ქცევის შესახებ აცხადებენ<sup>210</sup>. ევროპის საბჭოს რეზოლუციის თანახმად, მამხილებელი შესაძლოა იყოს ნებისმიერი პირი, რომელიც ღიად ავრცელებს ინფორმაციას საჯარო ინტერესისთვის საფრთხის ან ზიანის შესახებ,<sup>211</sup> მისი შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე.<sup>212</sup> მხილების თავისუფლება და მამხილებელთა დაცვა შურისძიებისგან დაცულია გამონაკის თავისუფლებით,<sup>213</sup> თუმცა მას აქვს გენდერული განზომილება, რადგან ქალების მხრიდან მხილება საზოგადოების მიერ შეუფერებელ ქცევად აღიქმება<sup>214</sup>. ერთ-ერთ საქმეში, სადაც ძალადობაგამოვლილმა ქალმა მისი ყოფილი უფროსი ამხილა მის მიმართ სექსუალურ შევიწროებასა და სქესის ნიშნით დისკრიმინაციაში, არცერთი ინსტანციის სასამართლომ არ იმსჯელა მასზე, როგორც მამხილებელზე,<sup>215</sup> რომელიც თავისი განცხადებით იცავდა არა მხოლოდ საკუთარ უსაფრთხოებას, არამედ საზოგადოებრივ ინტერესს – გენდერული ძალადობისგან თავისუფალ სამუშაო ადგილს<sup>216</sup>. სა-

---

Vol. 34, No. 1, 2023, 43-68.

<sup>210</sup> Kuhlmann-Macro V.F., *Blowing the Whistle on the Employment At-will Doctrine*, *Drake Law Review*, Vol. 41, No. 2, 1992, 343.

<sup>211</sup> Bakirci K., *Work-Related Whistle-Blowing in Democratic Societies Context: A Comparative Study of International, EU and Turkish Law*, *Journal of Financial Crime*, Vol. 26, No. 4, 2019, 1169.

<sup>212</sup> Recommendation CM/Rec(2014)7 of the Committee of Ministers to member States on the protection of whistleblowers, Council of Europe, 30 April 2014.

<sup>213</sup> „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი.

<sup>214</sup> Saade M., *Women & Whistleblowing*, *Hastings Journal of Gender and Law*, Vol. 34, No. 1, 2023, 48.

<sup>215</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 9 აგვისტოს გადაწყვეტილება №2/17241-18; თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილება №23/318-20; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 13 აპრილის განჩინება №ას-358-2021.

<sup>216</sup> Myers A., *Evaluation Report on Recommendation CM/Rec(2014)7 of the Committee of Ministers to the Member States on the Protection of Whistleblowers*, Council of Europe, 2022, 32.

გულისხმობს, რომ მამხილებელთა დაცვის გარანტიები არსებობს როგორც კანონმდებლობაში, ისე სამუშაო ადგილებზე<sup>217</sup>, რადგან მათი დაცვა შურისძიებისგან დემოკრატიული საზოგადოებისთვის პრიორიტეტულად მიიჩნევა<sup>218</sup>.

კერძო და საჯარო პირის ცილისწამებისგან დაცვის განსხვავებული სამართლებრივი გარანტიები და შესაბამისად, ამ პირების მიმართ დასაშვები კრიტიკის ფარგლების დივერსიფიკაცია ძალადობაგამოვლილი ქალების სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის არსებითად განსხვავებული მიდგომებს აყალიბებს. ყოველ ინდივიდულურ შემთხვევაში გენდერული ძალადობის შესახებ განცხადებების შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს არა მხოლოდ პირის საჯაროობის სტატუსი და მისი ქცევისა და ზნეობრივი ნორმების მიმართ საზოგადოებრივი ინტერესი, არამედ უნდა დადგინდეს ხომ არ არის განცხადების ავტორი მამხილებელი და ხომ არ ვრცელდება მასზე შესაბამისი საკანონმდებლო დაცვის გარანტიები. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქალები, რომლებიც საჯარო ინტერესის დაცვის მიზნით ამხელენ სამართალდარღვევას, ვერ ისარგებლებენ სათანადო დაცვით და ეს პრაქტიკა მათ დაშინებას და თვითცენზურას გამოიწვევს<sup>219</sup>.

### 3. მტკიცების სტანდარტი და მტკიცების ტვირთი

ცილისწამების საქმეთა განხილვისას მტკიცებულების სტანდარტი და მტკიცების ტვირთის გადანაწილება კანონით მკაფიოდ და ზედმიწევნით ზუსტადაა განმარტებული<sup>220</sup> და ადგენს გამოხატ-

<sup>217</sup> Saade M., *Women & Whistleblowing*, *Hastings Journal of Gender and Law*, Vol. 34, No. 1, 2023, 51.

<sup>218</sup> *Guja v. Moldova* [ECtHR], App. no. 14277/04, 12 February 2008, para. 88.

<sup>219</sup> White A., *A New Vision of Values, Accountability and Mission for Journalism*, in: *The United Nations and Freedom of Expression and Information*, Edited by T. Mcgonagle and Y. Donders, Cambridge University Press, 2015, 358.

<sup>220</sup> „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლი.

ვის თავისუფლების პრიმატს ამ უფლების შეზღუდვაზე:<sup>221</sup> კანონი მოითხოვს, რომ ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება უტყარი მტკიცებულებებით, უნდა გადაწყდეს პირისთვის საჯარო სტატუსის მინიჭების სასარგებლოდ,<sup>222</sup> მოვლენისათვის საზოგადოებრივი ყურადღების სტატუსის მინიჭების სასარგებლოდ<sup>223</sup> და განცხადებაში მოყვანილი ცნობებისათვის აზრის სტატუსის მინიჭების სასარგებლოდ<sup>224</sup>. მტკიცების ტვირთი ძალადობაგამოვლილი ქალების სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის ინიციატორს ეკისრება<sup>225</sup> და სწორედ ის არის ვალდებული, ამტკიცოს, რომ ქალმა უშუალოდ მის შესახებ გაავრცელა ფაქტები და ეს ფაქტები არსებითად მცდარია<sup>226</sup>. ცილისწამებასთან დაკავშირებული დავების განხილვისას მტკიცების ტვირთის განაწილების შესახებ ნორმების ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართალთან შესაბამისობა გამოხატვის თავისუფლების ლეგიტიმური საფუძვლით შეზღუდვის უზრუნვეყოფის და არა თავისუფალი სიტყვის ჩახშობის გარანტიაა<sup>227</sup>.

ძალადობაგამოვლილი ქალის განცხადება მის მიმართ განცდილ ძალადობაზე რომ ცილისწამებლურად იქნეს მიჩნეული, იმ პირობა, ვისაც ბრალდებები მიემართება, უნდა დაამტკიცოს, რომ ქალის მიერ აღწერილი მოვლენები გადამოწმებად ფაქტებს შეიცავს და ისინი არსებითად მცდარია, რის შემდეგაც უკვე განცხა-

<sup>221</sup> იქვე, მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი.

<sup>222</sup> იქვე, მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი.

<sup>223</sup> იქვე, მე-7 მუხლის მე-4 პუნქტი.

<sup>224</sup> იქვე, მე-7 მუხლის მე-5 პუნქტი.

<sup>225</sup> იქვე, მე-7 მუხლის მე-6 პუნქტი.

<sup>226</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება №ას-1278-1298-2011.

<sup>227</sup> Parmar S., Uprooting 'defamation of religions' and planting a new approach to freedom of expression at the United Nations, in: *The United Nations and Freedom of Expression and Information*, Edited by T. Mcgonagle and Y. Donders, Cambridge University Press, 2015, 391.

დების ავტორს ეკისრება ფაქტების დადასტურების ტვირთი.<sup>228</sup> ევროპული სასამართლო დანაშაულის ნიშნების შემცველი ფაქტების მტკიცების ტვირთის თაობაზე მიუთითებს, რომ არასწორია განცხადების ავტორის მიმართ არსებობდეს ისეთივე მოლოდინი, როგორც პროკურორების მიმართ, რომლებიც ვალდებულები არიან, ამტკიცონ დანაშაულის ჩადენა.<sup>229</sup> ასევე, მან არათანაზომიერად მიიჩნია განცხადების ავტორისთვის იმის მტკიცების ტვირთის დაკისრება, რომ პოლიციელების მხრიდან ჩადენილი იყო წამება ამ ტერმინის სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი განმარტებით და განმცხადებლის გამოხატვის თავისუფლებისთვის ძირის გამოთხრად შეაფასა<sup>230</sup>.

განცხადების ავტორისთვის დანაშაულის ჩადენის მტკიცების ტვირთის დაკისრება უნდა შეფასდეს უდანაშაულობის პრეზუმფციის შუქზეც.<sup>231</sup> პირის უფლება რეპუტაციაზე მჭიდრო კავშირშია უდანაშაულობის პრეზუმფციის ფუნდამენტურ კონცეფციასთან.<sup>232</sup> ეს პრინციპი<sup>233</sup> სრულიად უგულბებლყოფილია თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილულ საქმეში, სადაც სასამართლომ ძალადობაგამოვლილ ქალს დააკისრა მის მიმართ ჩადენილი ძალადობის მტკიცების ტვირთი და მოწმეთა ჩვენებებზე დაყრდნობით

<sup>228</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილება №ას-1011-972-2016.

<sup>229</sup> *Kasabova v. Bulgaria* [ECtHR], App. no. 22385/03, 19 April 2011, para. 62; *Bozhkov v. Bulgaria* [ECtHR], App. no. 3316/04, 19 April 2011, para. 51; *Rumyana Ivanova v. Bulgaria* [ECtHR], App. no. 36207/03, 14 February 2008, para. 39.

<sup>230</sup> *Toranzo Gomez v. Spain* [ECtHR], App. no. 26922/14, 20 November 2018, para. 65.

<sup>231</sup> საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-5 პუნქტი; სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-12 მუხლის პირველი ნაწილი.

<sup>232</sup> *Surkin R.H.*, *The Status of the Private Figure's Right to Protect His Reputation under the United States Constitution*, *Dickinson Law Review*, Vol. 90, No. 3, 1986, 672.

<sup>233</sup> *Karaman v. Germany* [ECtHR], App. no. 17103/10, 27 February 2014, para. 40.

დაადგინა, რომ ქალის განცხადება „არ შეიცავს ცრუ ინფორმაციას, არამედ წარმოადგენს მოსარჩელის მიერ მოპასუხის მიმართ განხორციელებული ძალადობის აღწერას“<sup>234</sup>. ეს მიდგომა ეწინააღმდეგება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მსჯელობას ერთ-ერთ საქმეში, სადაც სასამართლომ სამართლიანად არ გაიზიარა მხარის მოსაზრება, რომ არ შეიძლება ყველა დანაშაულის აღმნიშვნელი სიტყვა ჩაითვალოს ფაქტის შემცველ განცხადებად და არა შეფასებით მსჯელობად ყოველგვარი კონტექსტის გათვალისწინების გარეშე და სიტყვა „გამოსძალა“ არ მიიჩნია ფაქტის კონსტატაციად.<sup>235</sup>

ძალადობაგამოვლილი ქალის მხრიდან ცილისწამების დადგენისას არანაკლებ მნიშვნელოვანია თავად მტკიცებულებების შეფასება, რომლის წარმოდგენაც ქალმა შეძლო მის მიმართ ჩადენილი გენდერული ძალადობის დადასტურებისთვის. ერთ-ერთ საქმეში, სადაც ქალს ცილისწამებას ედავებოდნენ, სააპელაციო სასამართლო ე.წ. „სიყალბის პრეზუმფციით“<sup>236</sup> მოქმედებდა, რადგან ნეიტრალურად არ მიიჩნია მოწმეები, რომლებიც ქალის თანამშრომლები იყვნენ და მის მიმართ ჩადენილ გენდერულ ძალადობას ადასტურებდნენ, საერთოდ არ იმსჯელა მრავალ სხვა ნივთიერ მტკიცებულებაზე, მათ შორის, მიმონერებზე და სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაცია სქესის ნიშნით დისკრიმინაციის და სექსუარული შევიწროების ფაქტის დადასტურებად არ ჩათვალა.<sup>237</sup> ამ საქმეში სასამართლომ იმსჯელა სახალხო დამცველის მიერ შევიწროების ფაქტების გამოკვლევის მსხვერპლზე ორიენტირებულ მი-

<sup>234</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილება №2/18681-22.

<sup>235</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 20 მაისის განჩინება №ას-625-593-2014.

<sup>236</sup> *McVicar v. the United Kingdom* [ECtHR], App. no. 46311/99, 7 May 2002, paras. 83-87; *Kasabova v. Bulgaria* [ECtHR], App. no. 22385/03, 19 April 2011, paras. 59-62.

<sup>237</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილება №2ბ/318-20.

დგომაზე და დაადგინა, რომ სახალხო დამცველის „გადანწყვეტილება მიიღება არა უტყუარი მტკიცებულებების საფუძველზე, არამედ მხარეთა მიერ წარმოდგენილ სუბიექტურ მტკიცებულებებზე და-ყრდნობით“<sup>238</sup>. საგულისხმოა, რომ ამ საქმეში სასამართლოს არ უმსჯელია სექსუალური შევიწროების ფაქტის დადგენაზე, არამედ მხოლოდ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის აუცილებლობას გაუსვა ხაზი, რადგან მიიჩნია, რომ სახალხო დამცველის მიერ და-დგენილი ფაქტები არაა საკმარისი და რელევანტური საფუძველი სქესის ნიშნით დისკრიმინაციასა და სექსუალურ შევიწროებაში პირის საჯაროდ დადანაშაულებისთვის.<sup>239</sup> ცილისწამების საქმეთა განხილვისას ევროპული სასამართლო განცხადების ავტორისთვის პროცედურული გარანტიების მნიშვნელობას უსვამს ხაზს, რაც მისთვის გამოიხატება რეალური შანსის მიცემაში, დაამტკიცოს განცხადებაში ნახსენები ცნობების ფაქტობრივი საფუძველი.<sup>240</sup> სააპელაციო სასამართლოს მიდგომა შესაძლოა შეფასდეს *exceptio veritatis* პრინციპის<sup>241</sup> გამოყენებად, რაც გენდერული ძალადობის შესახებ განცხადებების ცილისწამებად კვალიფიკაციის პროცესში სხვა ადამიანის რეპუტაციის დაცვისთვის მართებული არაა.

ეროვნული სასამართლოების მიდგომა ძალადობაგამოვლილი ქალების მიმართ აღძრული ცილისწამების შესახებ სარჩელების განხილვისას არაერთგვაროვანია, თუმცა ჩანს ტენდენცია, რომ სასამართლო გენდერულად მგრძნობიარე მიდგომას უგულვებელყოფს. იგი ყველა გადანწყვეტილებაში მიუთითებს მოპასუხის გენდერული ძალადობისგან დაცვის საკანონმდებლო გარანტიებზე<sup>242</sup>, თუმცა

<sup>238</sup> იქვე, პარ. 60.

<sup>239</sup> იქვე, პარ. 66.

<sup>240</sup> *Morice v. France* [ECtHR], App. no. 29369/10, 23 April 2015, para. 155.

<sup>241</sup> *Colombani and Others v. France* [ECtHR], App. no. 51279/99, 25 June 2002, para. 66.

<sup>242</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 13 აპრილის განჩინება №ას-358-2021, პარ. 52-53.

დავას განიხილავს მტკიცების ტვირთის განაწილების თაობაზე დადგენილი მოთხოვნების საპირისპიროდ და მაგალითად, სექსუალური შევიწროების სავარაუდო ჩამდენს არ აკისრებს იმის მტკიცების ტვირთს, რომ სექსუალური შევიწროება არ ჩაუდენია, არამედ იზოლირდება მხოლოდ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების მარეგულირებელი ნორმებით<sup>243</sup>.

### 3. პასუხისმგებლობა ცილისწამებისთვის

ცილისწამებისთვის დაკისრებული პასუხისმგებლობის ბუნება და სიმძიმე მნიშვნელოვანი ფაქტორებია გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის პროპორციულობის შეფასებისას<sup>244</sup> და განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ძალადოგამოვლილი ქალების სიტყვის თავისუფლების დაცვისთვის. ცილისწამების პასუხისმგებლობის ფორმების შეფასებისას ყურადსაღებია მათი მსუსხავი ეფექტი, განსაკუთრებით ისეთ საკითხებზე, რომელთა მიმართაც არსებობს განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესი. საჯარო ინტერესი არ არის ის ერთადერთი შემთხვევა, როდესაც მსუსხავი ეფექტის რისკები უნდა შეფასდეს, რადგან შესაძლოა პასუხისმგებლობისთვის ისეთი ფორმა განისაზღვროს, რომ მან მსუსხავი ეფექტი გამოიწვიოს პროფესიული სანდოობის კუთხითაც.<sup>245</sup> აღნიშნული განსაკუთრებით აქტუალურია ძალადოგამოვლილი ქალების, გენდერული ძალადობის მსხვერპლთა მხარდამჭერი ორგანიზაციებისა და ცალკეული აქტივისტებისთვის, რადგან ხშირად სწორედ ისინი საუბრობენ ღიად ძალადობის გამოცდილებებთან დაკავშირებით<sup>246</sup> და

<sup>243</sup> იქვე.

<sup>244</sup> *Cumpănă and Mazăre v. Romania* [ECtHR], App. no. 33348/96, 17 December 2004, para. 111.

<sup>245</sup> *Karsai v. Hungary* [ECtHR], App. no. 5380/07, 1 December 2009, para. 36.

<sup>246</sup> *Promotion of the Declaration on the Right and Responsibility of Individuals, Groups and Organs of Society to Promote and Protect Universally Recognized Human Rights and Fundamental Freedoms: Protecting Women Human*

ცდილობენ გენდერული ძალადობის წინააღმდეგ საზოგადოებრივი აზრის მობილიზებას. ევროპული სასამართლოს მიერ განხილულ ერთ-ერთ საქმეში, სადაც ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრის დირექტორს მის მიერ ძალადობაგამოვლილი ქალის შესახებ გაკეთებული განცხადების გამო ცილისწამებას ედავებოდნენ, სასამართლომ დაადგინა, რომ პირის სისხლის სამართლის წესით გასამართლება ერთგვარი ცენზურა იყო, ცილისწამებისთვის გამოყენებულ ამ საშუალებას შესაძლოა ნეგატიური გავლენა ჰქონოდა მისი ორგანიზაციის საქმიანობაზე და ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალების მიმართ მხარდაჭერაზე<sup>247</sup>.

ევროპული სასამართლო ნებისმიერ სისხლისსამართლებრივ სასჯელს არ მიიჩნევს გამონაკლის თავისუფლებაში არაპროპორციულ ჩარევად,<sup>248</sup> თუმცა სახელმწიფოებს მოუწოდებს, თავი შეიკავონ პასუხისმგებლობის ამგვარი მექანიზმების გამოყენებისგან<sup>249</sup> და უპირატესობა მიანიჭონ სამოქალაქო და დისციპლინური დაცვის საშუალებებს<sup>250</sup>. თავის მხრივ, სამოქალაქო წესით დაკისრებული პასუხისმგებლობის ფორმა, უმჯობესია, გადაწყდეს ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით<sup>251</sup> და გათვალისწინებული იქნეს განცხადების ავტორის

---

Rights Defenders, UN General Assembly Resolution 68/181, A/RES/68/181, 30 January 2014.

<sup>247</sup> Tölle v. Croatia [ECtHR], App. no. 41987/13, 10 December 2020, para. 47.

<sup>248</sup> Radio France and Others v. France [ECtHR], App. no. 53984/00, 30 March 2004, para. 40; Lindon, Otchakovsky-Laurens and July v. France [ECtHR], App. nos. 21279/02 and 36448/02, 22 October 2007, para. 59.

<sup>249</sup> Morice v. France [ECtHR], App. no. 29369/10, 23 April 2015, para. 176; De Carolis and France Télévisions v. France [ECtHR], App. no. 29313/10, 21 January 2016, para. 44; Otegi Mondragon v. Spain [ECtHR], App. nos. 4184/15 and 4 other applications, 6 February 2019, para. 58; Incal v. Turkey [ECtHR], App. no. 41/1997/825/103, 9 June 1998, para. 54; Öztürk v. Turkey [ECtHR], App. no. 20151/92, 28 March 2002, para. 66.

<sup>250</sup> Raichinov v. Bulgaria [ECtHR], App. no. 47579/99, 20 April 2006, para. 50; Ceylan v. Turkey [ECtHR], App. no. 23556/94, 8 July 1999, para. 34.

<sup>251</sup> Tolstoy Miloslavsky v. the United Kingdom [ECtHR], App. no. 23556/94, 8

ეკონომიკური მდგომარეობა<sup>252</sup>. სანქციის ყველაზე მისაღებ ფორმად ევროპული სასამართლო სიმბოლურ კომპენსაციას განიხილავს.<sup>253</sup> საქართველოში ცილისწამება კრიმინალიზებული არ არის და შესაბამისად, ძალადობაგამოვლილი ქალების გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა მხოლოდ სამოქალაქო წესით პირადი ცხოვრების დაცვის კონტექსტშია შესაძლებელი, რაც გულისხმობს ცილისწამებლური განცხადებების შედეგად მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურებას<sup>254</sup>.

კომპენსაციასთან ერთად კანონი მკაფიოდ განსაზღვრავს, რომ ცილისწამებასთან დაკავშირებით განცხადების ავტორს შეიძლება დაევალოს განცხადების შესწორება ან უარყოფა.<sup>255</sup> კანონი ექსპლიციტურად კრძალავს სასამართლოს მიერ განცხადების ავტორის იძულებას, მოიხადოს ბოდიში.<sup>256</sup> კვლევის ფარგლებში შესწავლილ ქართული სასამართლოების გადანყვეტილებებში ძალადობაგამოვლილი ქალების მიმართ ცილისწამების სარჩელების დაცვის საგანია პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების უარყოფა. ერთ-ერთ საქმეში პასუხისმგებლობის ფორმად სასამართლომ ძალადობაგამოვლილ ქალს დაავალა სამი სხვადასხვა მედიასაშუალებისთვის მიცემულ ინტერვიუში გაჟღერებული გამონათქვამების უარყოფა იმავე მედიასაშუალებებითა და ფორ-

---

July 1999, para. 41; *OOO Regnum v. Russia* [ECtHR], App. no. 22649/08, 8 September 2020, para. 78.

<sup>252</sup> *Delfi AS v. Estonia* [ECtHR], App. no. 64569/09, 16 June 2015, para. 161; *Kasabova v. Bulgaria* [ECtHR], App. no. 22385/03, 19 April 2011, para. 43; *Tolmachev v. Russia* [ECtHR], App. no. 42182/11, 2 June 2020, paras. 53-55.

<sup>253</sup> *Brasilier v. France* [ECtHR], App. no. 71343/01, 11 April 2006, para. 43; *Paturel v. France* [ECtHR], App. no. 54968/00, 22 December 2005, para. 49; *Desjardin v. France* [ECtHR], App. no. 22567/03, 22 November 2007, para. 51.

<sup>254</sup> „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტი.

<sup>255</sup> იქვე.

<sup>256</sup> იქვე, მე-17 მუხლის მე-2 პუნქტი.

მით, როგორც გავრცელდა.<sup>257</sup> ნიშანდობლივია, რომ მედიაორგანიზაციები არ არიან მოპასუხეები ხსენებულ საქმეში და არ გააჩნიათ ვალდებულება, ძალადოგამოვლილი ქალის მიერ გავრცელებული განცხადებების უარყოფა იმავე ფორმით, ანუ იმავე გადაცემებში გააშუქონ, რადგან თავისუფალნი არიან, თავად განსაზღვრონ, რა არის საზოგადოებრივი ინტერესის<sup>258</sup> საგანი და შესაბამისად, რას დაუთმონ საეთერო დრო. შესაბამისად, გაუგებარია, როგორ შეძლებს ქალი სასამართლოს გადანყვეტილების აღსრულებას.

კანონი ცალსახად ადგენს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას, თუმცა სასამართლოს მოპასუხის ქცევის შეფასების ვალდებულებას აკისრებს<sup>259</sup>. ცილისწამების საქმეებში სასამართლო ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში განსაზღვრავს მორალური ზიანის არსებობას და ხაზს უსვამს, რომ თავად ცილისწამების დადასტურება მორალური ზიანის არსებობის და შესაბამისად, მისი ანაზღაურების საფუძველია.<sup>260</sup> ნიშანდობლივია, რომ როგორც ძალადობაგამოვლილი ქალების წინააღმდეგ აღძრული ცილისწამების შესახებ სარჩელების განხილვისას<sup>261</sup>, ისე სხვა გადანყვეტილებებში სასამართლო არ მსჯელობს მოპასუხის მიერ

<sup>257</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 9 აგვისტოს გადანყვეტილება №2/17241-18.

<sup>258</sup> საზოგადოებრივი ყურადღება – საზოგადოების ინტერესი (და არა ცალკეულ პირთა უბრალო ცნობისმოყვარეობა) იმ მოვლენისადმი, რომელიც დაკავშირებულია დემოკრატიულ სახელმწიფოში საზოგადოებრივი თვითმმართველობის განხორციელებასთან. იხ., „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი.

<sup>259</sup> „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტი.

<sup>260</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 17 მაისის განჩინება №ას-57-2023; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 23 ივნისის განჩინება №ას-1590-2022.

<sup>261</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 13 აპრილის განჩინება №ას-358-2021, პარ. 56.

განცხადებაში მითითებული ცნობების შესწორების ან უარყოფის შესაძლებლობაზე და არ აფასებს, რამდენად საკმარისი შეიძლება ყოფილიყო აღნიშნული ქმედებები მოსარჩელისთვის ცილისნამებით მიყენებული ზიანის ჯეროვანი ანაზღაურებისთვის<sup>262</sup>. კანონმდებლის მოთხოვნა, რომ სასამართლოს მიერ ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში მოპასუხის ქცევასთან თანხვედრაში შეფასდეს ზიანის არსებობა, ემსახურება გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევისთვის დადგენილი კრიტერიუმების პრაქტიკულ რეალიზაციას, – ჩარევა იყოს მინიმალური, თანაზომიერი, ეფექტიანი, ეკონომიური და აღსრულებადი<sup>263</sup>.

ცილისნამებისთვის პასუხისმგებლობის საშუალების პროპორციულობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ძალადობაგამოვლილი ქალების სიტყვის თავისუფლებაზე როგორც ინდივიდის მიმართ, ისე მსუსხავი ეფექტის გათვალისწინებით. შესაბამისად, სასამართლომ განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა იმსჯელოს გენდერული ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებაზე და გამოიკვლიოს ყველა მნიშვნელოვანი გარემოება, მათ შორის, ქალებს დააკისროს მხოლოდ ისეთი ქმედების განხორციელება ან ქმედებისგან თავის შეკავება, რომელიც მხოლოდ მათზეა დამოკიდებული და მოპასუხის ქცევასთან ერთობლიობაში იმსჯელოს მორალური ზიანის არსებობაზე.

---

<sup>262</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 3 აპრილის განჩინება №ას-1477-1489-2011.

<sup>263</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილება №ას-1011-972-2016, პარ. 20.

## IV. ძალადობაგამოვლილი ქალების გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა, როგორც გენდერული დისკრიმინაცია

### 1. გამოხატვის თავისუფლების როლი გენდერულ ძალადობასა და ქალთა მიმართ დისკრიმინაციასთან ბრძოლაში

გენდერული თანასწორობის მიღწევა და ქალებისა და გოგონების მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა მსოფლიოს ერთ-ერთი გლობალური მიზანია.<sup>264</sup> ქალთა მიმართ დისკრიმინაციას „ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კონვენცია განმარტავს როგორც განსხვავებას, ჩამოშორებას ან შეზღუდვას, რომელიც მიმართულია ან რომლის მიზანია ქალის მიერ, ნებისმიერ, მათ შორის, სამოქალაქო სფეროში უფლებათა და თავისუფლებათა აღიარების, სარგებლობის ან გამოყენების შესაძლებლობის შესუსტება.<sup>265</sup> ამ თვალსაზრისით, ქალების გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა, რომლის მიზანიც არა ლეგიტიმური მიზნის დაცვა, არამედ ქალის გაჩუმებაა<sup>266</sup>, შესაძლოა ქალთა მიმართ დისკრიმინაციად იქნეს მიჩნეული.

ძალადობაგამოვლილი ქალების მხრიდან გენდერულ ძალადობაზე ღია საზოგადოებრივი დისკუსია სტრუქტურული დისკრიმინაციის აღმოფხვრას და არსებითი თანასწორობის უზრუნველყოფას უწყობს ხელს,<sup>267</sup> რადგან ქალების რეალური პერსპექტივა შემოაქვს

<sup>264</sup> გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები, <t.ly/nDfqD> [17.01.2024].

<sup>265</sup> „ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კონვენციის პირველი მუხლი.

<sup>266</sup> Oppenheimer D.B., Defamation Law Is Being Weaponized to Destroy the Global #MeToo Movement: Can Free Speech Protections Help Counter the Impact?, in: The Global #MeToo Movement, Edited by A.M. Noel and D.B. Oppenheimer, Full Court Press, 2020, 506.

<sup>267</sup> Alkiviadou N., Manoli A., The European Court of Human Rights Through the Looking Glass of Gender: An Evaluation, Goettingen Journal of International

არსებულ რეალობაში, სადაც გენდერული როლები ქალების ჩაგვრას განამტკიცებს<sup>268</sup>. 2022 წლის კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ საქართველოში გენდერული სტერეოტიპები მყარად არის დამკვიდრებული, რაც ქალთა მიმართ ძალადობის ნაკლებ ხილვადობასაც განაპირობებს.<sup>269</sup> მოძრაობამ „მეც“ (“MeToo”) აჩვენა, რომ სიტყვის თავისუფლება უზრუნველყოფს სისტემური გამონწვევების ხილვადობას და შესაბამისად, ცვლილებებს უწყობს ხელს, რითაც ქალების ისტორიულ ჩაგვრას უპირისპირდება.<sup>270</sup>

გენდერული ძალადობა განიმარტება როგორც გენდერული დისკრიმინაციის ყველაზე ექსტრემალური ფორმა, რომელიც გამოიხატება ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, ეკონომიკურ, სექსუალურ ძალადობაში, იძულებაში ან ასეთი ქმედებების მუქარაში.<sup>271</sup> მას შემდეგ, რაც გენდერული ძალადობის, როგორც მავნე ფენომენის, შესახებ გაიზარდა ცოდნა, მასთან თანმიმდევრულ ბრძოლა დადგა დღის წესრიგში, რაც, მათ შორის, გულისხმობს საზოგადოებაში გაბატონებულ რწმენა-წარმოდგენებთან დაპირისპირების აუცილებლობას.<sup>272</sup> გენდერული თანასწორობის მიღწევისთვის საკმარისი არაა მხოლოდ საკანონმდებლო რეგულირება, არამედ

---

Law, Vol. 11, No. 1, 2021, 205.

<sup>268</sup> Pollack W., Sexual Harassment: Women's Experience vs. Legal Definitions, *Harvard Women's Law Journal*, Vol. 13, 1990, 40.

<sup>269</sup> გოგოლაშვილი თ., ქალთა მიმართ ძალადობის კვლევა საქართველოში, თბილისი, 2022, 218.

<sup>270</sup> Leader A.R., A “SLAPP” in the Face of Free Speech: Protecting Survivors’ Rights to Speak Up in the “Me Too” Era, *First Amendment Law Review*, Vol. 17, No. 3, 2019, 449-450.

<sup>271</sup> Declaration on the Elimination of Violence against Women, UN General Assembly Resolution 48/104, 1993, A/RES/48/104, Art. 1; Carpenter R.C., Recognizing Gender-Based Violence Against Civilian Men and Boys in Conflict Situations, *Security Dialogue*, No. 37/1, 2006, 83-103.

<sup>272</sup> Mayer A.E., Reflections on recent progress and reversals in the war to curb violence against women, in: *Feminist Advocacy, Family Law and Violence Against Women*, Edited by M. Afkhami, Y. Ertürk and A.E. Mayer, New York, 2019, 240.

საჭიროა საზოგადოების ცნობიერების ამაღლება,<sup>273</sup> გენდერული ძალადობისა და მისგან დაცვის მექანიზმების შესახებ ინფორმაციის თავისუფლად გავრცელება, მათ შორის, პოტენციური მოძალადეების შეკავებისთვის<sup>274</sup>.

ქალების გამოხატვის თავისუფლების დაცვა არსებითია მათი საზოგადოებრივ ცხოვრებაში თანაბარი მონაწილეობისთვის,<sup>275</sup> რადგან გენდერული ძალადობის შესახებ ინფორმაციის გავრცელება ძალადობაგამოვლილ ქალებს სოციალური კაპიტალის მოპოვებაში ეხმარება. სოციალური კაპიტალის ზრდა და საზოგადოების მხარდაჭერის მოპოვება ხელს უწყობს ძალადობის შესახებ მგრძობელობის გაზრდას და პრევენციული ეფექტი აქვს<sup>276</sup>.

## 2. ძალადობაგამოვლილი ქალის გამოხატვის თავისუფლების დაცვის ვალდებულება

ქალების გენდერული თანასწორობისთვის ბრძოლის მრავალწლიანი გამოცდილება არაერთგვაროვან საჯარო აქტივობას მოიცავს, მათ შორისაა სექსუალური შევიწროების და სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ წარმოებული საჯარო მხილების კამპანიები.<sup>277</sup> ამ კამპანიების მიზანი საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და მსხვერპლთა გაძლიერებაა<sup>278</sup>, რათა მათ შიშისა და სირ-

<sup>273</sup> Irving H., *More than Rights*, in: *Constituting Equality*, Edited by S.H. Williams, Cambridge University Press, 2009, 82.

<sup>274</sup> Leader A.R., *A "SLAPP" in the Face of Free Speech: Protecting Survivors' Rights to Speak Up in the "Me Too" Era*, 2019, *First Amendment Law Review*, Vol. 17, No. 3, 450.

<sup>275</sup> Schneider E., *Domestic Violence, Citizenship, and Equality*, in: *Gender Equality – Dimensions of Women's Equal Citizenship*, Edited by L.C. McClain and J.L. Grossman, Cambridge University Press, 2009, 384.

<sup>276</sup> York M.R., *Gender Attitudes and Violence Against Women, USA*, 2011, 40.

<sup>277</sup> Abade D.N., *Brazilian Sexual Harassment Law, the #MeToo Movement, and the Challenge of Pushing the Future Away from the Past of Race, Class, and Social Exclusion*, in: *The Global #MeToo Movement*, Edited by A.M. Noel and D.B. Oppenheimer, Full Court Press, 2020, 91.

<sup>278</sup> Pollack W., *Sexual Harassment: Women's Experience vs. Legal Definitions*,

ცხვილის გარეშე გამოიყენონ საკანონმდებლო მექანიზმები<sup>279</sup> და მოითხოვონ ეფექტიანი მართლმსაჯულება გენდერული ძალადობის შემთხვევებზე<sup>280</sup>.

სექსუალურ შევიწროებაზე საჯარო დისკუსიის აუცილებლობას განაპირობებს ამ საყოველთაო პრობლემის განუზომლად დიდი მასშტაბი, რადგან სრულწლოვან ქალთა 75%-ს სექსუალური შევიწროება საკუთარ თავზე გამოუცდია.<sup>281</sup> ამავდროულად, ქალები მრავალი მიზეზით იკავებენ თავს ძალადობის შესახებ განცხადებისგან, მიზეზთა შორისაა ინფორმაციის ნაკლებობა იმაზე, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს სექსუალურ შევიწროებად<sup>282</sup> და ფართო საზოგადოებისგან ძალადობაგამოვლილი ქალის მხარდაჭერის ნაკლებობა<sup>283</sup>. ამდენად, მსხვერპლთა მოტივირება და ნახალისება, ღიად ისაუბრონ საკუთარ გამოცდილებაზე, არსებითია მათი დაცვის საშუალებებით უზრუნველყოფისთვის.<sup>284</sup> გენდერული ძალადობის სხვადასხვა ფორმის კრიმინალიზაციამ და პენალიზაციამ შექმნა რეაგირების ჩარჩო, თუმცა მისი პრაქტიკული აღსრულება მიმართვიანობის უზრუნველყოფის და მსხვერპლების დაცვის გარეშე შეუძლებელია<sup>285</sup>.

---

Harvard Women's Law Journal, No. 13, 1990, 40.

<sup>279</sup> Herman G., Serughetti G., The #MeToo Movement in Italy: Chronicle of a Death Foretold? in: The Global #MeToo Movement, Edited by A.M. Noel and D.B. Oppenheimer, Full Court Press, 2020, 159.

<sup>280</sup> Lembke U., Early Start, Slow Progress, Racist Takeover, but Destined Not to Yield: The #MeToo Movement in Germany, in: The Global #MeToo Movement, Edited by A.M. Noel and D.B. Oppenheimer, Full Court Press, 2020, 207.

<sup>281</sup> Chamie J., Sexual Harassment: At Least 2 Billion Women, Inter Press Service News Agency, 2018.

<sup>282</sup> Morgan P., Gruber J.E., Sexual Harassment Violence Against Women at Work and in Schools, in: Sourcebook on Violence Against Women, Edited by C.M. Renzetti, J. L. Edleson, R. Kennedy Bergen, Sage Publications, 2011, 79.

<sup>283</sup> სექსუალური შევიწროება სამუშაო ადგილზე საქართველოს საჯარო სამსახურში, UN Women, 2021, 37.

<sup>284</sup> Pillinger J., Handbook – Addressing Violence and Harassment against Women in the world of work, UN Women, 2019, 56.

<sup>285</sup> Goodmark L., State, National, and International Legal Initiatives to Address

ქალები, რომლებიც საკუთარ ან სხვის მიმართ ჩადენილ გენდერულ ძალადობაზე ღიად საუბრობენ, თავიანთი განცხადებებით, ერთი მხრივ, ხელს უწყობენ მართლმსაჯულების აღსრულებას კონკრეტულ დანაშაულზე<sup>286</sup>, ხოლო, მეორე მხრივ, ფართო საზოგადოების ყურადღებას მიაპყრობენ სექსუალური შევიწროების მიმართ<sup>287</sup>. ამდენად, ქალების გამოხატვის თავისუფლების დაცვა სახელმწიფოსთვის საჯარო ინტერესის კონტექსტში უნდა იქნეს განხილული და შესაბამისი მექანიზმებით დაცული, მათ შორის განხილვობდეს „სტრატეგიულ სარჩელებად საზოგადოებრივი ჩართულობის წინააღმდეგ“ (შემდეგში „SLAPP სარჩელები“)<sup>288</sup>.

SLAPP სარჩელები პირველად 1988 წელს აღწერეს მკვლევრებმა პენელოპა კანანმა და ჯორჯ პრინგმა<sup>289</sup> და მას შემდეგ აშშ-ის მრავალ შტატსა<sup>290</sup> და სხვა ქვეყნებში<sup>291</sup> ანტი-SLAPP კანონმდებლობა<sup>292</sup>

---

Violence Against Women A Survey, in: Sourcebook on Violence Against Women, Edited by C.M. Renzetti, J. L. Edleson and R. Kennedy Bergen, Sage Publications, 2011, 193.

<sup>286</sup> MacKinnon A.C., Global #MeToo, in: The Global #MeToo Movement, Edited by A.M. Noel and D.B. Oppenheimer, Full Court Press, 2020, 6.

<sup>287</sup> Edelman L.B., The #MeToo Movement, Symbolic Structures, and the Limits of the Law, in: The Global #MeToo Movement, Edited by A.M. Noel and D.B. Oppenheimer, Full Court Press, 2020, 445.

<sup>288</sup> Lucindo P.A.A., Anti-SLAPP and Pro-Women: A Study on the Applicability of the Concept of Strategic Lawsuit against Public Participation to Cases Involving Violence against Women and Their Children, Philippine Law Journal, Vol. 95, No. 3, 2022, 584.

<sup>289</sup> Pring G.W. and Canan P., SLAPPs: Getting Sued for Speaking Out, Philadelphia, 1996.

<sup>290</sup> Anti-SLAPP Statutes: 2023 Report Card <<https://www.ifs.org/anti-slapp-report/>> [17.01.2024].

<sup>291</sup> Ogle G., Anti-SLAPP Law Reform in Australia, Review of European, Comparative & International Environmental Law, Vol. 19, No. 1, 2010, 35; Young H., Canadian Anti-SLAPP Laws in Action, Canadian Bar Review, Vol. 100, No. 2, 2022, 186.

<sup>292</sup> Tate K.W., California's Anti-Slapp Legislation: A Summary of and Commentary on Its Operation and Scope, Loyola of Los Angeles Law Review, Vol. 33, No. 3, 2000, 803.

სხვადასხვა ფორმით შეიქმნა, რათა სადავო საკითხების პოლიტიკური სივრციდან სამართლებრივ სივრცეში გადატანის პრევენცია მოეხდინათ<sup>293</sup>. ძალადობაგამოვლილი ქალების განცხადებები მათ მიმართ ჩადენილ გენდერულ ძალადობასთან დაკავშირებით ანტი-SLAPP კანონმდებლობით დაცვას იმსახურებს,<sup>294</sup> რადგან უკავშირდება საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საკითხს.<sup>295</sup> სწორედ აღნიშნულის გამო ენიჭება ამგვარ განცხადებებს კვალიფიციური პრივილეგია<sup>296</sup> და დაცულია გამოხატვის თავისუფლებით<sup>297</sup>.

SLAPP სარჩელებისგან ძალადობაგამოვლილი ქალების დაცვა წარმოადგენს *ubi jus ibi remedium* პრინციპის პრაქტიკულ რეალიზაციას, რადგან უფლება არ არსებობს მისი სათანადო დაცვის მექანიზმებით უზრუნველყოფის გარეშე.<sup>298</sup> ანტი-SLAPP კანონმდებლობის პრაქტიკული რეალიზაცია უზრუნველყოფს ცილისწამების შესახებ სარჩელების შემონმებას რამდენიმე კრიტერიუმის საშუალებით, – მონმდება სარჩელის რეალური მიზანი და თუ დადგინდება, რომ იგი აღძრულია არა მოსარჩელის კანონიერი უფლების დაცვისთვის, არამედ მოპასუხის მიმართ ანგარიშსწორების მიზნით, სასამართლო ასეთ სარჩელს დაუშვებლად ცნობს.<sup>299</sup> SLAPP სარჩელებისგან დაცვის დამატებითი საშუალებაა შეგებებული

<sup>293</sup> Sheldrick B., *Blocking Public Participation: The Use of Strategic Litigation to Silence Political Expression*, Wilfrid Laurier University Press, 2014, 26.

<sup>294</sup> Leader A.R., *A “SLAPP” in the Face of Free Speech: Protecting Survivors’ Rights to Speak Up in the “Me Too” Era*, *First Amendment Law Review*, Vol. 17, No. 3, 2019, 447.

<sup>295</sup> Pring G.W., *SLAPPs: Strategic Lawsuits against Public Participation*, *Pace Environmental Law Review*, Vol. 7, No. 1, 1989, 4.

<sup>296</sup> Clement G., *Law and Practice of Libel and Slander in a Civil Action with Precedents of Pleadings*, London, 1924, 212.

<sup>297</sup> Ahangar M.A.H., *Broadening Horizons of Qualified Privilege: Desirability of One Law for All*, *IJUM Law Journal*, Vol. 13, No. 2, 2005, 170.

<sup>298</sup> Thomas T.A., *Ubi Jus, Ibi Remedium: The Fundamental Right to a Remedy under Due Process*, *San Diego Law Review*, Vol. 41, No. 4, 2004, 1637.

<sup>299</sup> *Sagaille v Carrega*, 2021 NY Slip Op 01369 (2021).

სარჩელები, რომელიც ძალადობაგამოვიღო ქალებს აძლევს სა-  
შუალებას იდავონ მათ მიმართ აღძრულ უსაფუძვლო სარჩელზე.  
საქმეში – „მიუღერი სვიფტის წინააღმდეგ“<sup>300</sup> – ნაფიცმა მსაჯუ-  
ლებმა უსაფუძვლოდ მიიჩნიეს მოსარჩელის მოთხოვნა, დადგე-  
ნილად ცნეს მოსარჩელის მხრიდან მოპასუხეზე თავდასხმა და  
შეურაცხყოფა და მოსარჩელეს დააკისრეს ზიანის ანაზღაურება  
სიმბოლური 1 დოლარის კომპენსაციის სახით.<sup>301</sup> კალიფორნიის  
შტატის სააპელაციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე დაადგინა,  
რომ მოსარჩელემ, რომელმაც ცილისწამების შესახებ სარჩელი შე-  
იტანა იმ ქალის წინააღმდეგ, რომელიც მას სექსუალურ შევიწრო-  
ებაში ადანაშაულებდა, სარჩელი წარადგინა მოპასუხის გაჩუმების  
მიზნით, რაც საზოგადოების მნიშვნელოვანი ინტერესის მქონე სი-  
ტყვის თავისუფლებაში შეუსაბამო ჩარევა იყო<sup>302</sup>.

სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების უკანონო შეზღუდ-  
ვის მიზნით ცილისწამების შესახებ აშკარად უსაფუძვლო სარჩე-  
ლისგან დაცვის გარანტიებს ქმნის საქართველოს კანონმდებლო-  
ბაც, კერძოდ, მოპასუხე უფლებამოსილია უსაფუძვლო სარჩელის  
წარდგენის შემთხვევაში მოითხოვოს მოსარჩელისაგან ფინანსური  
კომპენსაცია.<sup>303</sup> თბილისის საქალაქო სასამართლომ ერთ-ერთ  
საქმეში, სადაც დავის საგანი იყო პატივის, ღირსებისა და საქმი-  
ანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების უარყოფა, მორალური  
ზიანის ანაზღაურება, არ დააკმაყოფილა სარჩელი და აღნიშნული  
გარემოება საკმარისად მიიჩნია მოპასუხის შეგებებული სარჩე-  
ლის დაკმაყოფილებისთვის, შესაბამისად, მოსარჩელეს ფინან-  
სური კომპენსაციის გადახდა დააკისრა.<sup>304</sup> ძალადობაგამოვიღოლმა

<sup>300</sup> *Mueller v. Swift*, [District Court, D. Colorado], 1:15-cv-01974 (2017).

<sup>301</sup> იქვე.

<sup>302</sup> *Wentworth v. Hemenway*, [Court of Appeal of California], A154511 (2019).

<sup>303</sup> „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლი.

<sup>304</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილება №2/2743-21.

ქალმაც აღძრა შეგებებული სარჩელი მის მიმართ უსაფუძვლო ცილისწამების სარჩელის გამო, თუმცა სასამართლომ სარჩელი წარმოებაში არ მიიღო<sup>305</sup> და შესაბამისად, ძირითად სარჩელთან ერთად არ განიხილა.

დაუშვებელია, პირმა რეპუტაციის უფლება დაიცვას ძალადობაგამოვლილი ქალის სიცოცხლის, ღირსების და კანონის წინაშე თანასწორობის დაცვის უფლებების დარღვევის ხარჯზე.<sup>306</sup> ერთ-ერთ საქმეზე პარიზის სააპელაციო სასამართლომ სექსუალური შევიწროებისგან დაცვის უფლებაზე, როგორც საზოგადოებრივ სიკეთეზე გაამახვილა ყურადღება და მიიჩნია, რომ ძალადობაგამოვლილი ქალის წინააღმდეგ გადანყვეტილების გამოტანა, თუნდაც ეს იყოს სამოქალაქოსამართლებრივი გადანყვეტილება, იქნებოდა არაპროპორციული ჩარევა მის გამოხატვის თავისუფლებაში<sup>307</sup>.

ძალადობაგამოვლილი ქალები, რომლებიც მათ მიმართ საჯარო მოხელეთა მიერ ჩადენილ გენდერულ ძალადობაზე აკეთებენ განცხადებებს, დაცულნი არიან როგორც მამხილებლები, რადგან ისინი ამხელენ სამართალდარღვევას, რომელიც მათ სამუშაო ადგილზე ხდება.<sup>308</sup> ასეთი განცხადებები, მხილების კონტექსტში, შესაძლოა იყოს, ერთი მხრივ, მხილება თანამშრომლის უკანონო ქმედებებზე,<sup>309</sup> ხოლო, მეორე მხრივ, მხილება – საზოგადოებრივი სიკეთის დასაცავად<sup>310</sup>. კვლევებმა აჩვენა, რომ შურისძიებისგან და ანგარიშსწორებისგან მამხილებელთა დაცვის მექანიზმები სა-

<sup>305</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 29 ნოემბრის განჩინება №2/18681-22.

<sup>306</sup> Mobashar Jawed Akbar v. Priya Ramani, [Shri Ravindra Kumar Pandey], DLCT120000252019 (2021).

<sup>307</sup> Muller c/ Brion, [Paris Court of Appeal], RG 19/19081 (2021).

<sup>308</sup> Tilton C., Women and Whistleblowing: Exploring Gender Effects in Policy Design, Columbia Journal of Gender and Law, Vol. 35, No. 2, 2018, 339.

<sup>309</sup> Kuhlmann-Macro V.F., Blowing the Whistle on the Employment at-will Doctrine, Drake Law Review, Vol. 41, No. 2, 1992, 343.

<sup>310</sup> იქვე, 346.

ჭიროებს გენდერულ მგრძობელობას<sup>311</sup>, რადგან ქალი მამხილებლებისთვის სხვა შედეგები დგება<sup>312</sup> და დაცვისა და მხარდაჭერის მექანიზმებმა ამ საჭიროებებს უნდა უპასუხოს<sup>313</sup>, რათა ქალი მამხილებლები კაცების თანასწორად იყვნენ დაცულნი და არ დაბრკოლდნენ მხილების პროცესში. ქალი მამხილებლები ამჯობინებენ ანონიმურად და კონფიდენციალურობის დაცვით შეატყობინონ სამართალდარღვევის შესახებ და ამგვარი შესაძლებლობის უზრუნველყოფის გარეშე, ისინი უბრალოდ თავს შეიკავებენ მხილებისგან<sup>314</sup>, რაც საჯარო ინტერესს დააზიანებს.

ევროპული სასამართლოს განმარტებით, გამოსატყვის თავისუფლება იცავს მამხილებლებს და განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როდესაც თანამშრომელი ან დაინტერესებული საჯარო მოხელე არის ის ერთადერთი ადამიანი ან მცირე ჯგუფის წევრი, რომელმაც იცის სამართალდარღვევის შესახებ და შეუძლია იმოქმედოს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებიდან გამომდინარე.<sup>315</sup> მამხილებლების გამოსატყვის თავისუფლებაში ჩარევის პროპორციულობის განსაზღვრისთვის სასამართლომ ექვსი კრიტერიუმი ჩამოაყალიბა:<sup>316</sup> 1. ინფორმაციის საჯაროდ გაცხადება, რო-

<sup>311</sup> Kundro T.G., Rothbard N.P., Does Power Protect Female Moral Objectors? How and When Moral Objectors' Gender, Power, and Use of Organizational Frames Influence Perceived Self-Control and Experienced Retaliation, *Academy of Management Journal*, Vol. 66, No. 1, 2023, 770.

<sup>312</sup> Tilton C., Women and Whistleblowing: Exploring Gender Effects in Policy Design, *Columbia Journal of Gender and Law*, Vol. 35, No. 2, 2018, 340.

<sup>313</sup> Saade M., Women & Whistleblowing, *Hastings Journal of Gender and Law*, Vol. 34, No. 1, 2023, 60.

<sup>314</sup> Rehg M.T., Miceli M.P., Near J.P., Van Scotter J.R., Antecedents and Outcomes of Retaliation against Whistleblowers: Gender Differences and Power Relationships, *Organization Science*, Vol. 19, No. 2, 2008, 230.

<sup>315</sup> *Guja v. Moldova* [ECtHR], App. no. 14277/04, 12 February 2008, para. 72; *Marchenko v. Ukraine* [ECtHR], App. no. 4063/04, 19 February 2009, para. 46; *Heinisch v. Germany* [ECtHR], App. no. 28274/08, 21 July 2011, para. 63; *Goryaynova v. Ukraine* [ECtHR], App. no. 41752/09, 8 October 2020, para. 50.

<sup>316</sup> *Guja v. Moldova* [ECtHR], App. no. 14277/04, 12 February 2008, paras. 74-78.

გორც ერთადერთი ადეკვატური გამოსავალი;<sup>317</sup> 2. განცხადებაში გახმოვანებული საკითხის მიმართ ფართო საზოგადოების ინტერესი;<sup>318</sup> 3. ინფორმაციის ავთენტურობა;<sup>319</sup> 4. საჯარო ინსტიტუტებისთვის მიყენებული ზიანის ხარისხი;<sup>320</sup> 5. მამხილებლის მოტივი და კეთილსინდისიერება;<sup>321</sup> 6. მამხილებლისთვის დამდგარი შედეგები და დაკისრებული პასუხისმგებლობის სიმძიმე<sup>322</sup>. თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილულ ერთ-ერთ საქმეში, სადაც ქალმა სექსუალურ შევიწროებასა და სქესის ნიშნით დისკრიმინაციაში ამხილა მისი ყოფილი უფროსი, სასამართლომ არ იმსჯელა ქალის, როგორც მამხილებლის, განცხადებაზე და საერთოდ არ შეაფასა ქალის მამხილებელი განცხადება ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად.<sup>323</sup> ძალადობაგამოვლილი ქალების მხრიდან გენდერული ძალადობის მხილება განსაკუთრე-

<sup>317</sup> იქვე, para. 73; *Matúz v. Hungary* [ECtHR], App. no. 73571/10, 21 October 2014, para. 47.

<sup>318</sup> *Bucur and Toma v. Romania* [ECtHR], App. no. 40238/02, 08 January 2013, para. 103; *Guja v. Moldova* [ECtHR], App. no. 14277/04, 12 February 2008, para. 88.

<sup>319</sup> *Bladet Tromsø and Stensaas v. Norway* [ECtHR], App. no. 21980/93, 20 May 1999, para. 65; *Gawlik v. Liechtenstein* [ECtHR], App. no. 23922/19, 16 February 2021, paras. 74-78.

<sup>320</sup> *Guja v. Moldova* [ECtHR], App. no. 14277/04, 12 February 2008, para. 76; *Hadjianastassiou v. Greece* [ECtHR], App. no. 12945/87, 16 December 1992, para. 45; *Bucur and Toma v. Romania* [ECtHR], App. no. 40238/02, 08 January 2013, para. 115; *Görmüş and Others v. Turkey* [ECtHR], App. no. 49085/07, 19 January 2016, 63.

<sup>321</sup> *Heinisch v. Germany* [ECtHR], App. no. 28274/08, 21 July 2011, para. 80; *Wojtas-Kaleta v. Poland* [ECtHR], App. no. 20436/02, 16 July 2009, para. 51; *Matúz v. Hungary* [ECtHR], App. no. 73571/10, 21 October 2014, para. 44.

<sup>322</sup> *Fuentes Bobo v. Spain* [ECtHR], App. no. 39293/98, 29 February 2000, para. 49; *Gawlik v. Liechtenstein* [ECtHR], App. no. 23922/19, 16 February 2021, para. 85; *Heinisch v. Germany* [ECtHR], App. no. 28274/08, 21 July 2011, para. 91; *Marchenko v. Ukraine* [ECtHR], App. no. 4063/04, 19 February 2009, paras. 52-53.

<sup>323</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 13 აპრილის განჩინება №ას-358-2021.

ბულ დაცვას იმსახურებს, რადგან საზოგადოებაში მყარად ფესვგადმული სტერეოტიპების გამო, ქალების მხრიდან მხილებას საზოგადოება ნეგატიურად აღიქვამს და მიიჩნევს, რომ ქალების ამგვარი ქცევა მათ გენდერულ როლთან შეუთავსებელია<sup>324</sup>.

ქალები, რომლებიც საჯაროდ საუბრობენ გენდერული ძალადობის შესახებ, ხელს უწყობენ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას და გარკვეული თვალსაზრისით, ადამიანის უფლებების დამცველებად განიხილებიან.<sup>325</sup> საერთაშორისო სამართალი ავალდებულებს სახელმწიფოებს, დაიცვან ამ ქალების თანაბარი მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში.<sup>326</sup> გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი ქალთა მიმართ დისკრიმინაციად მიიჩნევს იმ ქალების სტიგმატიზებას, რომლებიც იბრძვიან საკუთარი უფლებებისთვის როგორც ადამიანის უფლებების დამცველები.<sup>327</sup> გენდერული უთანასწორობა თვალსაჩინოა ონლაინ-ვირცეში გაკეთებულ საჯარო განცხადებებზე გამოხმაურების შესაბამისადაც, რადგან ქალები, კაცებისგან განსხვავებით, გაცილებით ხშირად ხდებიან შეურაცხყოფის და ძალადობის სამიზნე<sup>328</sup> მათი საჯარო განცხადებების გამო<sup>329</sup>. გაეროს სპეციალური მომხსენებლის შეფასებით, ქალი უფლებადამცველების მიმართ გენდერულად განპირობებული რისკების გათვალისწინება და ქალების მიერ სა-

<sup>324</sup> Saade M., *Women & Whistleblowing*, *Hastings Journal of Gender and Law*, Vol. 34, No. 1, 2023, 48.

<sup>325</sup> Human Rights Council, *Situation of women human rights defenders*, 10 January 2019, A/HRC/40/60, paras. 11-12.

<sup>326</sup> „ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კონვენციის მე-7 მუხლი.

<sup>327</sup> General Recommendation No. 35 on Gender-based Violence against Women, Updating General Recommendation No. 19, CEDAW/GC/35, 2017, para. 12.

<sup>328</sup> Bernstein A., *Abuse and Harassment Diminish Free Speech*, *Pace Law Review*, Vol. 35, No. 1, 2014, 5.

<sup>329</sup> იქვე, 5-6.

კუთარი უფლებებით სარგებლობისთვის უსაფრთხო გარემოს უზუნველყოფას სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი მოქმედებები სჭირდება, უსაფრთხო გარემოდ კი ვერ მიიჩნევა საზოგადოებრივი საკითხების განხილვა, რომელსაც თან ახლავს ანგარიშსწორების შიში სასამართლოს მეშვეობით<sup>330</sup>.

გენდერული თანასწორობის სახელმწიფო პოლიტიკა ვერ განხორციელდება გენდერული სტერეოტიპების და მავნე ჩვეულებების და ტრადიციების აღმოფხვრის გარეშე<sup>331</sup> და ამ პროცესში ქალების თანაბარი მონაწილეობა მათი სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის პირობებში ვერ მიიღწევა.

### 3. გენდერულად მგრძობიარე მიდგომა ცილისწამების საქმეთა განხილვისას

ძალადობაგამოვლილი ქალების დადანაშაულება ცილისწამებაში, უნინარესად, გენდერულ ძალადობას უკავშირდება და შესაბამისად, დაუშვებელია საქმის განხილვა მისგან იზოლირებულად.<sup>332</sup> მხოლოდ არსებული გენდერული იერარქიის სასამართლოს მიერ გათვალისწინებით არის შესაძლებელი თავის არიდება იმ დამკვიდრებული „ნეიტრალური“ მიდგომებისგან, რომლებიც დაკავშირებულია კაცების დომინირებასთან და მოითხოვს ქალის დაქვემდებარებას.<sup>333</sup> ცილისწამების შესახებ სარჩელის აღძვრა ქალების მიმართ შურისძიების მიზნით მათზე არათანაზომიერად მძიმედ ზემოქმედებს და საკმაოდ სერიოზული გავლენა შეიძლება ჰქონდეს ქალის

<sup>330</sup> Sheldrick B., *Blocking Public Participation: The Use of Strategic Litigation to Silence Political Expression*, Wilfrid Laurier University Press, 2014, 52.

<sup>331</sup> Niemi J., Sanmartin A.V., *The Concepts of Gender and Violence*, in: *International Law and Violence Against Women – Europe and the Istanbul Convention*, Edited by J. Niemi, L. Peroni, V. Stoyanova, New York, 2020, 83.

<sup>332</sup> Pollack W., *Sexual Harassment: Women's Experience vs. Legal Definitions*, *Harvard Women's Law Journal*, Vol. 13, 1990, 84.

<sup>333</sup> იქვე, 53.

პირად ცხოვრებაზე იმისათვის, რომ საჩივარი *ratione materiae* ქალის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებასთან კავშირში იქნეს განხილული<sup>334</sup>. ამ თვალსაზრისით, აუცილებელია, სასამართლო გენდერულად მგრძობიარედ მიუდგეს საქმის განხილვას<sup>335</sup> და გაითვალისწინოს მსხვერპლზე ორიენტირებული მართლმსაჯულების პრინციპები, რათა გადანყვეტილების მიღების პროცესი იყოს სამართლიანი<sup>336</sup> და არ გამოიწვიოს ქალების დისკრედიტაცია<sup>337</sup>. განსაკუთრებით სექსუალური ძალადობის შემთხვევების განხილვისას ევროპული კონვენცია მოითხოვს, რომ ქალის ფსიქო-ემოციური უსაფრთხოების საკითხს სათანადო ყურადღება მიექცეს საქმის სასამართლოში განხილვის დროს<sup>338</sup>.

სექსუალური შევიწროების შემთხვევებში კანონი მოითხოვს, მტკიცების ტვირთი იმგვარად გადანაწილდეს, რომ ძალადობაგამოვლილ ქალს მხოლოდ ქმედების განხორციელების ვარაუდის საფუძვლის მტკიცება მოუწიოს, ხოლო იმის მტკიცების ტვირთი, რომ დისკრიმინაცია არ განხორციელებულა, სრულად სავარაუდო მოძალადეს ეკისრება<sup>339</sup>. ამგვარ საქმეთა განხილვისას სასამართლოც მსხვერპლზე ორიენტირებულ მიდგომას იყენებს, რაც ერთ-ერთ საქმეში ამგვარად გამოიხატა: სპორტსმენი ქალების ჩვენებების და სხვა მტკიცებულებების საფუძველზე სასამართლომ დაადგინა, რომ მათ არასახარბილოდ მოპყრნენ, რის შემდეგაც მტკიცების

<sup>334</sup> Vučina v. Croatia [ECtHR], App. no. 58955/13, 21 November 2019, para. 32.

<sup>335</sup> Pollack W., *Sexual Harassment: Women's Experience vs. Legal Definitions*, Harvard Women's Law Journal, Vol. 13, 1990, 85.

<sup>336</sup> Fernández Martínez v. Spain [ECtHR], App. no. 56030/07, 12 June 2014, para. 147.

<sup>337</sup> Henson v. City of Dundee, [United States Court of Appeals], 682 F.2d 897 (1982).

<sup>338</sup> Y. v. Slovenia [ECtHR], App. no. 41107/10, 28 May 2015, para. 103; López Ribalda and others v. Spain [ECtHR], App. nos. 1874/13, 8567/13, 17 October 2019, paras. 149-152.

<sup>339</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363<sup>3</sup>-ე მუხლი.

ტვირთი მოპასუხეზე გადაიტანა. შედეგად, შეაფასა რა მოპასუხის მიერ წარმოდგენილი არგუმენტები, სასამართლომ დაადგინა: მოპასუხემ ვერ წარმოადგინა დამაჯერებელი დასაბუთება, რომ ქალეზისთვის არასასურველი მოპყრობა პროფესიული თვალსაზრისით აუცილებელი იყო<sup>340</sup>.

მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომით იმსჯელა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში, სადაც ძალადობაგამოვლილ ქალს ცილისწამებას ედავებოდნენ და მოსარჩელეს დააკისრა იმის მტკიცების ტვირთი, რომ მოპასუხის განცხადებაში მითითებული ცნობები არ იყო ნამდვილი და ის მოქმედებდა ბოროტი განზრახვით – სხვა პირთან შეთანხმებით მოსარჩელის სამსახურიდან ჩამოშორების მიზნით<sup>341</sup>. სასამართლო დაეყრდნო მოსარჩელის წინააღმდეგ მიღებული დისციპლინური და სასამართლო საქმისწარმოების მასალებს, რომელიც მოსარჩელის მხრიდან ამორალური ქმედების ჩადენას ადასტურებდა და სარჩელი ფაქტობრივად უსაფუძვლოდ მიიჩნია<sup>342</sup>. ამ საქმეში სასამართლომ უგულებელყო ფორმალიზმი<sup>343</sup> და პრეიუდიციული ძალა მიანიჭა ისეთ ფაქტებს, რომლებიც დადგინდა სხვა სამოქალაქო საქმეზე კანონიერი გადაწყვეტილებით, სადაც იგივე მხარეები არ მონაწილეობდნენ<sup>344</sup>. ამდენად, ხსენებულ გადაწყვეტილებაში გენდერულად მგრძობიარე მიდგომას მიენიჭა უპირატესობა, რაც ფორმალურ მიდგომაზე ცალსახად სამართლიანია<sup>345</sup>.

<sup>340</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 18 თებერვლის გადაწყვეტილება №2/21831-20.

<sup>341</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 27 ნოემბრის განჩინება №ას-1705-2019.

<sup>342</sup> იქვე.

<sup>343</sup> Volokh E., How Harassment Law Restricts Free Speech, Rutgers Law Review, Vol. 47, No. 2, 1995, 576.

<sup>344</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი.

<sup>345</sup> Volokh E., How Harassment Law Restricts Free Speech, Rutgers Law Review, Vol. 47, No. 2, 1995, 575.

განხილული შემთხვევის მიუხედავად, გენდერულად მგრძობიარე მიდგომა სრულიად უგულებელყო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე, სადაც ქალს ცილისწამებას ედავებოდნენ სქესის ნიშნით დისკრიმინაციისა და სექსუალური შევიწროების შესახებ საჯარო განცხადების გამო და პრეიუდიციული ძალა არ მიანიჭა სახალხო დამცველის მიერ დადგენილ სქესის ნიშნით დისკრიმინაციისა და სექსუალური შევიწროების ფაქტს.<sup>346</sup> თავის მხრივ, სახალხო დამცველის რეკომენდაცია არ არის სასამართლო გადანყვეტილება და მის მიერ დადგენილი ფაქტებისთვის პრეიუდიციული ძალის მინიჭება ეწინააღმდეგება მოქმედ საპროცესო კანონმდებლობას<sup>347</sup> და სამართლიანი სასამართლოს კონსტიტუციური და კონვენციური უფლების განხორციელებას<sup>348</sup>. ამასთანავე, ეს მიდგომა უგულებელყოფს გენდერული საკითხების სათანადო შეფასებას და ქალის ქცევას მიკროსკოპის ქვეშ აყენებს და განსჯის ფსევდონეიტრალური პერსპექტივით,<sup>349</sup> რაც ეწინააღმდეგება ევროსასამართლოს მიერ გენდერული ძალადობის საქმეთა განხილვისთვის დადგენილ სტანდარტს<sup>350</sup>, რომლის თანახმად, გენდერული ძალადობის ფაქტების დაკნინებამ შეიძლება შეარყიოს ძალადობაგამოვლილი ქალების ნდობა მართლმსაჯულების სისტემის მიმართ<sup>351</sup> და გამოიწვიოს

<sup>346</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 13 აპრილის განჩინება №ას-358-2021.

<sup>347</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი.

<sup>348</sup> გვიდიანი ჯ., პრეიუდიცია სამოქალაქო საპროცესო სამართალში (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის ჰერმენეუტიკისათვის), ჟურნ. „სამართლის მეთოდები“, N. 7, 2023, 120-121.

<sup>349</sup> Pollack W., *Sexual Harassment: Women's Experience vs. Legal Definitions*, Harvard Women's Law Journal, Vol. 13, 1990, 58.

<sup>350</sup> Evans J., *Gender Mainstreaming at the European Court of Human Rights: The Need for A Coherent Strategy in Approaching Cases of Violence Against Women and Domestic Violence*, University of Miami Inter-American Law Review, Vol. 54, No. 1, 2023, 30.

<sup>351</sup> J.L. v. Italy [ECtHR], App. no. 5671/16, 27 May 2021, paras. 134-139.

სასამართლოს მიერ სექსუალური შევიწროების ლეგიტიმაცია სამუშაო ადგილას<sup>352</sup>.

გენდერულ ძალადობასთან დაკავშირებული დავების განხილვისას გენდერულად ბრმა მიდგომა ხშირად თავად კანონის დადგენილი მოთხოვნების საწინააღმდეგო გადანყვეტილების მიღებას იწვევს.<sup>353</sup> მტკიცების ტვირთის მართებული განაწილება მხოლოდ გენდერულად მგრძობიარე მიდგომით არის შესაძლებელი<sup>354</sup> და სწორედ ეს მიდგომა უზრუნველყოფს სამართლიანი და ობიექტური მართლმსაჯულების მიღწევას. სასამართლოს მიერ ცილისწამების საქმეთა განხილვისას გენდერული მიდგომის პრაქტიკული იმპლემენტაცია მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ იგი სახალხო დამცველის რეკომენდაციის არსებობას შეაფასებს მხოლოდ ქალის მხრიდან ბრალეული მოქმედების ან ბოროტი განზრახვის კონტექსტში. საჯარო პირის ცილისწამების შემთხვევაში განცხადების ცილისწამებად კვალიფიკაციისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მოპასუხის კეთილსინდისიერებას, ანუ იმ გარემოების დადასტურებას, რომ განცხადებული ფაქტის მცდარობა მისთვის წინასწარ იყო ცნობილი.<sup>355</sup> მიზანშეწონილია, რომ ცილისწამების საქმეზე ობიექტური გადანყვეტილების მისაღებად სასამართლომ სახალხო დამცველის რეკომენდაცია, რომლითაც დადგენილია მოსარჩელის მხრიდან მოპასუხის მიმართ დისკრიმინაცია ან სექსუალური შევიწროება, გამოიყენოს იმის დასადასტუ-

<sup>352</sup> Pollack W., *Sexual Harassment: Women's Experience vs. Legal Definitions*, *Harvard Women's Law Journal*, Vol. 13, 1990, 44.

<sup>353</sup> Chapman A., *Employing the Law for Women – Gender, work and legal regulation in Australia*, in: *International Women's Rights Law and Gender Equality*, Edited by R. Vijayarasa, New-York, 2021, 116.

<sup>354</sup> დეკანოსიძე თ., ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე მართლმსაჯულების განხორციელება საქართველოში, თბილისი, 2020, 32.

<sup>355</sup> „სტიყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლი.

რებლად, რომ მოპასუხეს არ შეიძლებოდა წინასწარ სცოდნოდა განცხადებული ფაქტის მცდარობა. ეს მიდგომა გულისხმობს სასამართლოს მიერ არა სექსუალური შევიწროების ან სექსის ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტის პრეზუმირებას ცილისწამების საქმეში, არამედ ემსახურება გენდერული ძალადობის მსხვერპლთა სიტყვის თავისუფლების დაცვას.

იმ ქვეყნებში, სადაც მოქმედებს ანტი-SLAPP კანონმდებლობა, ძალადობაგამოვლილ ქალებს შეუძლიათ წარადგინონ შესაბამისი შუამდგომლობა და მოითხოვონ ცილისწამების შესახებ სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმა. აღნიშნულის შემდეგ მტკიცების ტვირთი გადადის მოსარჩელე მხარეზე და მას უწევს დაამტკიცოს, რომ სარჩელი აღძრა არა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის მიზნით, არამედ იმ უსაფუძვლო ბრალდებისგან თავის დასაცავად, რომელიც მოსარჩელის ბრალეული ქმედებით დაირღვა.<sup>356</sup> მაგალითად, აშშ-ის კალიფორნიის შტატის სააპელაციო სასამართლომ ძალადობაგამოვლილი ქალის განცხადება პოლიტიკოსის მიერ თანამშრომელთა მიმართ ჩადენილ სექსუალურ შევიწროებაზე საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხად მიიჩნია<sup>357</sup> და ცილისწამების საქმის წარმოება შეწყვიტა<sup>358</sup>. გენდერულად მგრძნობიარე მიდგომით განიხილა ერთ-ერთი საქმე ვერმონტის უმაღლესმა სასამართლომაც და დაადგინა, რომ ცილისწამების შესახებ სარჩელი იმ პირის წინააღმდეგ, რომელმაც სექსუალური შევიწროების შესახებ გააკეთა განცხადება, დაცულია ანტი-SLAPP ნორმებით.<sup>359</sup> სასამართლომ იმსჯელა ძალაუფლების ასიმეტრიულ გადანაწილებაზე პროფესორსა და სტუდენტს შორის და ყურადღება გაამახვილა ამ

<sup>356</sup> Conroy v. Spitzer, [Court of Appeal of California], 70 Cal.App.4th 1446 (1999).

<sup>357</sup> იქვე.

<sup>358</sup> იქვე, პარ. 449.

<sup>359</sup> Figueroa v. Eoodstock Resort Corp, [Vermont Superior Court], 23-CV-01822 (2023).

სახის სარჩელების მსუსხავ ეფექტზე სხვა ძალადობაგამოვლილი ქალების მიერ საკუთარ გამოცდილებაზე საუბრის თვალსაზრისით, რაც საჯარო ინტერესად მიიჩნია<sup>360</sup>.

მიზანშეწონილია, სასამართლომ, მოპასუხეთა შესაბამისი შუამდგომლობის პირობებში, ძალადობაგამოვლილი ქალების განცხადებები მათ მიერ განცდილ გენდერულ ძალადობასთან დაკავშირებით განიხილოს საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხად და გაითვალისწინოს საზოგადოებაში არსებული გენდერული უთანასწორობა. შედეგად, რეკომენდებულია, ცილისწამების საქმეთა განხილვისას ქალების სიტყვის თავისუფლების დაცვის მიზნით სასამართლომ მტკიცების ტვირთი იმგვარად გაანაწილოს, რომ მოსარჩელეს დააკისროს არა მხოლოდ ფაქტის მცდარობის მტკიცების ვალდებულება, არამედ ქალის მხრიდან ბოროტი განზრახვის არსებობა.

#### 4. ძალადობაგამოვლილი ქალების მეორეული ვიქტიმიზაცია ცილისწამების საქმეთა განხილვისას

ძალადობაგამოვლილი ქალების წინააღმდეგ აღძრულ ცილისწამების შესახებ სარჩელებს გაცილებით მძიმე ნეგატიური შედეგები აქვს მათთვის, ვიდრე სხვების მიმართ, რადგან ამ სასამართლო პროცესების დროს, უწევთ, დეტალურად გაიხსენონ მომხდარის დეტალები და ხელახლა განიცადონ წარსულში მიღებული ტრავმები<sup>361</sup>. სასამართლო პროცესების მსვლელობისას ძალადობაგამოვლილი ქალებს, შესაძლოა, შეექმნათ უხერხულობის ან სირცხვილის განცდა და მიიღონ დამატებითი სტრესი.<sup>362</sup> გარდა

<sup>360</sup> იქვე.

<sup>361</sup> Leader A.R., A “SLAPP” in the Face of Free Speech: Protecting Survivors’ Rights to Speak Up in the “Me Too” Era, *First Amendment Law Review*, Vol. 17, No. 3, 2019, 448.

<sup>362</sup> Phipps-Yonas S., *Sexual Trauma and Psychological Injuries: What Experts Need to Know*, *Psychological Injury and Law*, Vol. 5, No. 1, 2012, 25.

ამისა, სასამართლოში საკუთარი ინტერესების დაცვის ფინანსური ტვირთი საკმაოდ მძიმე შეიძლება იყოს ძალადობაგამოვლილი ქალებისთვის, რადგან კვლევებით დადგენილია, რომ დაბალი შემოსავლის ადამიანები უფრო ხშირად ხდებიან გენდერული ძალადობის მსხვერპლნი <sup>363</sup>.

სასამართლო პროცესის დროს ძალადობაგამოვლილი ქალების მეორეული ვიქტიმიზაციის რისკებზე<sup>364</sup> გაამახვილა ყურადღება ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში, სადაც სექსუალური შევიწროების მსხვერპლი ქალის მიმართ კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა დაადგინა.<sup>365</sup> სასამართლო ძალადობაგამოვლილი ქალის პირადი ცხოვრების უფლების დარღვევად აფასებს მართლმსაჯულების პროცესში სექსისტური სტერეოტიპების კვლავნარმოებას და მსხვერპლთა მიმართ განსჯით დამოკიდებულებას და ამგვარი ქმედებების წინააღმდეგ სახელმწიფოს მიერ სათანადო ღონისძიებების გატარების ვალდებულებას ადგენს.<sup>366</sup> სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს სოციალური, ისტორიული და კულტურული ფონი, რომელიც განსახილველი დისკრიმინაციის შემთხვევას განაპირობებს<sup>367</sup>, რადგან ქალების დაცვა მათი „განსაკუთრებული მოწყვლადობის“ აღიარების გარეშე შეუძლებელია<sup>368</sup>, თუმცა, იმავდროულად, სასამართლო ფრთხილად უნდა იყოს, რომ თავი აარიდოს ვიქტიმოლოგიების შექმნილ „იდეალური“ და „არაიდე-

<sup>363</sup> Morgan R.E., Kena G., *Criminal Victimization*, Department of Justice, Bureau of Justice Statistics, 2018.

<sup>364</sup> C. v. Romania [ECtHR], App. no. 47358/20, 30 October 2022, paras. 82-85.

<sup>365</sup> იქვე.

<sup>366</sup> J.L. v. Italy [ECtHR], App. no. 5671/16, 27 May 2021, paras. 85, 119.

<sup>367</sup> მუხადგვერდელი ნ., სასამართლოს მიხედულობის ფარგლები სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროების ფაქტის დადგენისას (სასამართლო გადანყვეტილების ანალიზი), წიგნში: გიორგი კვერენჩილაძე 50, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2022, 141.

<sup>368</sup> Pierobom de Ávila T., *Evolution of Victims' Access to Criminal Justice in Brazil*, in: *Victims' Access to Justice Historical and Comparative Perspectives*, Edited by P. Cox and S. Walklate, New York, 2023, 216.

ალური“ მსხვერპლის კონცეფციებს.<sup>369</sup> სამართალშემფარდებელმა უნდა გაითვალისწინოს კულტურული ფონი, რომელიც გენდერული ძალადობის მრავალი ფორმის ნორმალიზაციას ახდენს და კაცებსა და ქალებს შორის ძალადობრივ ურთიერთობებს მისაღებად მიიჩნევს.<sup>370</sup> აღსანიშნავია, რომ ცილისწამების შესახებ ნებისმიერი სარჩელი ქალის მიმართ მის მიერ გაკეთებულ განცხადებასთან დაკავშირებით, რომელიც გენდერული ძალადობის შესახებ ცნობებს შეიცავს, არის მანიფესტაცია – ქალი „სინამდვილეში“ არა მსხვერპლი, არამედ მატყუარაა<sup>371</sup>.

ევროპის საბჭოს კონვენცია ქალთა „მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ სახელმწიფოებს აკისრებს ვალდებულებას, მიიღონ შესაბამისი საკანონმდებლო ან სხვა მექანიზმები ძალადობის მსხვერპლთა შემდგომი აქტებისაგან დასაცავად<sup>372</sup>, მათ შორის, დაიცვას ძალადობაგამოვლილი ქალები მეორადი ძალადობისგან<sup>373</sup>. ძალადობაგამოვლილი ქალების მიმართ რაიმე სახის უარყოფითი მოპყრობა და მათზე ზემოქმედება იმის გამო, რომ დისკრიმინაციისაგან დასაცავად განცხადებით ან საჩივრით მიმართეს შესაბამის ორგანოს, აკრძალულია საქართველოს კანონმდებლობითაც<sup>374</sup>. ასევე კანონი კრძალავს

<sup>369</sup> Petoukhov K., 'I Want Your Tears and I Want Them to be Real' Exploring the Construction of 'Ideal' and 'Non-ideal' Victims in the Independent Assessment Process for Indian Residential School Abuse, in: Victims' Access to Justice Historical and Comparative Perspectives, Edited by P. Cox and S. Walklate, New York, 2023, 115.

<sup>370</sup> Kelly L., Radford J., Sexual Violence Against Women and Girls – An Approach to an International Overview, in: Rethinking Violence Against Women, Edited by R.E. Dobash and R.P. Dobash, SAGE Publications, 1998, 63.

<sup>371</sup> Shore H., Williams L., Divergent Victims in the Old Bailey, in: Victims' Access to Justice Historical and Comparative Perspectives, Edited by P. Cox and S. Walklate, New York, 2023, 43.

<sup>372</sup> „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტი.

<sup>373</sup> იქვე.

<sup>374</sup> „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს

როგორც ფსიქოლოგიურ ძალადობას, რაც შესაძლოა გამოიხატოს, მათ შორის, მუქარაში ან სხვა ისეთი მოქმედებაში, რომელიც იწვევს ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვას<sup>375</sup>, ისე იძულებას, შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, რომლის განხორციელება ან რომლისგან თავის შეკავება მისი უფლებაა, ანდა საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის სანინაალმდეგო ზემოქმედება.<sup>376</sup> ძალადობაგამოვლილი ქალების მიმართ აღძრული ცილისწამების შესახებ სარჩელებით მოთხოვნილია ქალების მიერ გავრცელებული განცხადებების უარყოფა, რომელიც მოიცავს მათ მიერ განცდილი ძალადობის შესახებ ცნობების უარყოფას.<sup>377</sup> ქალების ამგვარი იძულება იწვევს მათ მეორეულ ვიქტიმიზაციას, რაც გენდერული ძალადობის ერთ-ერთი ფორმაა.<sup>378</sup> იმავდროულად, იმ ქალებს, რომლებმაც გენდერული ძალადობის გამო შესაბამის უწყებებს მიმართეს, ემუქრებათ სისხლის სამართლის წესით გასამართლება იმ შემთხვევაში, თუ სამოქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას დაემორჩილებიან და უარყოფენ განცხადებაში აღწერილ მოვლენებს<sup>379</sup>.

ქართულ სასამართლოებს სამი ძალადობაგამოვლილი ქალის მიმართ აქვთ განხილული ცილისწამების საქმეები. ერთ-ერთი საქმის განხილვა ხუთი წლის მანძილზე გრძელდებოდა სამი ინსტანციის სასამართლოში, ყველა ჯერზე ძალადობაგამოვლილ ქალს უწევდა სასამართლოში შეხვედრა ადამიანთან, რომელმაც, სახალხო დამ-

---

კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტი.

<sup>375</sup> „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი.

<sup>376</sup> იქვე, „გ“ ქვეპუნქტი.

<sup>377</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 13 აპრილის განჩინება №ას-358-2021.

<sup>378</sup> „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი.

<sup>379</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლი.

ცველის რეკომენდაციის თანახმად, მის მიმართ სქესის ნიშნით დისკრიმინაცია ჩაიდინა და სექსუალურად შეავინროვა.<sup>380</sup>

ძალადობაგამოვლილი ქალებისთვის იურიდიული დახმარების განევა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათი მეორეული ვიქტიმიზაციისგან დასაცავად, თუმცა ამ მიმართულებით მრავალი გამოწვევა არსებობს.<sup>381</sup> მას შემდეგ, რაც 2014 წელს საქართველომ ხელი მოაწერა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციას<sup>382</sup>, წლიდან წლამდე უფასო იურიდიული დახმარების მიმღებ პირთა წრე სულ უფრო ფართოვდება<sup>383</sup> და დღეისათვის უკვე მოიცავს იმ ქალებს, რომლებიც გენდერული ძალადობის მსხვერპლნი ხდებიან არა მხოლოდ ოჯახში, არამედ ოჯახის მიღმა<sup>384</sup>. თუმცა კანონით არ არის გათვალისწინებული იურიდიული დახმარებით უზრუნველყოფა ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლებისათვის, რომლებსაც ცილისწამებას ედავეებიან<sup>385</sup>. შესაბამისად, გენდერული ძალადობის მსხვერპლი ქალები, რომლებმაც ღიად ისაუბრეს განცდილი ძალადობის თაობაზე, ადვოკატის დახმარების გარეშე დარჩებოდნენ, რომ არა არსამთავრობო ორგანიზაციების უფასო იურიდიული დახმარების მომსახურება<sup>386</sup>. ამ სერვისის

<sup>380</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 13 აპრილის განჩინება №ას-358-2021.

<sup>381</sup> გოგბერაშვილი ა., ძალადობაგამოვლილი ქალებისთვის მხარდამჭერი სერვისები და მექანიზმები საქართველოში, თბილისი, 2023, 25.

<sup>382</sup> „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენცია, CETS No.210, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 29.08.2017.

<sup>383</sup> „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს 2017 წლის 25 მაისის კანონის პირველი მუხლი.

<sup>384</sup> „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს 2018 წლის 26 თებერვლის კანონის პირველი მუხლი.

<sup>385</sup> „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლი.

<sup>386</sup> გოგბერაშვილი ა., ძალადობაგამოვლილი ქალებისთვის მხარდამჭერი

არარსებობის პირობებში ქალებს თავად მოუწევდათ გადაეხადათ ადვოკატის ხარჯები და შესაბამისად, დაეკისრებოდათ შეუსაბამოდ მაღალი ფინანსური ტვირთი.

ეკონომიკური რესურსების ასიმეტრიულობა განსაკუთრებით აქტუალურია ცილისნამების შესახებ იმგვარი სარჩელების დროს, რომლის მიზანიც არა მოსარჩელის საქმიანი რეპუტაციის დაცვა, არამედ ქალის გაჩუმება და მისი სიტყვის თავისუფლების ჩახშობაა<sup>387</sup>. კოლუმბიის საკონსტიტუციო სასამართლომ თავის ერთ-ერთ საეტაპო გადაწყვეტილებაში, სადაც გამოხატვის თავისუფლების ფარგლები მნიშვნელოვნად გააფართოვა, „სასამართლო შევიწროებად“ მიიჩნია ფემინისტური მედიის მიმართ აღძრული ცილისნამების საქმე იმ პირის მიერ, ვის შესახებაც ჟურნალისტებმა საგამოძიებო მასალა მოამზადეს და ხუთი ქალის მიმართ სექსუალურ შევიწროებაში დაადანაშაულეს.<sup>388</sup> „სასამართლო შევიწროების“ დადგენისთვის სასამართლომ რამდენიმე კრიტერიუმზე მიუთითა: 1. მოსარჩელე იყენებს სამართალწარმოების უფლებას გამოხატვის თავისუფლების ჩახშობის მიზნით, განსაკუთრებით, საჯარო ინტერესის საკითხებთან დაკავშირებით; 2. მოსარჩელეს აქვს სათანადო ეკონომიკური რესურსი იურიდიული მომსახურების ხარჯების უზრუნველყოფად; 3. ამკარაა მხარეთა ძალაუფლებრივი დისბალანსი; 3. მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილება შეუძლებელია მოპასუხის მიერ, განსაკუთრებით, დიდი რაოდენობით კომპენსაციის მოთხოვნის შემთხვევებში; 4. სარჩელი შეტანილია მსუსხავი ეფექტის წარმოქმნის მიზნით<sup>389</sup>.

---

სერვისები და მექანიზმები საქართველოში, თბილისი, 2023, 23-24.

<sup>387</sup> Pring G.W. and Canan P., SLAPPs: Getting Sued for Speaking Out, Philadelphia, 1996, 74.

<sup>388</sup> Guerra v. Ruiz-Navarro, [Constitutional Court of Colombia], T-452/22 (2022).

<sup>389</sup> Bollinger L. C., Botero-Marino C., How are Courts Responding to SLAPPs? Analysis of Selected Court Decisions from Across the Globe, Columbia Global Freedom of Expression, 2023, 17.

შეიძლება ითქვას, რომ იურიდიული მომსახურებისთვის განუ-  
ული ხარჯები მნიშვნელოვანი გარემოებაა ზოგადად SLAPP საქმე-  
ებში, თუმცა კიდევ უფრო აქტუალურია ძალადობაგამოვლილი ქა-  
ლების წინააღმდეგ აღძრულ ცილისწამების შესახებ სარჩელების  
განხილვისას. ევროპის საბჭოს კონვენცია აღიარებს გენდერული  
ძალადობის მსხვერპლების იურიდიული დახმარების უფლებას და ამ  
უფლების სრულყოფილი რეალიზაციის მიზნით სახელმწიფოს შე-  
საბამისი ღონისძიებების გატარებისკენ მოუწოდებს<sup>390</sup>. ძალადობა-  
გამოვლილი ქალების სიტყვის თავისუფლებისა და მათი მეორეული  
ვიქტიმიზაციისგან დაცვისთვის „იურიდიული დახმარების შესახებ“  
საქართველოს კანონის მონერსრიგება უნდა შეიცვალოს, კერძოდ,  
მე-5 მუხლს, რომელიც იურიდიული დახმარების განევის პირობებს  
განსაზღვრავს, მიზანშეწონილია, დაემატოს შინაარსი, რომელიც  
უზრუნველყოფს ძალადობაგამოვლილი ქალებისთვის სამართლებ-  
რივი დოკუმენტების შედგენაში მხარდაჭერას და სასამართლოში  
წარმომადგენლობას (დანართი 1).

## 5. ცილისწამებით ქალების გამომხატვის თავისუფლების შეზღუდვა, როგორც არაპირდაპირი დისკრიმინაცია

დისკრიმინაციაა არა ნებისმიერი განსხვავებული მოპყრობა,  
არამედ ისეთი, რომელსაც არ გააჩნია ობიექტური და გონივრული  
დასაბუთება.<sup>391</sup> დისკრიმინაცია სხვადასხვა ფორმით, მათ შორის,  
ირიბი დისკრიმინაციის სახით შეიძლება გამოიხატოს<sup>392</sup>, რაც შე-

<sup>390</sup> „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და  
აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის 57-ე მუხლი.

<sup>391</sup> *Molla Sali v. Greece* [ECtHR], App. no. 20452/14, 19 December 2018, para.  
135; *Fabris v. France* [ECtHR], App. no. 16574/08, 7 February 2013, para.  
56; *D.H. and Others v. the Czech Republic* [ECtHR], App. no. 57325/00, 13  
November 2007, para. 175;

<sup>392</sup> „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს  
კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი.

იძლება ეწოდოს ზოგადი პოლიტიკის ან ღონისძიების არაპროპორციულად მანვე ზემოქმედებას, რომელიც არსით ნეიტრალურია, თუმცა განსაკუთრებულად არახელსაყრელი ეფექტი აქვს კონკრეტულ ჯგუფზე.<sup>393</sup> არაპირდაპირი დისკრიმინაცია არსებობს დისკრიმინაციული განზრახვის მიუხედავად<sup>394</sup> და შესაძლოა წარმოიშვას ნეიტრალური წესიდან<sup>395</sup>, დე ფაქტო სიტუაციიდან<sup>396</sup> ან პოლიტიკიდან<sup>397</sup>.

ძალადობაგამოვლილი ქალების გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის დისკრიმინაციად კვალიფიკაციისთვის, უპირველესად, უნდა განიმარტოს სუბსიდიარობის პრინციპი, რომელიც არ გულისხმობს დაცვის შიდასამართლებრივი საშუალებების გამოყენებით მიღებულ შედეგზე ყოველგვარ ზედამხედველობაზე უარის თქმას<sup>398</sup>. ევროპულმა სასამართლომ დისკრიმინაცია დაადგინა ქალთა მიმართ ძალადობის მრავალ საქმეში, იმის მიუხედავად, რომ ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობა არ ადგენდა განსხვავებულ მოპყრობას კაცებსა და ქალებს შორის უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობის ან მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით.<sup>399</sup> სასამართლომ შეაფასა კანონის

<sup>393</sup> Biao v. Denmark [ECtHR], App. no. 38590/10, 24 May 2016, para. 103; D.H. and Others v. the Czech Republic [ECtHR], App. no. 57325/00, 13 November 2007, para. 184; Sampanis and Others v. Greece [ECtHR], App. no. 59608/09, 11 December 2012, para. 67.

<sup>394</sup> Biao v. Denmark [ECtHR], App. no. 38590/10, 24 May 2016, para. 103; D.H. and Others v. the Czech Republic [ECtHR], App. no. 57325/00, 13 November 2007, para. 184.

<sup>395</sup> Hoogendijk v. the Netherlands [ECtHR], App. no. 58641/00, 6 January 2005.

<sup>396</sup> Zarb Adami v. Malta [ECtHR], App. no. 17209/02, 24 May 2005, para. 76.

<sup>397</sup> Tapayeva and Others v. Russia [ECtHR], App. no. 24757/18, 23 November 2021, para. 112.

<sup>398</sup> იქვე, პარ. 40.

<sup>399</sup> Opuz v. Turkey [ECtHR], App. no. 33401/02, 9 June 2009; Eremia v. the Republic of Moldova [ECtHR], App. no. 3564/11, 28 May 2013; Volodina v. Russia [ECtHR], App. no. 41261/17, 9 July 2019; Tunikova and Others v. Russia [ECtHR], App. nos. 55974/16 and 3 others, 14 December 2021; Tkheldze v.

აღსრულება ძალადობაგამოვლილი ქალების დაცვის კონტექსტში და დაადგინა, რომ გენდერულ ძალადობაზე მართლმსაჯულება ბრკოლდებოდა სამართალდამცავი უწყებებისა და სასამართლო ხელისუფლების არაეფექტიანობის გამო.<sup>400</sup> ფაქტობრივი უთანასწორობის გამოსწორებაზე სახელმწიფოს რეაგირებისგან თავის შეკავება,<sup>401</sup> თავის მხრივ, იწვევს ევროკონვენციის მე-14 მუხლით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევას<sup>402</sup>. ამ ვალდებულების ფარგლებში აუცილებელია სახელმწიფომ მიიღოს პოზიტიური მექანიზმები ფაქტობრივი უთანასწორობის წინააღმდეგ,<sup>403</sup> ქალების დისკრიმინაციის მასშტაბის გათვალისწინებით და სოციალური ჰარმონიის უზრუნველსაყოფად.<sup>404</sup> აღნიშნული, უპირველეს ყოვლისა, ემსახურება დისკრიმინაციული მოპყრობის შეჩერებას ან დისკრიმინაციის აღმოფხვრას<sup>405</sup>.

---

Georgia [ECtHR], App. no. 33056/17, 8 July 2021; A and B v. Georgia [ECtHR], App. no. 73975/16, 10 February 2022.

<sup>400</sup> Opuz v. Turkey [ECtHR], App. no. 33401/02, 9 June 2009, para. 192.

<sup>401</sup> McDougal M. S., Lasswell H. D., Chen L., Freedom from Discrimination in Choice of Language and International Human Rights, Southern Illinois University Law Journal, Vol. 1, No. 1, 1976, 163.

<sup>402</sup> Taddeucci and McCall v. Italy [ECtHR], App. no. 51362/09, 30 June 2016, para. 81; Kurić and Others v. Slovenia [ECtHR], App. no. 26828/06, 26 June 2012, para. 388; Sejdić and Finci v. Bosnia and Herzegovina [ECtHR], App. nos. 27996/06 and 34836/06, 22 December 2009, para. 44; Muñoz Díaz v. Spain [ECtHR], App. no. 49151/07, 8 December 2009, para. 48; D.H. and Others v. the Czech Republic [ECtHR], App. no. 57325/00, 13 November 2007, para. 175; Stec and Others v. the United Kingdom [ECtHR], App. nos. 65731/01 and 65900/01, 12 April 2006, para. 51; Thlimmenos v. Greece [ECtHR], App. no. 34369/97, 6 April 2000, para. 44.

<sup>403</sup> Horváth and Kiss v. Hungary [ECtHR], App. no. 11146/11, 29 January 2013, para. 104.

<sup>404</sup> Mullen T., Affirmative Action, in: The Legal Relevance of Gender – Some Aspects of Sex-Based Discrimination, Edited by S. Mclean, N. Burrows, London, 1988, 246.

<sup>405</sup> Pla and Puncernau v. Andorra [ECtHR], App. no. 69498/01, 13 July 2004, para. 62.

ძალადობაგამოვლილი ქალების სიტყვის თავისუფლება<sup>406</sup> და მათი მეორეული ვიქტიმიზაციისგან დაცვა<sup>407</sup> ევროპული კონვენციით გარანტირებული უფლებებია და შესაბამისად, ლეგიტიმური საჯარო მიზანია, რომლის დაცვის ვალდებულებაც სახელმწიფოს ისევე აქვს, როგორც სხვა უფლებების (მაგალითად, ციხის გარემოში ქალების გენდერული ძალადობისა და სექსუალური შევიწროებისგან დაცვის)<sup>408</sup>.

ქალის ძალადობისა და დისკრიმინაციისგან დაცვის ვალდებულება მჭიდროდ უკავშირდება პირადი ცხოვრების უფლებას, რომლის ცნება იმდენად ფართოა, რომ ევროპული სასამართლო შეუძლებლად მიიჩნევს მის ამომწურავად განმარტებას<sup>409</sup>. პირადი ცხოვრების უფლება მოიცავს ადამიანის ფიზიკურ და ფსიქიკურ ხელშეუხებლობას, თუმცა არ იზოლირდება გარე სამყაროსგან<sup>410</sup>. ძალადობაგამოვლილი ქალების უფლება, ღიად ისაუბრონ მათ მიმართ ჩადენილ ძალადობაზე და ყველა კანონიერი საშუალებით სცადონ თავის დაცვა, მათი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების ნაწილია, რომელიც მოიცავს თითოეული ინდივიდის უფლებას, მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში<sup>411</sup> და საკუთარი შეხედულებისამებრ წარმართოს თავისი ცხოვრება,<sup>412</sup> იაქტიუროს პოლიტიკურ, კულტურულ, სოციალურ

<sup>406</sup> ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-10 მუხლი.

<sup>407</sup> იქვე, მე-8 მუხლი.

<sup>408</sup> *Khamtokhu and Aksenchik v. Russia* [ECtHR], App. nos. 60367/08 and 961/11, 13 March 2014, para. 82.

<sup>409</sup> *Niemietz v. Germany* [ECtHR], App. no. 13710/88, 16 December 1992, para. 29; *Pretty v. the United Kingdom* [ECtHR], App. no. 2346/02, 29 April 2002, para. 61; *Peck v. the United Kingdom* [ECtHR], App. no. 44647/98, 28 January 2003, para. 57.

<sup>410</sup> *Denisov v. Ukraine* [ECtHR], App. no. 76639/11, 25 September 2018, para. 96.

<sup>411</sup> *Bărbulescu v. Romania* [ECtHR], App. no. 61496/08, 5 September 2017, para. 71; *Botta v. Italy* [ECtHR], App. no. 21439/93, 24 February 1998, para. 32.

<sup>412</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 29 დეკემბრის

თუ ეკონომიკურ სფეროში<sup>413</sup> და საზოგადოებრივი კონტროლისგან თავისუფალ პირობებში გამოხატოს საკუთარი თავი მისთვის სასურველი ფორმითა თუ მანერით<sup>414</sup>. ამ უფლებით სარგებლობა შეუძლებელია გენდერული ძალადობისა და დისკრიმინაციისგან დაცვის მექანიზმებით უზრუნველყოფის გარეშე, რადგან ქალის ფიზიკური და ფსიქიკური ხელშეუხებლობის დაცვა მესამე პირების მხრიდან მისი პირადი ცხოვრების დაცულობის ერთ-ერთი კომპონენტია<sup>415</sup>. სახელმწიფოს აკისრია მისი დაცვის პოზიტიური ვალდებულება<sup>416</sup>, რაც მოიცავს ქალების ფიზიკური და ფსიქიკური ხელშეუხებლობის დაცვის ვალდებულებას სხვა პირებისგან, მათ შორის მოიაზრება შევიწროება/დაშინება კოლეგების მიერ<sup>417</sup> და სექსუალური შევიწროება სამუშაო ადგილზე<sup>418</sup>.

სახელმწიფოები ქმნიან შესაბამის საკანონმდებლო ბაზას, რომელიც უზრუნველყოფს ქალების დაცვას კერძო პირების მხრიდან

---

**№3/7/679** გადანყვეტილება საქმეზე, „შპს სამაუნყებლო კომპანია რუსეთის თავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-2.

<sup>413</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 31 მარტის გადანყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიბ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიბ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, ააიბ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიბ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიბ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-6.

<sup>414</sup> იქვე, II-10.

<sup>415</sup> *Nicolae Virgiliu Tănase v. Romania* [ECtHR], App. no. 41720/13, 25 June 2019, para. 128, *C. v. Romania* [ECtHR], App. no. 47358/20, 30 October 2022, paras. 50-54; *Beizaras and Levickas v. Lithuania* [ECtHR], App. no. 41288/15, 14 January 2020, paras. 109, 117.

<sup>416</sup> *C. v. Romania* [ECtHR], App. no. 47358/20, 30 October 2022, paras. 62-66.

<sup>417</sup> *Špadijer v. Montenegro* [ECtHR], App. no. 31549/18, 9 November 2021, para. 100.

<sup>418</sup> *C. v. Romania* [ECtHR], App. no. 47358/20, 30 October 2022, paras. 67-87.

ძალადობისგან,<sup>419</sup> კერძოდ, შეინარჩუნოს და პრაქტიკაში გამოიყენოს ადეკვატური სამართლებრივი ჩარჩო ამ მიზნით<sup>420</sup>. გარდა ამისა, ეს საკანონმდებლო ბაზა ეფექტიანად უნდა განხორციელდეს პრაქტიკაში, რათა სახელმწიფომ შეასრულოს ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული პოზიტიური ვალდებულებები.<sup>421</sup> მართალია, სახელმწიფოები პოზიტიური ვალდებულების ფარგლებში მოქმედებენ და ქმნიან გენდერული ძალადობისგან დაცვის მექანიზმებს,<sup>422</sup> თუმცა არსებული კანონმდებლობა ყოველთვის არ ითვალისწინებს მსხვერპლთა საჭიროებებს და შესაბამისად, ვერ უზრუნველყოფს ძალადობაგამოვლილი ქალების სათანადო დაცვას<sup>423</sup>. გრევიოს შეფასებით, სექსუალური შევიწროების ამკრძალავი ეროვნული საკანონმდებლო ნორმები არ შეესაბამება სტამბოლის კონვენციას<sup>424</sup>, რადგან საქართველოს შრომის კოდექ-

<sup>419</sup> Sandra Janković v. Croatia [ECtHR], App. no. 38478/05, 5 March 2009, para. 45.

<sup>420</sup> Osman v. the United Kingdom [ECtHR], App. no. 87/1997/871/1083, 28 October 1998, paras. 128-130; Bevacqua and S. v. Bulgaria [ECtHR], App. no. 71127/01, 12 June 2008, para. 65; Sandra Janković v. Croatia [ECtHR], App. no. 38478/05, 5 March 2009, para. 45; A v. Croatia [ECtHR], App. no. 55164/08, 14 October 2010, para. 60; Đorđević v. Croatia [ECtHR], App. no. 41526/10, 24 July 2012, paras. 141-143; Söderman v. Sweden [ECtHR], App. no. 5786/08, 12 November 2013, para. 80.

<sup>421</sup> Špadijer v. Montenegro [ECtHR], App. no. 31549/18, 9 November 2021, para. 101.

<sup>422</sup> Milićević v. Montenegro [ECtHR], App. no. 27821/16, 6 September 2018, para. 54; Odièvre v. France [ECtHR], App. no. 42326/98, 13 February 2003, para. 42; Glass v. the United Kingdom [ECtHR], App. no. 61827/00, 9 March 2004, paras. 74-83.

<sup>423</sup> Chapman A., *Employing the Law for Women – Gender, work and legal regulation in Australia*, in: *International Women’s Rights Law and Gender Equality*, Edited by R. Vijayarasa, New-York, 2021, 118.

<sup>424</sup> GREVIO-ს (საბაზისო) შეფასების ანგარიში იმ საკანონმდებლო და სხვა ზომების შესახებ, რომლებიც უზრუნველყოფს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის (სტამბოლის კონვენცია) დებულებების ამოქმედებას, საფრანგეთი, 2022, პარ. 284.

სის თანახმად, სექსუალურ შევიწროებად მიიჩნევა არასასურველი სექსუალური ხასიათის ქცევა, რომელიც მოითხოვს ორი გარემოების კუმულაციურად დადასტურებას: პირის ღირსების შელახვას და დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას<sup>425</sup>. კონვენცია კი სახელმწიფოს ავალდებულებს ნებისმიერი სექსუალური ხასიათის არასასურველი ქცევის აკრძალვას, რომელიც იწვევს ადამიანის ღირსების შელახვას<sup>426</sup>. არსებული საკანონმდებლო ხარვეზი აფერხებს ქალის მიერ გონივრული აღქმის სტანდარტის<sup>427</sup> გამოყენებას, რადგან მათ უწევთ ამტკიცონ როგორც ღირსების შელახვის ფაქტი, ისე ამგვარი გარემოს არსებობა და ეს უნდა მოახერხონ სასამართლო სისტემაში, რომელიც გაჯერებულია ქალთა მიმართ წინარწმენებით<sup>428</sup> და მასკულინური „ობიექტურობის ტირანიით“<sup>429</sup>.

ფიზიკური და ფსიქიკური ხელშეუხებლობის დაცვის უფლებიდან გამომდინარე გენდერული ძალადობისგან დაცვის ეფექტიანი და ხელმისაწვდომი საშუალებები<sup>430</sup> მოიცავს როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელი მექანიზმების მარეგულირებელ ჩარჩოს, რომელიც იცავს ინდივიდთა უფლებებს და მათ განხორციელებას კონტექსტის გათვალისწინებით.<sup>431</sup> სამუშაო ადგილზე

<sup>425</sup> საქართველოს შრომის კოდექსის მე-4 მუხლის მე-6 პუნქტი.

<sup>426</sup> „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის მე-40 მუხლი.

<sup>427</sup> Westman B.B, *The Reasonable Woman Standard: Preventing Sexual Harassment in the Workplace*, William Mitchell Law Review, Vol. 18, No. 3, 805-810.

<sup>428</sup> იქვე, 806-807.

<sup>429</sup> Scales A.C., *The Emergence of Feminist Jurisprudence: An Essay*, Yale Law Journal, Vol. 95, No. 7, 1986, 1376-1377.

<sup>430</sup> Airey v. Ireland [ECtHR], App. no. 6289/73, 9 October 1979, para. 33; McGinley and Egan v. the United Kingdom [ECtHR], App. no. 10/1997/794/995-996, 9 June 1998, para. 101; Roche v. the United Kingdom [ECtHR], App. no. 32555/96, 19 October 2005, para. 162.

<sup>431</sup> A, B and C v. Ireland [ECtHR], App. no. 25579/05, 16 December 2010, para. 245.

შევიწროების გამოცდილება საფრთხეს უქმნის ქალების ფსიქო-ემოციურ სტაბილურობას და ნეგატიური გავლენა აქვს მათ კეთილდღეობაზე<sup>432</sup>, ამდენად სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებაა, სათანადოდ დაიცვას ამგვარი გენდერული ძალადობის მსხვერპლები<sup>433</sup>. ეს ვალდებულება მოიცავს სტერეოტიპებისგან თავისუფალი მიდგომებით უზრუნველყოფას, რადგან სწორედ ნეგატიური გენდერული სტერეოტიპები განაპირობებს ქალების ჩაგვრას გენდერული ნიშნით.<sup>434</sup>

ქალების წინააღმდეგ SLAPP სარჩელებს, რომელთა მიზანიც გამოხატვის თავისუფლების არალეგიტიმური შეზღუდვაა, შესაძლოა, ნეგატიური შედეგი ჰქონდეს ქალების ფსიქო-ემოციურ და ეკონომიკურ<sup>435</sup> მდგომარეობაზე. იმავდროულად, ძალადობაგამოვლილი ქალების მიმართ აღძრულ ცილისწამების სარჩელებს აქვთ მსუსხავი ეფექტი არა მხოლოდ ქალების გამოხატვის თავისუფლებაზე, არამედ ზოგადად, საჯარო ინტერესზე<sup>436</sup>. კერძო პირებს შორის ნაკლებად სერიოზულ ქმედებებთან დაკავშირებით, რომლებმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ადამიანის ფსიქო-ემოციურ მდგომარეობას, სახელწიფომ უნდა უზრუნველყოს დაცვის საშუალებების არსებობა, რაც მოიცავს არა მხოლოდ ქმედებების კრიმინალიზაციას, არამედ სამოქალაქოსამართლებრივ დაცვის მექანიზმებსაც, რომლებსაც შეუძლიათ საკმარისი დაცვის უზრუნველყოფა<sup>437</sup>. ამ

<sup>432</sup> Špadijer v. Montenegro [ECtHR], App. no. 31549/18, 9 November 2021, paras. 85-100.

<sup>433</sup> C. v. Romania [ECtHR] App. no. 47358/20, 30 October 2022, paras. 61-88.

<sup>434</sup> Caputi J., Is Seeing Believing? Rapist Culture on the Screen, in: Analyzing Violence Against Women, Edited by W. Teays, Los Angeles, 2019, 213.

<sup>435</sup> Acheson D.J., Wohlschlegel A., The Economics of Weaponized Defamation Lawsuits, Southwestern Law Review, Vol. 47, No. 2, 2018, 357.

<sup>436</sup> იქვე, 337.

<sup>437</sup> X and Y v. the Netherlands [ECtHR], App. no. 8978/80, 5 July 1983, paras. 24 and 27; Söderman v. Sweden [ECtHR], App. no. 5786/08, 12 November 2013, para. 85; Tolić and Others v. Croatia [ECtHR], App. no. 13482/15, 27 June 2019, paras. 94-95 and 99; Noveski v. the former Yugoslav Republic of

თვალსაზრისით, გასათვალისწინებელია ზოგადი კონტექსტი და გენდერული უთანასწორობის ისტორიული გამოცდილება<sup>438</sup>.

ლეგიტიმური მიზნის არსებობასთან ერთად, აუცილებელია, სამართლიანი ბალანსის უზრუნველყოფა საზოგადოების ინტერესების დაცვასა და პიროვნების უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემას შორის<sup>439</sup>, რაც გონივრულობის და პროპორციულობის კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს<sup>440</sup>. ევროპული სასამართლოს შეფასებით, საზოგადოებაში გარკვეული ჯგუფის მიმართ სტერეოტიპული მიდგომა მათი საჭიროებების უგულვებელყოფაში გამოიხატება.<sup>441</sup> სახელმწიფოს მხრიდან გენდერული ძალადობის უზრუნველყოფისთვის შესაბამისი პოზიტიური მექანიზმების შემუშავება<sup>442</sup>, მათ შორის მოიცავს ქალების სიტყვის თავისუფლების გაუმართლებელი შეზღუდვისგან დაცვას. ძალადობაგამოვლილი ქალების წინააღმდეგ აღძრული ცილისწამების შესახებ სარჩევები შეტანილია არა რეპუტაციის დაცვის, არამედ ქალების გაჩუმების მიზნით, რადგან მათ გაბედეს და გენდერულ ძალადობასთან დაკავშირებით გააკეთეს განცხადება<sup>443</sup>.

---

Macedonia [ECtHR], App. nos. 25163/08, 2681/10 and 71872/13, 6 October 2016, para. 61.

<sup>438</sup> Radacic I., Gender Equality Jurisprudence of the European Court of Human Rights, *The European Journal of International Law*, Vol. 19 No. 4, 2008, 851.

<sup>439</sup> Belgian Linguistic Case (No. 2) [ECtHR], App. nos. 1474/62 and others, 23 July 1968, para. 10.

<sup>440</sup> Molla Sali v. Greece [ECtHR], App. no. 20452/14, 19 December 2018, para. 135; Fabris v. France [ECtHR], App. no. 16574/08, 7 February 2013, para. 56; Mazurek v. France [ECtHR], App. no. 34406/97, 1 February 2000, paras. 46-48; Larkos v. Cyprus [ECtHR], App. no. 29515/95, 14 January 1998, para. 29.

<sup>441</sup> Carvalho Pinto de Sousa Morais v. Portugal [ECtHR], App. no. 17484/15, 25 July 2017, para. 46.

<sup>442</sup> Radacic I., Gender Equality Jurisprudence of the European Court of Human Rights, *The European Journal of International Law*, Vol. 19 No. 4, 2008, 854.

<sup>443</sup> Leader A.R., A “SLAPP” in the Face of Free Speech: Protecting Survivors’ Rights to Speak Up in the “Me Too” Era, *First Amendment Law Review*, Vol. 17, No. 3, 2019, 447.

სქესის ნიშნით განსხვავებული მოპყრობა შეიძლება გამართლდეს მხოლოდ ძალიან მნიშვნელოვანი მიზეზებით<sup>444</sup>, რადგან როდესაც საქმე ეხება სქესის ნიშნით დისკრიმინაციას, ევროპულმა სასამართლომ არაერთხელ განაცხადა, რომ გენდერული თანასწორობის განვითარება დღეს ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში მთავარი მიზანია<sup>445</sup> და „ძალიან მნიშვნელოვანი მიზეზები“ უნდა ამ ნიშნით განსხვავებული მოპყრობის დაცვას<sup>446</sup>. ამ თვალსაზრისით, არსებითია, შეფასდეს, ერთი მხრივ, არსებული პრაქტიკის ნეგატიური გავლენა ქალებზე, რაც მათი სიტყვის თავისუფლებისა და პირადი ცხოვრების უფლების დარღვევაში მდგომარეობს, ხოლო, მეორე მხრივ, ქალების ამ პრაქტიკისგან დასაცავად სახელმწიფოს მიერ მიღებული საკანონმდებლო ან აღმასრულებელი მექანიზმები<sup>447</sup>.

ეროვნული სასამართლოების გენდერულად ბრმა მიდგომა მტკიცების ტვირთის განაწილებისა და მტკიცებულებების გამოკვლევისას, ქმნის ძალადობაგამოვლილი ქალების მეორეული ვიქტიმიზაციისთვის ხელსაყრელ კლიმატს<sup>448</sup> და ხელს უწყობს

<sup>444</sup> Abdulaziz, Cabales and Balkandali v. the United Kingdom [ECtHR], App. nos. 9214/80, 9473/81, 9474/81, 28 May 1985, para. 78; Konstantin Markin v. Russia [ECtHR], App. no. 30078/06, 22 March 2012, para. 127; Schalk and Kopf v. Austria [ECtHR], App. no. 30141/04, 26 June 2010, para. 97.

<sup>445</sup> Konstantin Markin v. Russia [ECtHR], App. no. 30078/06, 22 March 2012, para. 127.

<sup>446</sup> Abdulaziz, Cabales and Balkandali v. the United Kingdom [ECtHR], App. nos. 9214/80, 9473/81, 9474/81, 28 May 1985, para. 78; Burghartz v. Switzerland [ECtHR], App. no. 16213/90, 22 February 1994, para. 27; Schuler-Zraggen v. Switzerland [ECtHR], App. no. 14518/89, 24 June 1993, para. 67; Konstantin Markin v. Russia [ECtHR], App. no. 30078/06, 22 March 2012, para. 127; J.D. and A. v. the United Kingdom [ECtHR], App. nos. 32949/17, 34614/17, 24 October 2019, para. 89.

<sup>447</sup> Radacic I., Gender Equality Jurisprudence of the European Court of Human Rights, The European Journal of International Law, Vol. 19 No. 4, 2008, 857.

<sup>448</sup> Guide on Article 14 of the European Convention on Human Rights and on Article 1 of Protocol No. 12 to the Convention Prohibition of discrimination, Council of Europe, 2022, para. 100.

გენდერული სტერეოტიპების კვლავწარმოებას<sup>449</sup>, რაც ეწინააღმდეგება ევროპული კონვენციის მე-14 მუხლს. სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებაა ქალის არა მხოლოდ „მყისიერი და უშუალო“ რისკებისგან დაცვა, არამედ ზოგადი პრევენცია, რომელიც შესაძლებელია ეფექტიანია საკანონმდებლო ან აღმასრულებელი მექანიზმებით, რომელიც ქალების გენდერული ძალადობისგან დაცვას შესაძლებელს გახდის.<sup>450</sup> სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება გულისხმობს მის მოქმედებას სათანადო გულმოდგინებით, რათა დაიცვას ინდივიდები კერძო პირების მიერ მათი უფლებების დარღვევისგან.<sup>451</sup> სახელმწიფოებმა თავად უნდა დაადგინონ მოქმედების ფარგლები ჯგუფის საჭიროებების დაცვის მიზნით და იმოქმედონ სათანადო გულმოდგინებით.<sup>452</sup> სათანადო გულმოდგინება, ძალადობაგამოვლილი ქალების სიტყვის თავისუფლებისა და მათი მეორეული ვიქტიმიზაციისგან დაცვის თვალსაზრისით, გულისხმობს გენდერულად მგრძობიარე მიდგომის დამკვიდრებას, რომელიც ითვალისწინებს სტამბოლის კონვენციით ნაკისრ ვალდებულებას ქალისა და მამაკაცის ქცევის სოციალურ და კულტურულ მოდელებში ცვლილებების დასანერგად.<sup>453</sup> ამგვარი ცვლილების მი-

<sup>449</sup> Konstantin Markin v. Russia [ECTHR], App. no. 30078/06, 22 March 2012, para. 127.

<sup>450</sup> Stoyanova V., Due Diligence versus Positive Obligations – Critical Reflections on the Council of Europe Convention on Violence against Women, in: *International Law and Violence Against Women – Europe and the Istanbul Convention*, Edited by J. Niemi, L. Peroni and V. Stoyanova, New York, 2020, 123.

<sup>451</sup> Benninger-Budel C., *Due Diligence and Its Application to Protect Women from Violence*, Leiden, 2008, 21.

<sup>452</sup> Stoyanova V., Due Diligence versus Positive Obligations – Critical Reflections on the Council of Europe Convention on Violence against Women, in: *International Law and Violence Against Women – Europe and the Istanbul Convention*, Edited by J. Niemi, L. Peroni and V. Stoyanova, New York, 2020, 98.

<sup>453</sup> „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის მე-12 მუხლის პირველი პუნქტი.

ზანია აღმოფხვრას მანვე ცრურწმენები, მათ შორის, ძალადობაგამოვლილი ქალების შესახებ არსებული რწმენა-წარმოდგენები, რომ ისინი ცრუობენ, როცა მათ მიმართ ჩადენილ გენდერულ ძალადობაზე საჯაროდ საუბრობენ<sup>454</sup>.

## 6. ძალადობაგამოვლილი ქალების მიმართ ცილისწამების შესახებ სარჩელთა განუხილველად დატოვება

სექსუალური შევიწროების და სქესის ნიშნით დისკრიმინაციის კლინიკური ასპექტების შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ ძალადობის ჩამდენი კაცების მიერ ამგვარ შემთხვევებზე ღიად მოსაუბრე ქალების დასჯის სურვილი გამოვლინდება ძალადობაგამოვლილი ქალის წინააღმდეგ სასამართლო სარჩელთ, რომელიც ხშირად ისეთივე ტრავმულია ქალისთვის, როგორც თავად დისკრიმინაციის შემთხვევა იყო<sup>455</sup>. საგულისხმოა მსუსხავი ეფექტი, რომელიც ამ სარჩელებს შეიძლება მოჰყვეს ზოგადად გენდერული ძალადობის მსხვერპლი ქალების მხრიდან გენდერულ ძალადობაზე ღიად საუბრის ან შესაბამისი უწყებებისთვის მიმართვის თვალსაზრისით.<sup>456</sup>

ძალადობაგამოვლილი ქალების სიტყვის თავისუფლების დაცვისთვის გენდერული მიდგომის პრაქტიკული იმპლემენტაცია შესაძლებელია არსებული საკანონმდებლო გარანტიების ფართო განმარტების გზით. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონი ადგენს, რომ ცილისწამებისათვის პასუხისმგებლობას არ იწვევს განცხადება, რომელიც გაკეთებუ-

<sup>454</sup> Women Lie about Abuse to Get Rehoused: Dangerous Misconceptions about Domestic Violence, <t.ly/zLzSL>, [17.01.2024].

<sup>455</sup> Lenhart S.A., Clinical Aspects of Sexual Harassment and Gender Discrimination, New York, 2004, 101.

<sup>456</sup> Leader A.R., A “SLAPP” in the Face of Free Speech: Protecting Survivors’ Rights to Speak Up in the “Me Too” Era, First Amendment Law Review, Vol. 17, No. 3, 2019, 447.

ღია წინასასამართლო ან სასამართლო პროცესზე და სახალხო დამცველის წინაშე.<sup>457</sup> ქალების მეორეული ვიქტიმიზაციისგან დაცვის მიზნით მიზანშეწონილია, რომ სასამართლომ ძალადობაგამოვლილი ქალის ნებისმიერი განცხადება, რომელიც გენდერული ძალადობის შესახებ ცნობებს შეიცავს, განმარტოს სასამართლო სიტყვის ფარგლებში გაკეთებულ განცხადებად და ცილისწამების პასუხისმგებლობისგან გაათავისუფლოს<sup>458</sup>.

უპირველეს ყოვლისა, რეკომენდებულია საკანონმდებლო ცვლილება, რომლის თანახმად, სასამართლო სიტყვა განიმარტება არა მხოლოდ წინასასამართლო ან სასამართლო პროცესზე ან სახალხო დამცველის წინაშე გაკეთებულ განცხადებად, არამედ მოიცავს გამოძიების ორგანოების წინაშე და შრომის ინსპექციის სამსახურის წინაშე გაკეთებულ განცხადებებსაც. ეს ის ორგანოებია, რომელთაც შესაძლოა სხვადასხვა საქმისწარმოების ფარგლებში განხილული ჰქონდეთ გენდერული ძალადობის სხვადასხვა სახის შემთხვევა და შესაბამისი გადაწყვეტილება ან/და რეკომენდაცია მიღებული, მათ შორის, რეკომენდაცია დისკრიმინაციის დადგენის შესახებ<sup>459</sup>, გადაწყვეტილება გამოძიების დაწყების შესახებ<sup>460</sup>, გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ<sup>461</sup> და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი<sup>462</sup>. მოსამზადებელ სხდომაზე სასამართლო მოპასუხის შუამდგომლობით გამოითხოვს სახალხო დამცველის რეკომენდაციას, სისხლის სამართლის

<sup>457</sup> „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

<sup>458</sup> იქვე, მე-2 პუნქტი.

<sup>459</sup> „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

<sup>460</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-100 მუხლი.

<sup>461</sup> იქვე, მე-16 მუხლი.

<sup>462</sup> „შრომის ინსპექციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტი და საქართველოს შრომის კოდექსის 78-ე მუხლი.

საქმის მასალებს ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს და მას შემდეგ, რაც დადასტურდება კომპეტენტური ორგანოს მიერ მიღებული შესაბამისი აქტის არსებობა, შეწყვეტს ცილისწამების საქმისწარმოებას.

რაც შეეხება პირის მიერ საკუთარი რეპუტაციის დაცვის უფლებას უსაფუძვლო ცილისწამებისგან, ასეთი უფლება, მისი დაცვის ღირსი ინტერესის მიუხედავად, ვერ გადანონის ქალის უფლებას, დაცული იყოს დისკრიმინაციისგან და ძალადობისგან და ყველა კანონიერი საშუალება გამოიყენოს ამისთვის<sup>463</sup>. თავის მხრივ, რეპუტაციაზე უფლება პირდაპირ უკავშირდება შესაბამისი კომპეტენტური ორგანოების მიერ გენდერულ ძალადობაზე ეფექტიან რეაგირებას<sup>464</sup>, რაც, მათ შორის, იცავს პირის უფლებას, უსაფუძვლოდ არ დაადანაშაულონ გენდერულ ძალადობაში და ამით არ შეილახოს მისი რეპუტაცია<sup>465</sup>. უფლებას რეპუტაციაზე როგორც შინაგანი, ისე გარეგანი ასპექტი აქვს და ცილისწამებით მიყენებული ზიანი უკავშირდება, ერთი მხრივ, გავლენის სიმძიმეს მის პირად ხელშეუხებლობაზე, ხოლო, მეორე მხრივ, გავლენას მის საჯარო იმიჯზე<sup>466</sup>. ნებისმიერ შემთხვევაში ცილისწამებისგან დაცვის უფლების რეალიზაცია გამოხატვის თავისუფლება-სთან გონივრული დაბალანსების პრინციპის უზრუნველყოფით ხორციელდება. ეროვნული პრაქტიკის ანალიზით დადგინდა, რომ გენდერული ძალადობის შესახებ განცხადების ნამდვილობაზე

<sup>463</sup> Leader A.R., A "SLAPP" in the Face of Free Speech: Protecting Survivors' Rights to Speak Up in the "Me Too" Era, *First Amendment Law Review*, Vol. 17, No. 3, 2019, 450.

<sup>464</sup> ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია 49-ე მუხლის პირველი პუნქტი.

<sup>465</sup> Moosavian R., Deconstructing Public Interest in the Article 8 vs Article 10 Balancing Exercise, *Journal of Media Law*, Vol. 6, No. 2, 2014, 241.

<sup>466</sup> O'Callaghan P., Article 8 ECHR as a General Personality Right," *Journal of European Tort Law*, Vol. 6, No. 1, 2015, 74-75.

დავა „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონით დადგენილი მტკიცების ტვირთის გადანაწილების პირობებში ვერც ძალადობაგამოვლილი ქალის გამოხატვის თავისუფლების სათანადო დაცვას უზრუნველყოფს<sup>467</sup> და ვერც მოსარჩელის დარღვეულ უფლებას აღადგენს<sup>468</sup>. მეტიც, მოსარჩელისთვის გარკვეული რისკის შემცველია, რომ სამოქალაქო სასამართლოს მიერ არ დადგინდეს მის მიერ დანაშაულის ჩადენა<sup>469</sup>.

ამასთანავე, უფლება რეპუტაციაზე ისევე ადამიანის ღირსების შემადგენელი ელემენტი, როგორც დისკრიმინაციისგან და ძალადობისგან დაცვის უფლება<sup>470</sup>. ძალადობაგამოვლილი ქალების გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის მიზნით აღძრული ცილისწამების შესახებ სარჩელები და მათი თანმხლები შედეგები უკავშირდება არა მხოლოდ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას, არამედ პირადი ცხოვრების დაცულობის უფლებას. შედეგად, ორი დაპირისპირებული ინტერესი არა მხოლოდ გამოხატვის თავისუფლება და პირადი ცხოვრების დაცულობის უფლება, არამედ როგორც მოსარჩელის, ისე მოპასუხის ღირსების უფლებაა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს მიერ ძალადობაგამოვლილი ქალების წინააღმდეგ აღძრული ცილისწამების შესახებ სარჩელების განუხილველად დატოვება საუკეთესოდ უზრუნველყოფს ქალების მონაწილეობას გენდერული ძალადობის შესახებ საჯარო დებატებში, ეს კი როგორც ინდივიდის, ისე საზოგადოების ინტერესია და დაიცავს ქალებს მეორეული ვიქტიმი-

<sup>467</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 13 აპრილის განჩინება №ას-358-2021.

<sup>468</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილება №2/18681-22.

<sup>469</sup> იქვე, პარ. 6.26.

<sup>470</sup> Hilgendorf E., Human Rights, Human Dignity, and the Concept of Honour: A German Perspective, *Cardozo Journal of International and Comparative Law*, Vol. 25, No. 3, 2017, 508-509.

ზაციისგან, რაც შესაძლოა უკავშირდებოდეს ცილისნამების საქმის განხილვის დროს ქალების მიმართ ფსიქოლოგიურ და ეკონომიკურ ძალადობას ან იძულებას. ეროვნული სასამართლოების მიერ ამ მიდგომის დამკვიდრება გამორიცხავს ძალადობაგამოვლილი ქალების სიტყვის თავისუფლებაზე მსუსხავს ეფექტს და მათი ხმების ჩახშობას გენდერულად უთანასწორო საზოგადოებაში.

## V. დასკვნა

გენდერული თანასწორობის სახელმწიფო პოლიტიკა ვერ განხორციელდება გენდერული სტერეოტიპების, მავნე ჩვეულებების და ტრადიციების აღმოფხვრის გარეშე. თანასწორობისთვის ბრძოლის პროცესში ქალების თანაბარი მონაწილეობა მათი სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის პირობებში ვერ მიიღწევა. გენდერულ ძალადობასთან დაკავშირებული განცხადებები, მიმართული ერთი ინდივიდუალური შემთხვევისკენ, გარდა თვითდახმარებისა, შესაძლოა ააშკარავებდეს მწვავე პოლიტიკურ საკითხებს და ხელს უწყობდეს ქალებს სოციალური კაპიტალის მოპოვებაში, რაც, თავის მხრივ, გენდერული ძალადობის პრევენციის საშუალებაა.

ძალადობაგამოვლილი ქალების უფლება, გამოიყენონ ძალადობისგან დაცვის მექანიზმები, თავისთავად იზღუდება ისეთი სამართლებრივი საშუალებებით, რომლებიც გამორიცხავს ცილისწამებას ვინმეს მიმართ ან გენდერულ ძალადობაზე რეაგირების განმახორციელებელი უწყებისთვის ცრუ ინფორმაციის მიწოდებას. იმავდროულად, ძალადობაგამოვლილი ქალების გამონატვის თავისუფლება არ არის აბსოლუტური უფლება და იზღუდება სხვისი რეპუტაციის დაცვის ლეგიტიმური მიზნიდან გამომდინარე, რაც მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული, მათ შორის, პირის საჯაროობის სტატუსზე და განცხადების მიმართ საზოგადოების ინტერესზე, პირის ქცევაზე, რომელიც წინ უძღოდა განცხადებას და განცხადების ავტორის კეთილსინდისიერებაზე. ამ გარემოებების გათვალისწინების გარეშეც გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა არაპროპორციულ საშუალებად შეიძლება იქნეს მიჩნეული.

ეროვნული სასამართლოების მიდგომა ძალადობაგამოვლილი ქალების მიმართ აღძრული ცილისწამების შესახებ სარჩელების განხილვისას არაერთგვაროვანია, თუმცა ჩანს ტენდენცია, რომ სასამართლო გენდერულად მგრძნობიარე მიდგომას უგულებე-

ლყოფს. სასამართლო არ განიხილავს განცხადების ავტორ ქალებს მამხილებლებად და არ ავრცელებს მათზე საკანონმდებლო დაცვის გარანტიებს. იმავედროულად, იგი არ ითვალისწინებს საზოგადოებაში არსებულ გენდერულ უთანასწორობას და ქალების განცხადებებს მათ მიერ განცდილ გენდერულ ძალადობასთან დაკავშირებით საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხად არ აფასებს. გარდა ამისა, იურიდიული მომსახურებისთვის განეული ხარჯები განსაკუთრებით აქტუალურია ძალადობაგამოვლილი ქალების წინააღმდეგ აღძრულ ცილისწამების შესახებ სარჩელების განხილვისას და ამ სერვისის არარსებობის პირობებში ირღვევა ქალების უფლება იურიდიულ დახმარებაზე. რეკომენდებულია ქალებს, რომელთაც გენდერული ძალადობის შესახებ განცხადების გამო ცილისწამებას ედავებიან, სახელმწიფო უფასო იურიდიული დახმარებით უზრუნველყოფდეს და შესაბამისი სამართლებრივი გარანტიები აისახოს „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში (დანართი 1).

ცილისწამებისთვის პასუხისმგებლობის საშუალების პროპორციულობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ძალადობაგამოვლილი ქალების სიტყვის თავისუფლებასა და მეორეული ვიქტიმიზაციისგან დაცვის უფლებაზე. სასამართლომ განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა განიხილოს გენდერული ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხი და გამოიკვლიოს ყველა მნიშვნელოვანი გარემოება, მათ შორის, ქალებს დააკისროს მხოლოდ ისეთი ქმედების განხორციელება ან ქმედებისგან თავის შეკავება, რომელიც მხოლოდ მათზე დამოკიდებული და მოპასუხის ქცევასთან ერთობლიობაში იმსჯელოს მორალური ზიანის არსებობაზე.

ქალების სიტყვის თავისუფლების დაცვის მიზნით მიზანშეწონილია სასამართლომ მტკიცების ტვირთი იმგვარად გაანაწილოს, რომ მოსარჩელეს დააკისროს არა მხოლოდ ფაქტის მცდარობის

მტკიცების ვალდებულება, არამედ ქალის მხრიდან ბოროტი განზრახვის არსებობა. იმავდროულად, სამართალშემფარდებელმა უნდა შეაფასოს განცხადების შინაარსის მიმართ საჯარო ინტერესი, რეპუტაციისთვის მიყენებული ზიანი და განცხადების ავტორის ბოროტი განზრახვა და ბრალეულობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, კანონი და მართლმსაჯულების სისტემა გამოყენებული იქნება ქალეზის გაჩუმების იარაღად და არა მათ დასაცავად.

ქალების დაშინებისა და თვითცენზურის რისკების გათვალისწინებით, რეკომენდებულია „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოწესრიგების შეცვლა (დანართი 1). ცვლილებებისა და სასამართლოს მიერ გენდერულად მგრძნობიარე მიდგომის გამოყენების შედეგად სასამართლო სიტყვად უნდა განიმარტოს ქალების განცხადებები, თუ მათ იმავე შინაარსის განცხადებით მიმართეს სახალხო დამცველს, გამოძიების ორგანოებს ან/და შრომის ინსპექციის სამსახურს. ამგვარი ფართო და გენდერულად მგრძნობიარე მიდგომა საშუალებას მისცემს სასამართლოს განუხილველად დატოვოს ისეთი ცილისწამების სარჩელები, რომელთა მიზანი არა პირის რეპუტაციის დაცვა, არამედ ქალის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა და მისი გაჩუმებაა.

სასამართლოს მიერ ძალადობაგამოვლილი ქალების წინააღმდეგ აღძრული ცილისწამების შესახებ სარჩელების განუხილველად დატოვება საუკეთესოდ უზრუნველყოფს ქალების მონაწილეობას გენდერული ძალადობის შესახებ საჯარო დებატებში და დაიცავს მათ მეორეული ვიქტიმიზაციისგან. სწორედ ეს მიდგომაა ერთადერთი ადეკვატური მექანიზმი, რომელიც გამორიცხავს ძალადობაგამოვლილი ქალების სიტყვის თავისუფლებაზე მსუსხავ ეფექტს და მათი ხმების ჩახშობას, რაც ცალსახად საჯარო ინტერესია. შემოთავაზებული საკანონმდებლო ცვლილებები და სამართალშემფარდებლის მიერ გენდერულად მგრძნობიარე მიდგომა

უზრუნველყოფს სამართლიან ბალანსს გამოხატვის თავისუფლებასა და პირადი ცხოვრების დაცულობის უფლებას შორის და გამოორიცხავს მართლმსაჯულების მექანიზმების გამოყენებას ქალების დასჯისა და დაშინების მიზნით იმის გამო, რომ მათ გაბედეს და ღიად ისაუბრეს განცდილი ძალადობის თაობაზე. ძალადობა-გამოვლილ ქალებსა და ძალადობის სავარაუდო ჩამდენს შორის ძალაუფლებისა და რესურსების ასიმეტრიული გადანაწილების პირობებში, სწორედ მართლმსაჯულების მგრძნობელობაა სამართლიანობის გარანტია, რომელიც, თავის მხრივ, გენდერული თანასწორობის მიღწევის საფუძველია.

# გამოყენებული ლიტერატურა

## სამეცნიერო ლიტერატურა

- ახვლედიანი მ., პრაქტიკული სახელმძღვანელო სექსუალური შევიწროებების შესახებ, თბილისი, 2020
- ბეგაძე მ., გვრიტიშვილი ე., ჯოხაძე ს., სახალხო დამცველი, როგორც თანასწორობის მექანიზმი, თბილისი, 2017
- გვიდიანი ჯ., პრეიუდიცია სამოქალაქო საპროცესო სამართალში (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის ჰერმენეუტიკისათვის), ჟურნ. „სამართლის მეთოდები“, N. 7, 2023
- გოგბერაშვილი ა., ძალადობაგამოვლილი ქალებისთვის მხარდაჭერი სერვისები და მექანიზმები საქართველოში, თბილისი, 2023
- გოგოლაშვილი თ., ქალთა მიმართ ძალადობის კვლევა საქართველოში, თბილისი, 2022
- გოცირიძე ე., გამოხატვის თავისუფლება კონფლიქტურ ღირებულებათა სამართლიანი დაბალანსების კონტექსტში, თბილისი, 2007
